საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№099
(12 169)

30 აპრილი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

# დაკარგული სამოთხე



მინდია ბოდაველი

## ქართული სამბოს ტრიუმფი: 3 ოქრო და 4 ბრინჯაო

ბულგარეთის ქალაქ პრავეცში სამბოს ევროპული ჩემპიონატი დასრულდა. პირველ დღეს ხუთი წონითი კატეგორიის სამბისტებმა იჭიდავეს და ხუთიდან სამი ოქროს მედალი ოლეგ იაძის ბიჭებმა მოიპოვეს. 52 კგ. წონითი კატეგორიის ფინალში **უშანგი კუზანაშვილმა** აზერბაიჯანელი ისლამ გასუმოვი დაამარცხა. 62 კგ. კილოგრამში **დავით სვიმონიშვილმა** უკრაინელ ანდრეი კასტანოვს მოუგო. 90 კილოში ფავორიტმა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა **მინდია ბოდაველმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უპირატესობა - ფინალში მინდიამ ბელარუსი იაგენ სიომაშკინი დაამარცხა. მძიმე წონაში ბრინჯაოს მედალი **ზვიად ჩინჩალაძემ** მოიპოვა. პირველ დღეს მხოლოდ 74 კგ. წონით კატეგორიაში (**დავით შენგელია**) დავრჩით უმედლოდ. ბულგარეთში ნამდვილი საოცრება მოხდა - პირველ დღეს რუსებმა ვაჟთა შორის ერთი ოქროს მედალიც ვერ მოიპოვეს.

გუშინ ჩვენებმა კიდევ სამი ბრინჯაოს მედალი დაამატეს ნადავლს: **ავთანდილ ცინცაძემ** (57 კგ.), **ნიკო კუციამ** (82 კგ.) და **მირიან პავლიაშვილმა** (100 კგ.). საბოლოოდ ჩვენმა ნაკრებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავა რუსების შემდეგ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## დაუჯერებელი ამბავი: შოთამ და ალკმაარმა ფანტასტიკური საჩემპიონო შანსი გაანიავეს

ფრაიბურგი:
## კიდევ ერთი ნაბიჯი გერმანული ელიტისკენ

უკრაინული კატასტროფა:
## ქართველებს აღარ ათამაშებენ

ქართული ლეგიონის უქმეები 5

## არც კალაძეს უნდა და არც მილანს 3





ძიუდო. რომის მსოფლიო თასი 11

## მხოლოდ სამი ბრინჯაო



## მფრინავი რუნი და პატარა ლიდერები

მოურინიომ აღიარა:
## ტიტული დაკარგულია

გერმანია:
## ოთხი ლიდერიდან სამი დამარცხდა 6-9



ვერდერის მწვრთნელი თომას შააფი არემინიასთან მატჩის შემდეგ

LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XVIII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა

# 5 მაისის აჩრდილი

როგორ იყო, წინა ტური უმოტივაციოდ რომ მოვიხსენიეთ? აი, ამჟამად ასეთი რამ არ ყოფილა და ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე სატურნირო ცხრილში ყველაფერი არა, მაგრამ ბევრი რამ კი გაირკვა. უპირველესად ის ვთქვათ, რომ ფაქტობრივად, გადაწყდა პირველ-მეორე ადგილის ბედი - ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელთა ვინაობას "ოლიმპისა" და "დინამოს" პაექრობა გასცემს პასუხს. ანუ, საჩემპიონო და უეფას თასის საგზურის მომტან მეორე ადგილისთვის რბოლას, სწორედ განვლილ ტურში გამოეთიშნენ "ამერი" და "ზესტაფონი". სწორედ ამ ორი მეტოქის შეხვედრა იყო ტურში ცენტრალურადაც მიჩნეული და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ იმ შედეგით ..."ოლიმპმა" და "დინამომ" იხეირა. არადა, ნამდვილად საცოდაობა იქნება "ამერი" ან "ზესტაფონი" ევროსაგზურის გარეშე რომ დარჩნენ - ორივე გუნდმა ხომ მთელი სეზონი სტაბილურად განვლო და სრულიად დამსახურებულად აცხადებდნენ პრეტენზიას მაღალი ადგილებისთვის. თუმცა ერთ-ერთი მათგანი წესით უეფას თასზე იასპარეზებს - 26 მაისს საქართველოს თასის ფინალში, სავარაუდოდ, ერთმანეთს სწორედ ეს გუნდები შეხვდებიან...

დავუბრუნდეთ განვლილ ტურს და საუბარი, რა თქმა უნდა, გლდანის მატჩით დავიწყოთ. ეს ის შემთხვევაა, წინასწარ რაიმე პროგნოზის გაკეთება რომ შეუძლებელი იყო და თანაბარი მეტოქეების დაპირისპირებაში ლოგიკური საყაიმო შედეგიც დაფიქსირდა. ყველაზე სასიამოვნო კი ის გახლდათ, რომ თითქმის მთელმა მატჩმა სწრაფ ტემპში და ორმხრივ იერიშებში ჩაიარა. თავდაპირველად, სტუმრები აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ და მეორე წრეში ჩინებულად მოასპარეზე **ვიეირას** გოლი ლოგიკურიც იყო. "ზესტაფონის" უპირატესობა პირველი ტაიმის ნახევრამდე გაგრძელდა; მერე უკვე "ამერმა" მოიპოვა ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ წლევანდელი ჩემპიონატის უდავოდ საუკეთესო მეკარემ **გრიგოლ ჭანტურიამ** კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავის შესაძლებლობები. და მაინც, მასპინძლებს გარჯა დაუფასდათ - მეორე ტაიმში დაუღალავი **სულიკო დავითაშვილის** აქტიურობით **დიმიტრი ტატანაშვილმა** ეფექტური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. ტატანაშვილი მართლაც "უცნაურ" რეკორდზე მიდის - თითქმის ყოველ მეორე მატჩში შეცვლაზე შემოსულს გააქვს გოლები. ისე, მასპინძლებს ოპტიმალური შემადგენლობით რომ ეასპარეზათ, ვინ იცის, მატჩი საბოლოოდ როგორი შედეგით მორჩებოდა. თანაც, დანაკლისსაც ხომ გააჩნია - **გრიგოლ დოლიძე** და **რატი წინამძღვრიშვილი** ის ფეხბურთელები არიან, მარტოს რომ შეუძლიათ შეხვედრის ბედის გადაწყვეტა.

...ლიდერებმა კი უპრობლემოდ მოიგეს თავიანთი მატჩები და სეზონის უმთავრესი მატჩისთვის ემზადებიან. "დინამომაც" და "ოლიმპმაც" პირველივე ტაიმში ორბურთიანი უპირატესობა შექმნეს. სასიხარულოა, რომ გოლის გემო კვლავ გაიხსენა **ლაშა ქებაძემ** - "ოლიმპის" ნახევარმცველი პირველ წრეში ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელ ჩემპიონატში, მაგრამ, მეორე წრეში, ცოტა არ იყოს, ჩრდილში მოექცა. ამ შეხვედრაში მონაწილე ფეხბურთელთაგან კიდევ ერთი გვინდა ცალკე გამოვყოთ: თბილისის "დინამოსგან" დაწუნებულმა **გიორგი ნერგაძემ** მორიგი გოლიც გაიტანა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმძიმესი ტრავმის შემდეგ ოპტიმალურ ფორმაში იმყოფება. "დინამო"-"მერანის" დაპირისპირებაში სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს მასპინძელთა ფლანგურ გარღვევებს: მარჯვნიდან **დავით ოდიკაძე** აქტიურობდა, მარცხნიდან - **სანდრო კობახიძე**, ალარაფერს ვამბობთ **სანდრო იაშვილზე**, ლამაზი გოლიც რომ გაიტანა და საგოლე პასიც მიითვალა. მოკლედ, "დინამომ" უპრობლემოდ გაიმარჯვა, მაგრამ "ოლიმპთან" მატჩს მაინც დანაკლისით უნდა შეხვდეს - უშუალო კონკურენტთან დაპირისპირებაში **მიხეილ ხუციშვილი** არ ეყოლება. არადა, მართლაც ბევრისთვის გაუგებარი დარჩა, თუ რატომ გააძევა **დავით ხარიტონაშვილმა** "დინამოს" შემტევი ნახევარმცველი. ისე, "დინამო"-"მერანის" მატჩის ბოლო წუთები სახალისოზე მეტი გამოდგა - სტუმართა გაძევებული მეკარის **გლუნჩაძის** მაგივრად ხელთათმანები მოედნის მოთამაშემ (**აფშილავამ**) ჩაიცვა, მაგრამ მასპინძლებს მისი "შესაძლებლობები" ალარ შეუმოწმებიათ.

მსაჯების თემა ამ ტურში აქტუალურზე მეტიც იყო: "ბორჯომში" არბიტრის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის "სიონის" ნახევარმცველი **ლევან სანიკიძე** გააძევეს; გორში კი მატჩის მერე ადგილობრივი ქომაგები და "დილას" ხელმძღვანელობა აღშფოთებას ვერ მალავდნენ არაობიექტური მსაჯობის (მათი აზრით) გამო. სხვათა შორის, გორის "დილა" თითქმის ცალი ფეხით, პირველ ლიგაშია, მაგრამ სასიამოვნოზე მეტია, რომ ყოველ ტურში მატულობს ქომაგთა რაოდენობა. აი, ახლაც "ლოკომოტივთან" შეხვედრაში "თენგიზ ბურჯანაძეზე" 1500 კაცი მივიდა!

"ბორჯომი" ვახსენეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ აშკარად ექსპერიმენტული შეხვედრით მოასპარეზე "სიონთან" გამარჯვებით **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა გადათამაშებაში მოხვედრა აიცილა. ამაში კი ლომის წილი დაიდო **შოთა გრიგალაშვილმა,** თბილისის "დინამოდან" განათხოვრებულმა კიდევ ერთმა ფეხბურთელმა...

...დაბოლოს, კიდევ ერთ მატჩზეც, სადაც თელავის "კახეთს" ერთი წუთი დააკლდა, ჩემპიონატში... მეორე ქულა რომ მოეპოვებინა. თუმცა აშკარა კრიზისში მყოფ ქუთაისის "ტორპედოსაც" ძალიან სჭირდებოდა გამარჯვება და "ბორჯომის" მსგავსად, გადათამაშებას ეს სახელოვანი გუნდიც ასცდა.

**გია ტუხაშვილი**

### XXII ტურის სიმბოლური ნაკრები




| სულ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 22 | 17 | 4 | 1 | 52-7 | 55 |
| 2. დინამო | 22 | 17 | 1 | 4 | 47-17 | 52 |
| 3. ამერი | 22 | 14 | 5 | 3 | 43-14 | 47 |
| 4. ზესტაფონი | 22 | 13 | 8 | 1 | 44-10 | 47 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 22 | 12 | 7 | 3 | 39-23 | 43 |
| 6. სიონი | 22 | 11 | 2 | 9 | 26-19 | 35 |
| 7. ტორპედო | 22 | 9 | 4 | 9 | 21-24 | 31 |
| 8. ბორჯომი | 22 | 7 | 6 | 9 | 24-30 | 27 |
| 9. ბათუმი | 22 | 6 | 5 | 11 | 21-26 | 23 |
| 10. ლოკომოტივი | 22 | 5 | 6 | 11 | 14-30 | 21 |
| 11. მერანი | 22 | 4 | 7 | 11 | 15-35 | 19 |
| 12. ჩიხურა | 22 | 4 | 6 | 12 | 12-33 | 18 |
| 13. დილა | 22 | 2 | 4 | 16 | 15-54 | 10 |
| 14. კახეთი | 22 | 0 | 1 | 21 | 18-69 | 1 |

| შინ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 11 | 10 | 1 | 0 | 32-3 | 31 |
| 3. ამერი | 12 | 10 | 3 | 0 | 23-4 | 30 |
| 3. დინამო | 11 | 9 | 1 | 1 | 24-7 | 28 |
| 4. ზესტაფონი | 11 | 8 | 3 | 0 | 26-2 | 27 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 11 | 7 | 4 | 0 | 23-9 | 25 |
| 6. სიონი | 11 | 7 | 1 | 3 | 17-5 | 22 |
| 7. ტორპედო | 11 | 6 | 2 | 3 | 13-11 | 20 |
| 8. ბორჯომი | 11 | 5 | 3 | 3 | 18-15 | 18 |
| 9. ლოკომოტივი | 11 | 4 | 2 | 5 | 9-15 | 14 |
| 10. ბათუმი | 11 | 4 | 1 | 6 | 13-12 | 13 |
| 11. ჩიხურა | 11 | 3 | 4 | 4 | 7-11 | 13 |
| 12. დილა | 11 | 2 | 2 | 7 | 7-23 | 8 |
| 13. მერანი | 10 | 1 | 5 | 4 | 6-13 | 8 |
| 14. კახეთი | 11 | 0 | 1 | 10 | 10-32 | 1 |

| სტუმრად | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 11 | 8 | 0 | 3 | 23-10 | 24 |
| 2. ოლიმპი | 11 | 7 | 3 | 1 | 20-4 | 24 |
| 3. ზესტაფონი | 11 | 5 | 5 | 1 | 18-8 | 20 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 11 | 5 | 3 | 3 | 16-14 | 18 |
| 5. ამერი | 10 | 5 | 2 | 3 | 20-10 | 17 |
| 6. სიონი | 11 | 4 | 1 | 6 | 9-14 | 13 |
| 7. ტორპედო | 11 | 3 | 2 | 6 | 8-13 | 11 |
| 8. მერანი | 12 | 3 | 2 | 7 | 9-22 | 11 |
| 9. ბათუმი | 11 | 2 | 4 | 5 | 8-13 | 10 |
| 10. ბორჯომი | 11 | 2 | 3 | 6 | 6-15 | 9 |
| 11. ლოკომოტივი | 11 | 1 | 4 | 6 | 5-15 | 7 |
| 13. ჩიხურა | 11 | 1 | 2 | 8 | 5-27 | 5 |
| 12. დილა | 11 | 0 | 2 | 9 | 8-31 | 2 |
| 14. კახეთი | 11 | 0 | 0 | 11 | 8-37 | 0 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 16 |
| 2 | ფიფია (ზესტაფონი) | 13 |
| 3 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| 4-8 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 8 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 8 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 8 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 8 |
| 9-11 | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 7 |

**გოლი+პასი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 20 (16+4) |
| 2 | ფიფია (ზესტაფონი) | 18 (13+5) |
| 3-4 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 15 (8+7) |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 15 (8+7) |
| 5-6 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 12 (10+2) |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 12 (8+4) |
| 7-9 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 11 (8+3) |
| | დოლიძე (ამერი) | 11 (7+4) |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 11 (8+3) |
| 10 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 10 (7+3) |

**ავტოგოლი**

| | | |
|---|---|---|
| 1-3 | გიგაური (დინამო) | 1 |
| | შ. ლონდაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ლ. გრიგალაშვილი (მერანი) | 1 |

**საგოლე პასები**

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 7 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 7 |
| 3 | დილმელაშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |
| 4-5 | აფციაური (ოლიმპი) | 5 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 5 |
| 6-15 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 4 |
| | გოლქვაძე (ამერი) | 4 |
| | ჯელაძე (ამერი) | 4 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.) | 4 |
| | დოლიძე (ამერი) | 4 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 4 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 4 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 4 |

**რეალიზებული პენალტები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 4 |
| 2-5 | სავაია (ბორჯომი/ზესტაფონი) | 3 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| | გ.ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 6 | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| 7-20 | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | გ. შელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბაქრაძე (ბორჯომი) | 1 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | გოლქვაძე (ამერი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ბიძინაშვილი (კახეთი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |

**გაცუდებული პენალტები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 2-11 | ტიაგო (ბათუმი) | 1 |
| | შ.კაშია (დინამო) | 1 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომოტივი) | 1 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფეიქრიშვილი(ვიტ ჯ./დინ.) | 1 |
| | გაგუა (მერანი) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |
| | გონჩაროვი (დილა) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |

**მოგერიებული პენალტები**

| | | |
|---|---|---|
| 1-9 | ქვაჩახია (ამერი) | 1 |
| | ცინაძე (კახეთი) | 1 |
| | სეფიაშვილი (მერანი) | 1 |
| | ილურიძე (დილა) | 1 |
| | თოთლაძე (ბათუმი) | 1 |
| | მამალაძე (სიონი) | 1 |
| | გ. იაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ლომიძე (მერანი) | 1 |
| | თევდორაძე (დილა) | 1 |

**მეკარეთა მშრალი სერიები (წუთი)**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 829 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 769 |
| 3 | ქვაჩახია (ამერი) | 520 |
| 4 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 466 |
| 5 | ქვაჩახია (ამერი) | 454 |
| 6 | სტურუა (დინამო/ჩიხურა) | 431 |
| 7 | მერლანი (ოლიმპი) | 375 |
| 8 | კოდალაევი (ტორპედო/ბორჯომი) | 342 |
| 9 | ქვილითაია (ტორპედო) | 339 |
| 10 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 306 |

**მიმდინარე მშრალი სერიები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 466 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 297 |
| 3 | შეყრილაძე (ბორჯომი) | 256 |
| 4 | ბრიშიკაშვილი (დინამო) | 180 |
| 5 | სეფიაშვილი (მერანი) | 151 |

**ყვითელი ბარათები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბესარაშვილი (მერანი) | 8 |
| 2 | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 7 |
| 3-8 | დოლიძე (ამერი) | 6 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 6 |
| | ცანავა (ბათუმი) | 6 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 6 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 6 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 6 |

**შემცვლელთა გოლები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტატანაშვილი (ამერი) | 6 |
| 2-4 | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 3 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 3 |
| | ტულუში (ბათუმი) | 3 |
| 5-13 | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| | ქემაშვილი (მერანი) | 2 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 2 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბენაშვილი (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 2 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 2 |
| 14-39 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | დოლიძე (ამერი) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გალოგრე (ბათუმი) | 1 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 1 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 1 |
| | სევასტოპულო (ამერი) | 1 |
| | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |
| | ხოჯავა (ოლიმპი) | 1 |
| | მჭედლიშვილი (ამერი) | 1 |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | მ.ლონდაძე (ტორპედო) | 1 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 1 |
| | მუმკულიანი (ტორპედო) | 1 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფურცელაძე (მერანი) | 1 |
| | ბ.ნოზაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ხუბუა (ოლიმპი) | 1 |
| | გ. გოცირიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ჟონატასი (ზესტაფონი) | 1 |
| | ოდიკაძე (დინამო) | 1 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ. /დინამო) | 1 |
| | კირკიტაძე (ტორპედო) | 1 |

**წითელი ბარათები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სანიკიძე (ჩიხურა/სიონი) | 2 |
| 2-30 | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ჯინჭარაძე (ბათუმი) | 1 |
| | კარსანიძე (მერანი) | 1 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | ელბაქიძე (ამერი) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |
| | ძარძუზაშვილი (ბორჯომი) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | პ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ლაბაძე (ბორჯომი) | 1 |
| | აბრამიშვილი (დილა) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | მახარაძე (ჩიხურა) | 1 |
| | კედელაშვილი (ამერი/მერანი) | 1 |
| | დობროვოლსკი (ამერი) | 1 |
| | სპასოევიჩი (დინამო) | 1 |
| | კობახიძე (დილა) | 1 |
| | მალიჩავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კოდალაევი (ტორპედო/ბორჯომი) | 1 |
| | ქუცურუა (ჩიხურა) | 1 |
| | გლუნჩაძე (მერანი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |

**ყველაზე დიდი სხვაობა**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| 2-3 | დილა-ვიტ ჯორჯ. | 0:6 | (XII ტური) |
| | კახეთი-ამერი | 1:7 | (XXI ტური) |
| 4-9 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | სიონი-კახეთი | 5:0 | (X ტური) |
| | კახეთი-ოლიმპი | 0:5 | (XV ტური) |
| | ზესტაფ.-ვიტ ჯორ. | 5:0 | (XVII ტური) |
| | ტორპედო-დინამო | 0:5 | (XVII ტური) |
| | ოლიმპი-ჩიხურა | 5:0 | (XXI ტური) |

**ჰეთ-ტრიკი**

| | | |
|---|---|---|
| 1-8 | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | ტულუში (ბათუმი) | 1 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |

**დუბლი**

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 3-4 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| 5-26 | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 1 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 1 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 1 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 1 |
| | მუმკულიანი (ტორპედო) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ევოჩე (სიონი) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| | ა. ნოზაძე (მერანი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო) | 1 |
| | ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 1 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |

**ყველაზე ხშირი ანგარიშები**

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | 0:0 | 19 |
| | 1:0 | 19 |
| 3 | 0:1 | 16 |
| 4 | 2:0 | 12 |
| 5 | 3:0 | 11 |
| 6-7 | 2:1 | 9 |
| | 1:1 | 9 |
| 8 | 3:1 | 7 |

**არბიტრები**
(მატჩების რაოდენობა)

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ვადაჭკორია | 14 |
| | ხარიტონაშვილი | 14 |
| 3 | ფანიაშვილი | 13 |
| 4-7 | კვარაცხელია | 12 |
| | სილაგავა | 12 |
| | მაისურაძე | 12 |
| | ბუქლიშვილი | 12 |
| 8 | კრიჭაშვილი | 11 |
| 9 | სანაია | 10 |
| 10 | კიკაჩეიშვილი | 9 |
| 11 | პ. ლობრაშვილი | 7 |
| 12-13 | ხეცაძე | 6 |
| | ჭაჭუა | 6 |
| 14-15 | ნონიკაშვილი | 5 |
| | ბუიშვილი | 5 |
| 16 | ელისაბედაშვილი | 4 |
| 17 | გუმბერიძე | 1 |

**გასულ ტურში**
16 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.28)
16 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 2.28)
3 წითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 0.42)

**ჩემპიონატში**
391 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.53)
449 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 2.91)
31 წითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 0.20)

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

17-წლამდელთა ნაკრები

# ხორვატიას მესამეს შევეცილებით



ჰერბერტ ცანკერი

**სერბეთი-საქართველო 1:1**
(5:3 პენალტებით)

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა საერთაშორისო ტურნირზე "ევროპა უნიტა" ნახევარფინალი წააგო. ფინალისწინა, რაუნდში ჩვენს ჭაბუკებს მეტოქედ სერბეთი ერგოთ. ჯგუფურ ტურნირში სლოვენიაში ასპარეზობის შემდეგ **ჰერბერტ ცანკერის** კრებულს ავსტრიაში, ქალაქ კიოშტას მაუთენში მოუწია თამაში და დანიშნულების ადგილას ჩვენი გუნდი მატჩამდე მხოლოდ ორი საათით ადრე ჩავიდა.

თუ ჯგუფურ ტურნირში მატჩები 30 წუთიანი ტაიმებისგან შედგებოდა, ნახევარფინალში ტაიმების ხანგრძლივობა უკვე 40 წუთი იყო. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მგზავრობისგან დაღლის მიუხედავად ჩვენმა ჭაბუკებმა მაინც მოახერხეს მობილიზება და მეტოქის კართან არაერთი ხიფათი შექმნეს. თავის მხრივ, სერბებიც აქტიურობდნენ და მათაც ჰქონდათ საგოლე მომენტები. ანგარიში კი ტაიმის ბოლოს გაიხსნა. ქართველების ერთ-ერთი შეტევა **ლუკა გუგუჩიამ** დააგვირგვინა მეკარისგან შორეულ დაბალ კუთხეში ეფექტური დარტყმით - 1:0.

მეორე ტაიმშიც ხიფათი ორივე კართან იქმნებოდა. თუმცა სერბებს უფრო გაუმართლათ და 70-ე წუთზე დაცვის მიერ დაშვებული შეცდომით ანგარიში გაათანაბრეს - 1:1. დარჩენილ დროში არაფერი შეცვლილა. პენალტების სერიაში კი მეტოქემ იყოჩაღა და საბოლოო ჯამში 5:3 მოიგო. გუშინ ჩვენმა ჭაბუკებმა დაისვენეს. მეორე ნახევარფინალურ მატჩში იტალიამ ხორვატები 2:0 დაამარცხა. შესაბამისად, დღეს, 30 აპრილს, მესამე ადგილისთვის მატჩში ქართველი ჭაბუკები ხორვატ თანატოლებს დაუპირისპირდებიან. სერბებთან ჩვენმა ჭაბუკებმა შემდეგი შემადგენლობით იასპარეზეს:

საქართველო: **ნიორაძე, ჭანკვეტაძე (60. იამანიძე), ახალბედაშვილი (კაპ.), მირცხულავა, რიგვავა, გორდეზიანი (53. ძალამიძე), ქარდავა (74. მეუნარგია), გუგუჩია (60. ვაშაკიძე), ბაგალიშვილი (22. ფილია), მელიქიშვილი, შეყილაძე.**

**დავით ცაბაძე**



ბადრი ქარქაშაძე

ოლიმპი-დინამოს წინ

## ბადრი ქარქაშაძე:

# სტადიონს იმისთვის ვაშენებთ, ეროვნულზე რომ ვითამაშოთ?!

**საქართველოს ჩემპიონის ვინაობას რუსთავის "ოლიმპისა" და თბილისის "დინამოს" 5 მაისის მატჩი გაარკვევს. მატჩის რუსთავის ნაცვლად თბილისში, ეროვნულ სტადიონზე ჩატარება, ერთი მხრივ, მართლაც არაა ურიგო იდეა - განათებულ სტადიონზე, მშვენიერ საფარზე, სალამოს მატჩი მეტ მაყურებელს მიიზიდავს და ეს საქართველოს ჩემპიონატის რეკლამის საუკეთესო საშუალება იქნებოდა. შეხვედრის რუსთავიდან თბილისში გადმოტანის იდეა კი ფედერაციას ეკუთვნის, სტადიონის იჯარის თანხასაც ის საკუთარ თავზე იღებს.**

ჩანაფიქრის განსახორციელებლად ორივე გუნდის თანხმობაა საჭირო. რა გასაკვირია, დინამოელები წინადადებაზე ყაბულს რომ არიან.

*"ეროვნულ სტადიონზე ამ მატჩის ჩატარებას არაერთი დადებითი მხარე ექნება. ჯერ ერთი, რომ იქ ბევრად უკეთესი მოედნის საფარია. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ეროვნულზე თანამედროვე აპარატურაა დამონტაჟებული, რომელიც თითოეული ფეხბურთელის გარჯასა და ქმედებას სხვადასხვა ჭრილში აღნუსხავს და საბოლოო მაჩვენებელს გვაძლევს.*

*ასეთი არაერთი ფაქტის დასახელება შეიძლება. თუმცა, მეორე მხარეა თავად "ოლიმპის" პოზიცია და რუსთაველი მაყურებელი. ამ საკითხზე ჩვენს მეტოქესაც საკუთარი აზრი ექნება. თუ რუსთაველები ეროვნულ სტადიონზე ამ მატჩის ჩატარებაზე თანახმანი იქნებიან, ჩვენ ამას მივესალმებით"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა "დინამოს" მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ**.

თუმცა რუსთაველებისთვის მიულებელია თბილისის "დინამოს" მშობლიურ არენაზე თამაში. ეს "ოლიმპის" პრეზიდენტმა **ბადრი ქარქაშაძემ** გვითხრა.

- რატომ უნდა იყოს ეს იდეა მისაღები? ჯერ ერთი, ეს არის თბილისის "დინამოსთვის" მშობლიური სტადიონი. ამასაც რომ შევეშვათ, ჩვენ რუსთავში საკმაოდ მაღალი დონის სტადიონი გაგვაჩნია და თბილისში რატომ ვითამაშებთ?

**- "ოლიმპში" უმრავლესობა თბილისელია, ბევრს "დინამოში" უთამაშია და რაღ უნდა თქმა, ეროვნულზე გამოსვლა მოთამაშეებისთვისაც დამატებითი სტიმული იქნებოდა...**

- გეთანხმებით, მაგრამ მეორე მხრიდან შევხედოთ ვითარებას - ეროვნულზე თამაშზე თანხმობით, ჩვენ რუსთაველ გულშემატკივრებს შეურაცხყოფას არ მივაყენებთ? მაშინ რისთვის ვამონტაჟებთ სტადიონზე სკამებს? აღმოსავლეთ ტრიბუნაზე სამუშაოები მთლიანად დასრულდა და 3000 სკამი მაყურებლის მისაღებად მზადაა. დასავლეთზე 5 მაისამდე 1500 სკამს დავამონტაჟებთ. 7 მაისამდე გასახდელები მზად იქნება, მაისის ბოლომდე კი 1400 ლუქსიანი განათებაც გვექნება. ამ ყოველივეს იმიტომ არ ვაკეთებთ, რომ თბილისში ვითამაშოთ. გუნდს რუსთავში უამრავი გულშემატკივარი ჰყავს და თბილისში სიარულით რატომ დავღალოთ, როცა სახლში შეუძლიათ მხარდაჭერა? საშინაო მატჩის პლუსი გულშემატკივართა მხარდაჭერაა. ამ კოზირზე რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს?

**- ლამაზი ფეხბურთის ჩვენება შეიძლება კი რუსთავის მოედანზე?**

- თქვენ უნდა ნახოთ, ახლა რა მდგომარეობაშია ჩვენი მოედანი. ძალიან კარგად ვუვლით და მოედანი საუცხოოდ გამოიყურება. ასე რომ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც დაიგეგმა - თამაში რუსთავში ჩატარდება.

**ასეთი განცხადების მერე ძნელად სავარაუდოა ფედერაციის ხელმძღვანელთა და კლუბების წარმომადგენელთა სავარაუდო შეხვედრამ შედეგი გამოიღოს. ჩვენი ინფორმაციით ასეთი შეხვედრა დღეისთვისაა დაგეგმილი - ფედერაციამ ოფიციალურად უნდა შესთავაზოს მხარეებს მატჩის ეროვნულ სტადიონზე გამართვა.**

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი. კახა კალაძე

# ჩემი წასვლა არც მილანს სურს და არც მე

რუსულ პრესაში ინფორმაციები გაჩნდა, იტალიური მედია ამტკიცებს, **კახა კალაძე** "მილანს" ზაფხულში დატოვებსო.

*"იტალიური პრესა ვარაუდობს, რომ საქართველოს ნაკრების მცველისა და "მილანის" მწვრთნელის კონფლიქტი კარლო ანჩელოტის სასარგებლოდ გადაწყდება. ანუ ის პოსტზე დარჩება, კალაძე კი ახალ კლუბს მოძებნის.*

*აშკარაა, რომ ანჩელოტი მომავალ სეზონში ქართველ მცველს არ დაეყრდნობა. "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩში, ტრავმირებული მალდინის ნაცვლად, ანჩელოტიმ მოედანზე შეუშვა არა კალაძე, არამედ დანიელ ბონერა, რომელმაც სეზონში საკმაოდ ბევრი შეცდომით დაამახსოვრა თავი სპეციალისტებს.*

*ამას გარდა, "როსონერები" არ მალავენ, რომ ორ ძლიერ ცენტრალურ მცველს ეძებენ. ყველაზე ხშირად ახსენებენ ანდრეა ბარძალის, ფილიპ მექსესა და კრისტიან კივუს"*, - წერენ რუსები.



ინფორმაცია, რომ კალაძესა და "რომას" მცველ მექსეს ერთმანეთში ცვლიან, ჯერ კიდევ ორი თვის წინათ კახამ "ლელოსთან" საუბარში უარყო და რომალებთან თანამშრომლობა კატეგორიულად გამორიცხა - "მილანის" ვიცე-კაპიტანს მაგათთან რა მესაქმებაო.

ინფორმაციები კალაძისა და **ანჩელოტის** კონფლიქტზე, ეტყობა, იმდენად აქტუალურია, რომ ქართველმა მცველმა "რეალ სოკერთან" ამაზე კომენტარიც კი გააკეთა: *"ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ხმები, თითქოს "ასკოლისთან" სათადარიგოებში ჯდომა ვიუკადრისე. ვესაუბრე ანჩელოტის და ვუთხარი, რომ თავს ცუდად ვგრძნობდი და თამაშს ვერ შევძლებდი. მწვრთნელმა გამიგო, დაისვენე, არაა პრობლემაო"*.

გუშინ საქართველოს ნაკრების კაპიტანს მილანში დავუკავშირდით და ბოლო პერიოდში თავს გადახდენილ მოვლენებზე ვესაუბრეთ:

**- კახა, სრულად გამოჯანმრთელდი თუ ტკივილს კიდევ უჩივი?**

- ტრავმის შემდეგ კი მოვმჯობინდი და ჩემპიონატშიც ვითამაშე, მაგრამ ტკივილმა ისევ შემახსენა თავი. "მანჩესტერთან" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველ მატჩიც ამიტომ გამოვტოვე. ახლა ბევრად უკეთ ვარ და შეიძლება ითქვას, რომ მალე მწყობრში ვიქნები.

**- ესე იგი თამაშს მალე შეძლებ?**

- დიახ, გუნდთან ერთად უკვე სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და მომავალ ტურში "ფიორენტინასთან" მატჩშიც ვითამაშებ.

**- ახალ სეზონს კვლავაც "მილანში" დაიწყებ თუ მისამართს შეიცვლი?**

- "მილანში" ვარ და სხვა გუნდზე არ ვფიქრობ ან და რატომ უნდა ვიფიქრო, როცა თავს მშვენივრად ვგრძნობ. გუნდშიც კარგად იციან ჩემი შესაძლებლობები, მაფასებენ, ჩემი სჯერათ და გამოჯანმრთელებას ელიან.

**- კიდევ ერთხელ გაჩნდა ცნობები შენი სხვა გუნდში შენი გადასვლის შესახებ...**

- მერწმუნეთ, მორიგი ჭორია. სხვა რა ვუწოდო, როცა კლუბთან კვლავაც ხანგრძლივი კონტრაქტი მაკავშირებს. ამავე დროს, არც ჩემს და არც კლუბის ინტერესებში არაა ჩემი სხვა გუნდში გადასვლა. ყოველ წელს ჩემპიონობისთვის ვიბრძვით, ჩემპიონთა ლიგაზე მინიმუმ ნახევარფინალში მაინც გავდივართ. სხვა უკეთეს გუნდში სად უნდა წავიდე?

**- ამბობენ, ამჯერად თავად მილანს" სურს შენი დათმობა...**

- ეს მორიგი სპეკულაციებია და მართალი გითხრათ, ამას ყურადღებას აღარც კი ვაქცევ.

**- იმასაც ამბობენ "მილანის" მთავარ მწვრთნელ კარლო ანჩელოტისთან კალაძეს კონფლიქტი აქვსო..**

- მსგავსი არაფერი მომხდარა. კარლო ანჩელოტისთან და საერთოდ "მილანის" ხელმძღვანელებთან კვლავაც ჩინებული ურთიერთობა მაკავშირებს.

**- სეზონი დასასრულს უახლოვდება. უახლოეს გეგმებზე რას გვეტყოდი?**

- მაისის ბოლოს ეროვნულ ნაკრებს შევუერთდები. ლიტვასა და საფრანგეთში მორიგი მნიშვნელოვანი მატჩები გველის და წარმატებული თამაშისთვის ყველაფერი უნდა გავილოთ.

**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაბაძე**

არჩევნებამდე

# ახალკაცი იმერეთსა და აჭარაში

## ნემსაძე აფხაზეთს შეხვდა

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებამდე დარჩენილი პერიოდის მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოყენებას ცდილობენ პრეზიდენტობის კანდიდატები.

**ნოდარ ახალკაცი** გუშინ იმერეთსა და აჭარას ეწვია. ფედერაციის თავკაცი რეგიონებს **კლაუს ტოპმიოლერთან, გრიგოლ ცაავასთან, რევაზ არველაძესა** და სხვა თანაგუნდელებთან ერთად ეწვია. როგორც შევიტყვეთ, ქუთაისში ახალკაცი და მისი თანმხლებნი "ჯეთიქს ქიდსის" თასის გათამაშებას დაესწრო, მერე კი იმერეთის რეგიონული ფედერაციისა და ქუთაისის 'ტორპედოს" ხელმძღვანელებს შეხვდა.

იმერეთიდან ახალკაცმა აჭარისკენ აიღო გეზი. ბათუმში ბავშვთა სპორტკომპლექსი "ადელი" მოინახულა. მერე კი "ბათუმის" ხელმძღვანელებსა და აჭარის მთავრობის პირველ პირს, **ლევან ვარშალომიძეს** შეხვდა. *"იმერეთსა და აჭარაში მნიშვნელოვანი შეხვედრები გვქონდა. ლევან ვარშალომიძესთან რეგიონში ფეხბურთის განვითარებაზე ვისაუბრეთ. მალე ბათუმში საერთაშორისო აეროპორტი გაიხსნება, რაც ამ რეგიონის საერთაშორისო დატვირთვას გაზრდის და ფეხბურთის განვითარებასაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს"*, - ლელოსთან საუბარში განაცხადა ახალკაცმა.

დღეს ნოდარ ახალკაცი სამეგრელოს უნდა ეწვიოს და იქაური ფეხბურთის ფედერაციისა და კლუბების ხელმძღვანელებს შეხვდეს.

მისგან განსხვავებით შაბათს **გიორგი ნემსაძე**, მისი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი **გია ფირცხალავა** და ნემსაძის გუნდის წევრები აფხაზეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

*"აფხაზეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას, ალმასკომის რამდენიმე წევრთან ერთად, შეხვედრა გვქონდა გიორგი ნემსაძესთან. იყვნენ კლუბების, "ცხუმის", "გაგრისა" და "ოჩამჩირის" წარმომადგენლებიც. საუბარი საათზე მეტხანს გაგრძელდა. ნემსაძემ საკუთარი პროგრამა წარმოგვიდგინა, გვესაუბრა ქართული ფეხბურთის განვითარების თავისეულ ხედვაზე, ბავშვთა ფეხბურთზე, სახელმწიფოს მიდგომაზე ფეხბურთთან... გიორგი ნემსაძეს აფხაზეთის კონფერენციასა და ჩვენს მომავალ გეგმებზეც ვესაუბრეთ. მას სურს უფრო მეტი სარგებელი მოუტანოს ქართულ ფეხბურთს და იმედი აქვს, ამისი საშუალება მიეცემა"*, - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში აფხაზეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ **მურად ანჯაფარიძემ**.

მასთან საუბარში გავარკვიეთ, რომ აფხაზეთის რეგიონულ ფედერაციას, ჯერჯერობით არც ყრილობის დელეგატები შეურჩევია და არც საკუთარი არჩევანი გაუკეთებია, თუ ვის დაუჭერს მხარს. ამასთან, როგორც ირკვევა აფხაზეთის ფედერაციასთან შეხვედრას, კანდიდატობის მსურველი **მამუკა კვარაცხელიაც** გეგმავს, თუმცა შეხვედრის თარიღი ჯერჯერობით შეთანხმებული არაა.

**დავით ცაბაძე**

კომენტარი

# გოგი ქავთარაძე: სომხეთსა და აზერბაიჯანს არ მოუმართავთ

## უეფა მტრებს თამაშს დაუდგენს

აზერბაიჯანისა და სომხეთის ფეხბურთის ფედერაციების მოლაპარაკება შესარჩევი ტურნირის მატჩების გამართვის ადგილთან დაკავშირებით წარუმატებლად დასრულდა.

კალენდრის მიხედვით, 8 სექტემბერს გუნდები სომხეთში უნდა შეხვდნენ, ოთხ დღეში, 12 სექტემბერს კი აზერბაიჯანში. თუმცა აზერბაიჯანელები ნეიტრალურ მოედანზე თამაშს ითხოვენ. უეფას მიერ საგანგებოდ მოწყობილ თათბირზე კიდევ ერთხელ განიხილეს დღემდე შეუთანხმებელი საკითხი. თუმცა საკითხის გადაწყვეტა ვერც მაშინ მოხერხდა.

რუსული სააგენტო იტარ-ტასის ინფორმაციით, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფეხბურთის ფედერაციებს თავის სამსახურს საქართველო და უკრაინა სთავაზობენ. თუმცა ქართული მხარე ინფორმაციას არ ადასტურებს. ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** ვითარებაში უკეთ გვარკვევს: *"ოფიციალურად არც აზერბაიჯანისა და არც სომხეთის ფეხბურთის ფედერაციებისთვის ასეთი წინადადებით არ მიგვიმართავს. არც არაოფიციალურად გვისაუბრია და ჩვენთვის უცნობია, "იტარ-ტასი" ასეთ ინფორმაციას რის საფუძველზე აქვეყნებს".*

ქვეყნებს შორის არსებული დამოკიდებულებიდან გამომდინარე სტადიონზე უსაფრთხოების სამსახურის მუშაობაც უმძიმესი იქნება. სხვათა შორის, თბილისში მატჩის გამართვის მოწინააღმდეგეებს არგუმენტად სწორედ ეს ფაქტი მოჰყავთ. რაიმე არეულობა რომ მოხდეს, ამით ქართულ მხარესაც საქმე გაუფუჭდება - აქაოდა, მატჩის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფთო.

თუმცა, ქავთარაძის თქმით, ეს არგუმენტი არაფერ შუაშია.

*"უეფას აღმასკომმა უნდა გადაწყვიტოს, შეხვედრაზე მაყურებელს მისცემენ თუ არა დასწრების უფლებას. თუმცა ეს იმ სხდომის შემდეგ გაირკვევა, რომელზეც საბოლოოდ გადაწყდება - შეხვედრას მეტოქეები საკუთარ სტადიონებზე ჩაატარებენ თუ ნეიტრალურ ქვეყანაში. მანამდე უსაგნო საუბარი გამოგვივიდოდა, აზერბაიჯანისა და სომხეთისთვის ჩვენი დახმარება რომ შეგვეთავაზებინა. თუკი უეფა ნეიტრალურ მოედანს აირჩევს, მაშინ შეიძლება ამაზე დაფიქრება"*, - აღნიშნა ქავთარაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**



ნოდარ ახალკაცი და ვიქტორია შტურმი

პეპსის თასი

# ფეხბურთისა და ჰარმონიისთვის

ბავშვთა შორის "პეპსის თასის" გათამაშება შარშან პირველად ჩატარდა. პროექტის განხორციელებაში ფეხბურთის ფედერაციასა და ეზოს ფეხბურთის ასოციაციას მხარში ამოუდგნენ თბილისის მერია, სპორტისა და კულტურის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. გათამაშების გენერალური სპონსორი კომპანია "პეპსი" გახლდათ და ამიტომაც გათამაშებას "პეპსის თასი" ეწოდა.

ცოტა ხნის წინათ ფედერაციასა და დედაქალაქის მერიას შორის პროექტის 2010 წლამდე გაგრძელების თაობაზე სპეციალური მემორანდუმი გაფორმდა. სწორედ ანალოგიური აქტი გაფორმდა ფედერაციასა და "პეპსის" შორისაც შაბათს, რასაც იმავე დღეს პრესკონფერენცია მიეძღვნა.

**ნოდარ ახალკაცი (ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):**

- შარშან "პეპსის თასის" გათამაშება წარმატებით ჩატარდა. ეს ტურნირი მასობრივი ფეხბურთის განვითარებას, ცხოვრების ჯანსალი წესის დამკვიდრებას, მომავალი თაობის ჯანმრთელობას ემსახურება. ტურნირის ჩატარებაში ლომის წილი კომპანია "პეპსის" მიუძღვის და მადლიერი ვარ კომპანიის ხელმძღვანელობისა და პირადად ვიქტორია შტურმის. ჩვენ გადავწყვიტეთ, 2010 წლამდე გავაფორმოთ პარტნიორობის მემორანდუმი.

**ვიქტორია შტურმი ("პეპსის" კორპორატიული ურთიერთობების დირექტორი)**

- ტურნირი ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრებას, ჰარმონიულ განვითარებას ემსახურება. ამასთან, ეს გათამაშება ბავშვებში გუნდური სულის გაღვივებას უწყობს ხელს. პირველი ტურნირი წარმატებით ჩატარდა და მჯერა, მას მომავალშიც არ მოაკლდება პოპულარობა.

**დიმიტრი ბოკერია (ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი):**

- "პეპსის თასის" ახალი გათამაშება 5 მაის დაიწყება. შარშან ეს ტურნირი მხოლოდ თბილისში ჩატარდა, ამჯერად კი გათამაშება მთელ საქართველოს მოიცავს. მასში სულ 450-500 სკოლა და 5 ათასამდე ბავშვი მიიღებს მონაწილეობას. შარშან ამ გათამაშებაში თბილისის 166-ე სკოლამ გაიმარჯვა. წლევანდელ გათამაშებაში, "პეპსის" თასის გარდა სხვადასხვა პრიზებია დაწესებული. ტურნირის ყველა ორგანიზატორი გამორჩეულ საჩუქრებს ჰპირდება გათამაშების მონაწილეებს.

**დავით ცაბაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა. 29-ე ტური

| | |
|---|---|
| მგლები-ზესტაფონი 2 | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია 2-მესხეთი | 2:0 |
| მეშახტე-მალაროელი | 2:2 |
| მეშაქრე-მერცხალი | 3:0 |
| სამტრედია-გაგრა | 1:3 |
| ოლიმპი-დინამო 2 | 2:2 |
| გურია-ნ/დინამო | 1:4 |
| ჩიხურა 2-ამერი 2 | 0:2 |
| სპარტაკი-რაჭა | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 29 | 22 | 2 | 5 | 50-19 | 68 |
| 2. მესხეთი | 28 | 19 | 4 | 5 | 51-16 | 61 |
| 3. ვიტ ჯორ.ა 2 | 29 | 14 | 6 | 9 | 50-25 | 48 |
| 4. მეშაქრე | 29 | 13 | 9 | 7 | 35-25 | 48 |
| 5. გაგრა | 29 | 14 | 5 | 10 | 42-34 | 47 |
| 6. მალაროელი | 29 | 13 | 8 | 8 | 42-31 | 47 |
| 7. ოლიმპი | 29 | 13 | 7 | 9 | 48-32 | 46 |
| 8. ამერი 2 | 29 | 12 | 10 | 7 | 46-33 | 46 |
| 9. ნ. დინამო | 28 | 13 | 4 | 11 | 44-40 | 43 |
| 10. სამტრედია | 29 | 11 | 8 | 10 | 28-36 | 41 |
| 11. მეშახტე | 29 | 10 | 6 | 13 | 40-38 | 37 |
| 12. დინამო 2 | 29 | 9 | 10 | 10 | 48-31 | 37 |
| 13. ზესტაფ. 2 | 29 | 8 | 10 | 11 | 25-30 | 34 |
| 14. რაჭა | 28 | 7 | 10 | 11 | 26-39 | 31 |
| 15. ჩიხურა 2 | 29 | 8 | 4 | 17 | 25-51 | 28 |
| 16. სპარტაკი | 28 | 7 | 4 | 16 | 17-39 | 25 |
| 17. გურია | 29 | 6 | 6 | 17 | 28-62 | 24 |
| 18. მერცხალი | 28 | 2 | 4 | 22 | 19-80 | 10 |

### რეგიონული ლიგა.

აღმოსავლეთი ზონა

**XXII ტური**

| | |
|---|---|
| გაგრა 2-სიონი 2 | 2:2 |
| ჰერეთი-გარეჯი | 3:2 |
| ფორვარდი-ნ. დინამო 2 | 3:1 |
| თბილისი-რუსთავი | 1:1 |
| სამგორი-ცხუმი | გადაიდო |
| ოჩამჩირე-ხრამი | გადაიდო |
| ალგეთი | ისვენებს |

**XIX ტურის გადადებული მატჩი**

| | |
|---|---|
| ფორვარდი-სიონი 2 | 0:6 |

**XXI ტურის გადადებული მატჩი**

| | |
|---|---|
| რუსთავი-ჰერეთი | 1:2 |
| ალგეთი-ნ. დინამო 2 | 3:1 |
| ფორვარდი-ხრამი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა 2 | 22 | 15 | 6 | 1 | 58-23 | 51 |
| 2. ცხუმი | 21 | 15 | 3 | 3 | 42-13 | 48 |
| 3. სიონი 2 | 23 | 12 | 9 | 2 | 45-20 | 45 |
| 4. ალგეთი | 22 | 14 | 1 | 7 | 35-24 | 43 |
| 5. სამგორი | 21 | 13 | 3 | 5 | 61-28 | 42 |
| 6. ჰერეთი | 23 | 12 | 4 | 7 | 43-26 | 40 |
| 7. გარეჯი | 22 | 10 | 5 | 7 | 38-28 | 35 |
| 8. თბილისი | 23 | 10 | 3 | 10 | 49-43 | 33 |
| 9. ხრამი | 22 | 8 | 7 | 7 | 34-32 | 31 |
| 10. ოჩამჩირე | 22 | 7 | 5 | 10 | 33-37 | 26 |
| 11. რუსთავი | 23 | 6 | 5 | 12 | 24-32 | 23 |
| 12. ფორვარდი | 22 | 6 | 2 | 14 | 27-59 | 20 |
| 13. ნ/დინამო 2 | 22 | 5 | 5 | 12 | 29-47 | 20 |
| 14. არაგველები | 28 | 4 | 4 | 20 | 24-71 | 16 |
| 15. დურუჯი | 28 | 2 | 2 | 24 | 16-81 | 8 |



საქართველო-აზერბაიჯანი

ევროპის რეგიონთა თასი

# ფრე და შანსი

აზერბაიჯანში მიმდინარე მოყვარულთა შორის ევროპის თასის გათამაშებაზე მეორე ტურის მატჩები გაიმართა. სერბეთისა და შვეიცარიის ნაკრებთა მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. ამის მერე "შაფას" სტადიონის სავსე ტრიბუნების წინ საქართველოსა და აზერბაიჯანის ნაკრებები წარსდგნენ. ორივე გუნდს გამარჯვება ესაჭიროებოდა, დაწინაურებულ ევროპლებთან ქულათა სხვაობა ერთამდე რომ დაეყვანათ. გამომდინარე აქედან მეტოქეებს შორის მინდორზე რომ იტყვიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. ტრიბუნების შეძახილებით შეგულიანებულმა მასპინძლებმა სასტარტო 10 წუთში მედგრად შემოგვიტიეს, მაგრამ ჩვენმა მეკარემ იყოჩაღა რამდენიმე ეპიზოდში. ამის შემდეგ ქართველები დალაგდნენ და ნახევარდაცვის აქტიური თამაშით უპირატესობაც მოიპოვეს. შედეგად 31-ე წუთზე **ჭკადუა** გავიდა პირისპირ მეკარესთან და თანაგუნდელებიც დააწინაური - 1:0. მეორე ტაიმის დასაწყისში მეტადაც შეგვეძლო დაწინაურება, მაგრამ იმავე ჭკადუამ ცარიელ კარში ვერ გაიტანა. შემდეგ კი ამუშავდა ფეხბურთის დაუწერელი კანონი და მასპინძლებმა 65-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს. საბოლოოდ მატჩი ასეც დასრულდა.

**მერაბ ბრძელიძე**
ბაქოდან

# ადამია რუმინელებს არ დაელოდა

ქართველი თავდამსხმელი **გიორგი ადამია** ბაქოს "ნეფთჩიში" კიდევ ერთი წელი დარჩება. 25 წლის ფორვარდმა ეს გუშინ ჩვენთან საუბრის დროს გაამხილა:

*"რამდენიმე დღის წინათ "ნეფთჩის" პრეზიდენტი კიდევ ერთხელ დამელაპარაკა დარჩენაზე და ახალი შეთანხმება წინ დამიდო. მართალია, წასვლა მსურდა და რამდენიმე საინტერესო წინადადებაც შემომთავაზეს, მაგრამ საბოლოოდ ისევ "ნეფთჩიში" თამაში ვამჯობინე და ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე".*

ერთი თვის წინათ "ლელოსთან" საუბარში გიორგიმ განაცხადა, რომ მისით ბუქარესტის "რაპიდი" იყო დაინტერესებული. ბუნებრივია, ასეთი ტრადიციის მქონე კლუბზე უარის თქმა და აზერბაიჯანში დარჩენის სურვილი გაუგებარია და კითხვებიც დაგვებადა.

*"რა თქმა უნდა, "რაპიდში" თამაში უფრო პრესტიჟულია, მაგრამ კონკრეტული არაფერი შემომთავაზეს და გაურკვევლობაში ყოფნას აზერბაიჯანში დარჩენა ამიტომ ვარჩიე. ისე, ჩემმა მენეჯერმა ეს ამბავი რომ გაიგო, გაგიჟდა, რატომ არ მკითხე, რუმინელები სეზონის დასრულებას ელოდნენ და დაგელაპარაკებოდნენო. გული მეც მწყდება, მაგრამ გაურკვევლობა არ მიყვარს. რუმინელთა მოლოდინში, "ნეფთჩიში" საქმე მიფუჭდებოდა. საბოლოოდ, რუმინული ვარიანტი რომ ჩაშლილიყო, აქაც ვერ დავრჩებოდი და დროსაც ტყუილად დავკარგავდი"*, - გვითხრა ადამიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონი

# დრამატული ფინალი და გაფრენილი ჩემპიონობა

## ქართველებო, ნუღარ წახვალთ უკრაინაში!

**გუშინ** ევროპაში ერთმა ქართველმა ლეგიონერმა ძალზე დრამატულ ვითარებაში დაკარგა ჩემპიონობა, რომელიც თითქმის მოპოვებული ჰქონდა - შოთა არველაძე ერთადერთი იყო ნაგებული და მორალურად განადგურებული "ალკმაარიდან", რომელმაც მოიფიქრა მატჩის შემდეგ "ალკმაარის" ფანთა სექტორთან მისვლა და გულშემატკივრობისთვის მადლობის გადახდა. ის ნაგებასაც ღირსეულად შეხვდა..

### ექსელსიორი, ალკმაარის გილიოტინა

მოდით, უსიამოვნო ამბავშიც კარგი ვეძებოთ - **შოთა არველაძე** ხომ შეგვპირდა, თუ ჩემპიონები გავხდებით კარიერას დავასრულებო - ვერ გახდა მისი "ალკმაარი" ჰოლანდიის ჩემპიონი და შესაბამისად, ბოლო პერიოდის საუკეთესო ქართველი ფორვარდი კარიერას ჯერ არ დაასრულებს, რაც ერთმნიშვნელოვნად კარგია.

ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ნამდვილი დრამა გათამაშდა. ტურს "ალკმაარი", "აიაქსი" და "ეინდჰოვენი" 72-72 ქულით შეხვდნენ. გატანილი და გაშვებული გოლების უკეთესი შეფარდებით, არველაძე და კომპანია მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში ხდებოდა ჩემპიონი (ძნელი საფიქრებელი იყო, რომ "აიაქსი" რვა, ხოლო "ეინდჰოვენი" ცხრა გოლის სხვაობით მოიგებდნენ). მაგრამ გუშინ საჩემპიონო გუნდისა "ალკმაარს" მხოლოდ პირველ წუთებში ეტყობოდა, როცა შოთა არველაძეს ორი საგოლე მომენტი ჰქონდა. "ექსელსიორმა" მოინდომა და **ლუის ვან გაალის** გუნდი სულაც დაამარცხა - 3:2. "ალკმაარმა" ჩემპიონატი მესამე ადგილზე დაასრულა და ახლა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ფლეი-ოფში ითამაშებს. ჩემპიონი კი "ეინდჰოვენი" გახდა, რომელმაც ბოლო ტურში "ვიტესი" 5:1 დაამარცხა. შოთამ ჩემპიონატი 15 გოლით და 6 საგოლე პასით დაასრულა. ლიგის საგზურისთვის ფლეი-ოფში "ალმკაარი" "ტვენტეს" შეხვდება.

### ხუმარებს ფორტუნა კარგად ეხუმრება

იტალიაში **კახა კალაძის** "მილანმა" ჩვენებურის გარეშე მოუგო "ტორინოს" 1:0. კახამ წინა ტურში წითელი ბარათი მიიღო. ინგლისში "ბლექბერნ როვერსმა" 4:1 დაამარცხა "ჩარლტონი". **ზურაბ ხიზანიშვილი** განაცხადშიც არ ყოფილა. გერმანიაში "შალკეს" კვლავ უმართლებს, გუშინ მისმა უახლოესმა კონკურენტმა "ვერდერმა" ბილეფელდში "არმინიასთან" წააგო - 2:3. ამით **ლევან კობიაშვილის** კლუბმა ლიდერობა შეინარჩუნა (62 ქულა), მას მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება "შტუტგარტი", "ვერდერი" კი - ორით.

**ალექსანდრე იაშვილისა** და **ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგმა" ოფენბახში "კიკერსი" 3:2 დაამარცხა და 54 ქულა მოაგროვა. მართალია, ფინკეს შეგირდებს ისევ მეხუთე ადგილი უჭირავთ, მაგრამ წინა ორ კლუბს (დუისბურგი, ფიურტი) ქულებით არ ჩამორჩებიან, მეორეადგილოსან "ჰანზამდე" კი მხოლოდ ერთი ქულა აშორებთ. სასიხარულოა, რომ ოთარმა ტრავმა მოიშუშა და სათადარიგოთა სკამზე გამოჩნდა. 73-ე წუთზე იაშვილმა მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა, **სანუს** პასი მისცა და ბურკინაფასოელმაც უპრობლემოდ აილო მეტოქის კარი. როგორც შემდეგ ალმოჩნდა, ეს გამარჯვების მომტანი გოლი ყოფილა, რადგან "ფრაიბურგმა" ამის შემდეგ ორი გოლი გაუშვა. ეს იაშვილის მეცამეტე საგოლე პასია სეზონში, ამ მხრივ, ქართველი კარლსრუელ **ფედერიკოსთან** ერთად პირველია მთელს მეორე ბუნდესლიგაში. "ფრაიბურგს" სამი მატჩი დარჩა გასამართი: ორი შინ ("პადერბორნთან" და "კობლენცთან") და ერთი სტუმრად ("კარლსრუესთან").

### ფრე აეკ-თან

ძალზე ცუდად თამაშობს **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგი", დანიის ჩემპიონატში კლუბმა აპრილში შვიდი მატჩიდან ექვსი წააგო. "ვიბორგი" ამჯერად სტუმრად 2:3 დამარცხდა "რანდერსთან". საბერძნეთში აეკ-თან გასვლით ფრეს (0:0) მიაღწია **ლევან მაღრაძის** "ქსანთიმ", ქართველმა ლეგიონერმა შეუცვლელად ითამაშა. **ლევან ცქიტიშვილის** "პანიონიოსი" კი კუნძულ კრეტაზე 1:3 დამარცხდა, ლევანი მატჩის 82-ე წუთზე შეცვალეს. "პანიონიოსი" 42 ქულით მეხუთეა, "ქსანთი" 36 ქულით - მეათე.

### მხოლოდ კანკავა და კვირკველია

უკრაინის ჩემპიონატის 24-ე ტური დონეცკში გაიხსნა, "მეტალურგმა" 2:1 დაამარცხა "კრივბასი", სამი ქართველიდან ამ მატჩის განაცხადში მხოლოდ ერთი იყო, ისიც სათადარიგოთა სკამზე. **ვასილ გიგიაძე** 77-ე წუთზე შევიდა მოედანზე, მაგრამ თავი ველარ გამოიჩინა. მასპინძლებში **გიორგი დემეტრაძე** განაცხადშიც არ ყოფილა. მატჩის შემდეგ ოლეგ ტარანმა ბურდული ტრავმირებულად გამოაცხადა, ხოლო გიგიაძის შესახებ აღნიშნა, რომ წინა მატჩში კარგად ვერ ითამაშა და მას დასვენების, ხოლო სხვებს თავის გამოჩენის შანსი მისცა. იმავე დღეს კიევის "დინამომ" კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ, სტუმრად "ტავრია" 4:2 დაამარცხა. თუმცა ქართველებმა პარასკევს, დუბლებში ითამაშეს, **კახა ალადაშვილი, დავით იმედაშვილი** და **ოთარ მარცვალაძე** 90-90 წუთი იყვნენ მოედანზე, "დინამოს" დუბლები კი მეტოქეს 1:1 დაუზავდნენ.

**ჯაბა კანკავას** "დნეპრმა" შინ ვერ დაამარცხა "კარპატი" - 2:2. ჯაბამ შეუცვლელად ითამაშა. "ილიჩივეცი"-"მეტალურგის" მატჩში (1:0) მასპინძელთა განაცხადშიც არ ყოფილა **გიორგი ციმაკურიძე**. **დავით კვირკველიამ** 90 წუთი ითამაშა ნაგებულ გუნდში, ხოლო **ირაკლი მოდებაძე** 72-ე წუთზე შევიდა მოედანზე. კიდევ ერთი ქართველი ფორვარდი გამოვიდა მატჩის მიწურულს, კიევში "არსენალისა" და "ხარკოვის" დაპირისპირებაში (1:1), **ლაშა ჯაკობია** მასპინძელთა რიგებში მხოლოდ 83-ე წუთზე გამოჩნდა. უკრაინის ჩემპიონატში 14 ქართველი ლეგიონერი ირიცხება, აქედან ბოლო ტურში სასტარტო შემადგენლობაში იყო მხოლოდ ორი (კანკავა და კვირკველია), რვას არ უთამაშია (შვიდი განაცხადშიც კი არ იყო), დასკვნები თქვენთვის მოგვინდია..

### მუჯირმა სასტარტო დაკარგა

რუსულ პრემიერლიგაში მეშვიდე ტურის მატჩებიდან ქართველთა ყველაზე შესამჩნევი ქმედება **გოგიტა გოგუას** ყვითელი ბარათი იყო. გოგიტამ ცსკასთან გასვლით მატჩში დაიმსახურა. მისი "სატურნი" კი 1:3 დამარცხდა. ნალჩიკის "სპარტაკი" სტუმრად 0:1 დამარცხდა "ხიმკისთან". **ალეკო ამისულაშვილმა** სრულად ითამაშა, ხოლო **ლევან გვაზავა** მე-60 წუთზე შევიდა მოედანზე. "კრილია სოვეტმა" "ამკარი" დაამარცხა - 1:0. **დავით მუჯირი** სათადარიგო იყო, ის 37-




მათე ლვინიანიძე

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა, პრემიერლიგა, XXXVI ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-ჩარლტონი | 4:1 | არ უთამაშია | 17 თ, 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A, XXXIV ტური | | | | |
| კახა კალაძე | ტორინო-მილანი | 0:1 | არ უთამაშია, დისკვალიფიკაცია | 15 თ, 1 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XXXI ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ბოხუმი-შალკე | 2:1 | 28 წუთი (შეცვლაზე) | 26 თ, 3 გ. |
| II ბუნდესლიგა, XXXI ტური | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | კიკერსი-ფრაიბურგი | 2:3 | 90 წუთი, საგოლე პასი | 29 თ, 9 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | კიკერსი-ფრაიბურგი | 2:3 | არ უთამაშია, სათადარიგო | 12 თ, 1 გ. |
| დავით სირაძე | პადერბორნი-აუე | 1:0 | არ უთამაშია | 24 თ, 2 გ. |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი-დუისბურგი | 3:3 | 90 წუთი | 12 თ, -14 გ. |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი-დუისბურგი | 3:3 | არ უთამაშია, ტრავმა | 9 თ, 4 გ. |
| მათე ლვინიანიძე | კობლენცი-მიუნხენი | 2:1 | 69 წთ (შეცვალეს) | 18 თ, 1 გ. |
| **ჰოლანდია** | | | | |
| ერედივიზიე, XXXIV ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ექსელსიორი-ალკმაარი | 3:2 | 90 წუთი | 29 თ, 15 გ. |
| **საბერძნეთი** | | | | |
| სუპერლიგა, XXIX ტური | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | ოფი-პანიონიოსი | 3:1 | 82 წუთი (შეცვალეს) | 18 თ, 2 გ |
| ლევან მაღრაძე | აეკ-ქსანთი | 0:0 | 90 წუთი | 22 თ, 0 |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, XXXIV ტური | | | | |
| კახა ალადაშვილი | ტავრია-დინამო | 2:4 | არ უთამაშია, დუბლები | 6 თ, 0 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | ტავრია-დინამო | 2:4 | არ უთამაშია, დუბლები | 3 თ, 0 გ. |
| დავით იმედაშვილი | ტავრია-დინამო | 2:4 | არ უთამაშია, დუბლები | 16 თ, 4 გ. |
| ჯაბა კანკავა | დნეპრო-კარპატი | 2:2 | 90 წუთი | 19 თ, 4 გ. |
| რევაზ ბარაბაძე | დნეპრო-კარპატი | 2:2 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | ვორსკლა-ჩერნომორეცი | 0:0 | არ უთამაშია, სათადარიგო | 17 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | მეტალურგი დ.-კრივბასი | 2:1 | არ უთამაშია | 14 თ, 2 გ. |
| ლადო ბურდული | მეტალურგი დ.-კრივბასი | 2:1 | არ უთამაშია | 20 თ, 1 გ. |
| ვასილ გიგიაძე | მეტალურგი დ.-კრივბასი | 2:1 | 13 წუთი (შეცვლაზე) | 24 თ, 11 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩივეცი-მეტალურგი ზ. | 1:0 | არ უთამაშია | 13 თ, 0 გ. |
| დავით კვირკველია | ილიჩივეცი-მეტალურგი ზ. | 1:0 | 90 წუთი | 19 თ, 4 გ. |
| ირაკლი მოდებაძე | ილიჩივეცი-მეტალურგი ზ. | 1:0 | 18 წთ (შეცვლაზე) | 19 თ, 3 გ. |
| გიორგი ძელიძე | მეტალისტი-ზარია | 1:0 | 30 წთ (შეცვლაზე), გააფრთხ. | 6 თ, 1 გ. |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი-ხარკოვი | 1:1 | 7 წუთი (შეცვლაზე) | 11 თ, 2 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერლიგა, VII ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | ცსკა-სატურნი | 3:1 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 5 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი-როსტოვი | 0:0 | არ უთამაშია, სათადარიგო | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-სატურნი | 0:0 | არ უთამაშია, სათადარიგო | 3 თ, 0 გ. |
| დავით მუჯირი | კრილია სოვეტოვი-ამკარი | 1:0 | 53 წუთი (შეცვლაზე) | 6 თ, 1 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-მოსკვა | 0:0 | არ უთამაშია, ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | ხიმკი-სპარტაკი ნ. | 1:0 | 90 წუთი | 7 თ, 0 გ. |
| ლევან გვაზავა | სპარტაკი ნ.-ლოკომოტივი | 0:0 | 30 წთ (შეცვლაზე) | 5 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, XXV ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | რანდერსი-ვიბორგი | 3:2 | 90 წუთი | 8 თ, 0 გ. |




იაშვილი და მისი თანაგუნდელები კიდევ ერთგამარჯვებას ზეიმობენ

## იტალია. სერია A. XXXIV ტური

# არშემდგარი სანახაობა



რომა-ლაციო. უჩვეულოდ ულიმლამო დერბი

"მილანმა" ჩემპიონატში ზედიზედ მეხუთედ მოიგო და სეზონში პირველად ამოჰყო თავი მესამე ადგილზე. თუკი ტურინული შეხვედრა გენერალური ტესტი იყო "მანჩესტერთან" ოთხშაბათის სუპერჯახის წინ, მაშინ შეიძლება, ითქვას, რომ "როსონერიმ" გამოცდა წარმატებით ჩააბარა –შედეგთან ერთად თავდაჯერებული და გაზეპირებული თამაშითაც, იმის მიუხედავად, რომ მოედანზე სტუმრებს ნახევრად სარეზერვო შემადგენლობა ჰყავდათ. თუმცა, ამჯერად "მილანმა" შეტევაში ვერ გაიშალა ისე, როგორც წინა ოთხ შეხვედრაში, როცა სამჯერ სამ-სამი გოლი გაიტანა, "ასკოლი" კი სულაც ხუთი ბურთით "ასიამოვნა". მეტოქეზე დიდი უპირატესობის მიუხედავად, ახლა **რონალდო** და კომპანია ერთ გოლზე გაჩერდა. "ტორინო" ის გუნდია, რომელსაც საკუთარი მაყურებლის წინაშე ყველაზე მეტჯერ, რვაჯერ წაეგო და ამ ნუსხას შაბათს მეცხრე მარცხიც დაამატა.

ძალიან თვალშისაცემი იყო განსხვავება მასპინძელ და სტუმარ გუნდებს შორის და "მილანმაც", როგორც იტყვიან, ცარიელი კლასის ხარჯზე მოიგო, ისე, რომ მეტოქე მუდამ უსაფრთოებისთვის აუცილებელ დისტანციაზე ეჭირა და ერთხელაც არ მისცა საშუალება, რომ რეალური ხიფათი შეექმნა. ტურინელებს რომ "მილანზე" დაბალი დონისა და ტექნიკურად ბევრად მოკრძალებული გუნდი ჰყავთ, ეს თავადაც მშვენივრად იციან, მაგრამ არსად ჩანდა ცნობილი "კუორე ტორო" (ტოროს გული, ჟინი). სწორედ ამისკენ მოუწოდებდნენ ტიფოზები გუნდს პირველი ტაიმის შუაში, მაგრამ არაფერი რომ არ გამოვიდა, შესვენების შემდეგ სტვენაზე გადავიდნენ და სტადიონიც სტვენითვე დატოვეს.

მანჩესტერში დაშავებული **გატუზოსა** და **მალდინის** გარდა, **ანჩელოტიმ ოდო, იანკულოვსკი, კაკა** და **ინძაგი** დაასვენა, **კალაძემ** კი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა. **ზეედორფმა** გამთამაშებლის ადგილი კაკას მაგივრად დაიკავა და თამაში მოიგო: 26-ე წუთზე ბურთი საჯარიმოს ხაზიდან მოშორებით მიიღო და როცა კარისკენ მოტრიალდა, აღმოჩნდა, რომ გარშემო 10 მეტრის რადიუსში არავინ იდგა, თითქოს ვარჯიშზე ყოფილიყო. ჰოლანდიელმაც გადაწყვიტა, თავისი არაადამიანური ძალა გაევარჯიშებინა: ენერგიულად დასცხო და ექსთანაგუნდელ **აბიატის** "ცხრიანში" გაუტანა, 0:1. სანახაობა აქ დამთავრდა: "მილანი" შეტევას შეეშვა და "ტორინოს" გაკონტროლებაზე გადავიდა. სტუმრების ფორვარდები ძალიან პასიურობდნენ: **ჯილარდინო** ისედაც ამაზრზენ ფორმაშია, აი რონალდომ კი ყველაზე უსახური შეხვედრა ჩაატარა მას შემდეგ, რაც "მილანშია". "ტორინო" რაღაცას კი ცდილობდა, წვალობდა, მაგრამ ასეთ **ნესტასთან** რას გახდები? "როსონერის" ცენტრალურმა მცველმა საუკეთესო ფორმა დაიბრუნა და უბრალოდ, გაუვალია. 72-ე წუთზე ტურინელმა **ბრევიმ** მეორე გაფრთხილება მიიღო და მოედანი დატოვა. მასპინძლები ბედს შეურიგდნენ და ეპილოგიც კიდევ უფრო სევდიანი გამოვიდა: შეუპოვარი "ტოროს" მაგივრად მოედანზე იყო "პატარა ტორო", რომელსაც მხოლოდ ერთი მისია დარჩენოდა - კარგად გაევარჯიშებინა "მილანი", ევროპაში დარჩენილი ერთადერთი იტალიელი ტორერო.

შაბათის ღამის შეხვედრაში "ფიორენტინამ" "კიევოს" მოუგო და უეფას ზონაში შეიჭრა. დისკვალიფიკაციის გამო, "ვიოლას" არ ჰყავდა ბომბარდირი **ლუკა ტონი**, რომელზეც ამბობენ, რომ "ბაიერნს" ყველაფერზე მოურიგდა და მიუნხენში სამედიცინო შემოწმებაზე ელიანო. ტონი ფლორენციას ემშვიდობება, ფლორენცია მემკვიდრედ **ჯამპაოლო პაცინის** ირჩევს. იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა იცის, რომ ტონის შეცვლა იოლი არ იქნება და ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა "კიევოსთან", რომელიც არწაგებისთვის თამაშობდა და შესაბამისად, თვალი, პირველ რიგში, ფორვარდებისკენ ეჭირა. ვერონელებმა თავდამსხმელები მართლაც გაანეიტრალეს, მაგრამ ამასობაში მცველი გაეპარათ - **რეჟინალდო**. ეს 23 წლის ბრაზილიელი ფლორენციას ტურიდან ტურამდე აოცებს: ძირითადის ფეხბურთელიც კი არ არის, არც ბრაზილიური ტექნიკით გამოირჩევა, მაგრამ როგორც კი შემადგენლობაში მოხვდება, შანსს არ უშვებს და აგერ უკვე მეოთხედ გაიტანა. თან მისი გოლები არასდროს არის ბანალური.

ჩემპიონატის უკანასკნელი დიდი შეხვედრა "ოლიმპიკოზე" გაიმართა. რომაული დერბი. თავიდანვე ვთქვათ, რომ მოლოდინი არ გამართლდა: ფრე 0:0 და ცოტა სანახაობა. სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით ეს შეხვედრა ბევრს არაფერს წყვეტდა: გამარჯვების შემთხვევაში "რომა" არითმეტიკულად ინაღდებდა მეორე ადგილს, თუმცა ეს არც ახლაა პრობლემა, რადგან საამისოდ დარჩენილ ოთხ ტურში ორი ქულის აღებაა საჭირო. შესაძლოა, კარგიც იყოს, იმ გაგებით, რომ "ჯალოროსის" 9 მაისს იტალიის თასის პირველი ფინალი აქვს სათამაშო "ინტერთან" და ქულებისთვის ბრძოლა გუნდს ტონუსს შეუნარჩუნებს. ინტრიგა სხვა მხრიდან მოდიოდა: "რომამ" პირველი დერბი დეკემბერში სამარცხვინოდ, 0:3-ზე წააგო და, როგორც ფეხბურთელები ამბობდნენ, გუნდი რევანშის წყურვილით იყო ანთებული. ამასვე უკავშირდებოდა დიდი აჟიოტაჟი – ითამაშებს თუ არა **ფრანჩესკო ტოტი?** კაპიტანს ბოლო დროს წელის ტკივილი აწუხებდა, წინა ტურში ბერგამოში ("ატალანატამ" 2:1 მოიგო) არც წასულა და ხუთშაბათს დერბიში მონაწილეობის შანსებს 20 პროცენტით აფასებდა. პარასკევს ლაციოელმა **ტომაზო როკიმ** თქვა, ვიცი, ტოტი მაინც ითამაშებსო. ასეც მოხდა: შაბათს "რომამ" გამოაცხადა, ტოტი მოედანზე იქნებაო. ფრანჩესკოს ასეთი უეცარი მკვდრეთით აღდგომა "ლაციოს" ტიფოზებმა ცხადია, არ დაიჯერეს – აფერისტია, თავს იკატუნებდაო. "რომას" წარმომადგენლებმა ეს ბრალდება მაშინვე უარჰყვეს, კაპიტანი მართლა შეუძლოდ იყოო, ტიფოზები კი სიხარულით მეცხრე ცაზე იყვნენ, ჩვენი ფრანჩესკო ითამაშებსო. აი, ასეთი დიდი ხმაური უძღოდა დედაქალაურ "სტრაჩიტადინას" და თურმე, სულ ტყუილად. "გაძეტა დელო სპორტის" ვებ-საიტი შეხვედრას ასეთი სათაურით ეხმაურებოდა: *"რომა"-"ლაციო", ბევრი ხმაური არაფრისთვის"*. საბოლოოდ გამარჯვებული გადამეტებულად დაცვითი ტაქტიკა და გოლის გაშვების შიში გამოვიდა. "ლაციო" მესამედან მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა, თუმცა რეალური განსხვავება აქ ბევრი არაა.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ტოტი ჩვეულ ცენტრფორვარდის პოზიციაზე გამოჩნდა, მის უკან კი **მანსინი-პეროტა-ტადეის** ტრიო განლაგდა. ტაქტიკური სქემა არც **დელიო როსის** შეუცვლია: **როკი** და **პანდევი** შეტევის წინა ხაზზე, მათ უკან კი გამთამაშებელი **ხიმენესი**. პირველი სახიფათო მომენტი 34-ე წუთზე იყო, როცა **ლედესმას** ჯარიმის შემდეგ ბურთი "რომას" კარს ოდნავ ასცდა. ფორმალურ მასპინძლებს შორის **პანუჩი** გამოირჩეოდა. სწორედ მის მორიგ ჩაწოდებას მოჰყვა "ჯალოროსის" პირველი საგოლე მომენტი 44-ე წუთზე, მაგრამ ტადეიმ ორი მეტრიდან ცარიელ კარს ააცილა. სცენარი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. "ლაციო" შეტევაში ცოტა უფრო გაბედულად მოდიოდა და ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტიც შექმნა. ტოტის რაც შეეხება, თამაშში ის თითქმის არ ჩანდა – ეტყობა, ისევ ვერ გრძნობდა თავს კარგად. 72-ე წუთზე კაპიტნისთვის დერბი დასრულდა, მის მაგივრად **ვუჩინიჩი** გამოვიდა. მეორე ტაიმში ყველაზე დასამახსოვრებელი **დე როსის** დარტყმა გამოვიდა, როცა **პერუციმ** ახალგაზრდობა გაიხსენა და მშვენიერი ნახტომით ბურთი კუთხურზე გადააგდო. სულ ეს იყო, 0:0.

"პალერმოს" პრობლემა **გუიდოლინი** ყოფილა. პრეზიდენტმა ორშაბათს მწვრთნელი მაინც გააგდო, გუნდი მის თანაშემწე **გობოს** ჩააბარა და სიცილიელებს გამარჯვება ელირსათ – პირველად 2 თებერვლის შემდეგ. ყველაფერი მეორე ტაიმში მოხდა: "პალერმო" **კორინის** პენალტით დაწინაურდა, დისკვალიფიცირებული **ლუკარელის** გარეშე დარჩენილმა "ლივორნომ" 11-მეტრიანითვე გაათანაბა. 75-ე წუთზე **დი მიკელემ** კორინის გრძელი პასით ისარგებლა, კარიდან გამოსულ მეკარეს ეშმაკურად დაურტყა და საბოლოო წერტილი დასვა. "ლივორნომ" ზედიზედ მეორედ წააგო და გასავარდნ ზონას სულ 4 ქულა აშორებს.

12-მატჩიანი პაუზის შემდეგ გამარჯვების გემო გაიხსენა მეორე სიცილიურმა "კატანიამ". კატანიელებს მსაჯიც გვარიანად დაეხმარა იმით, რომ მასპინძელ "უდინეზეს" მეორე ტაიმში სამი ფეხბურთელი გაუძევა. ტურში კიდევ ერთი სამწვრთნელო დებიუტი შედგა: "მესინა" პირველად გამოვიდა **ბოლკის** ხელმძღვანელობით და არაფრისმომცემი 0:0 ითამაშა "ატანალტასთან", რომლის რიგებშიც **კრისტიან ვიერი** გამოირჩეოდა. ბობოს სამი კარგი მომენტი ჰქონდა, საიდანაც ერთხელ ძელს გაარტყა. "სამპდორიამ" ახლა გასვლაზეც მოიგო და "სიენა" დიდ განსაცდელში ჩააგდო. ასკოლიდან ძვირფასი სამი ქულით დაბრუნდა შინ "რეჯინა", "ასკოლი" კი პრაქტიკულად, სერია B-შია. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა, **სონეტის** გუნდმა დარჩენილი ოთხივე შეხვედრა მოიგოს, "კიევომ" კი ყველა წააგოს. "პარმას" **რანიერის** ხელში აღორძინების ხანა დაუდგა: ემილიურმა გუნდმა ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა და გასავარდნ ზონას გვარიანად დაშორდა.

### გადმოტანილი მატჩი

2 მაისი. კატანია-ასკოლი.

### მომდევნო ტური

6 მაისი. ტორინო-ასკოლი, ემპოლი-კატანია, მილანი-ფიორენტინა, მესინა-ინტერი, ლაციო-ლივორნო, კიევო-პარმა, სამპდორია-რეჯინა, პალერმო-რომა, ატალანტა-სიენა, კალიარი-უდინეზე.

### ტორინო-მილანი 0:1

**ტორინო:** აბიატი-6, ი. ფრანჩესკინი-5.5, ბალესტრი-5, ფ. კოკო-6 (46. მუცი-6), ო. ბრევი-6, კომოტო-6, არდიტო-6, როზინა-6.5 (85. გალო-შ.გ), ლაზეტიჩი-5.5 (80. ოგბონა-შ.გ), დე აშენტისი-5, სტელონე-5.

**მილანი:** დიდა-6, კაფუ-6.5, ბონერა-6, ფავალი-6.5, ნესტა-6.5, ამბროზინი-6 (46. გურკუფი-5), ზეედორფი-7 (65. იანკულოვსკი-6), ბროკი-6.5 (85. შიმიჩი-შ.გ), პირლო-7, ჯილარდინო-6, რონალდო-6.

**გოლი:** 0:1 ზეედორფი (26)

**გაძევება:** ო. ბრევი (73. ტორინო)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 21-14; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 9-19 (6-9); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 15 000

### ფიორენტინა-კიევო 1:0

**ფიორენტინა:** ფრეი-6, დაინელი-6, პასკუალი-6, გამბერინი-6, მონტოლივო-7, პაციენცა-6, იორგენსენი-6.5, ლივერანი-6, პაცინი-6.5, მუტუ-5.5, რეჟინალდო-7 (82. ბლაზი-შ.გ).

**კიევო:** სკუიცი-6, მანტოვანი-6, ლანა-5.5, რიკლერი-6.5, მალაგო-6, სემიოლი-5 (50. კოსოვსკი-5.5), ბრიგი-6, სამარკო-5.5, იტალიანო-6 (77. სეზარ პრატეში-შ.გ), ობინა-5 (53. ბოგდანი-6.5), პელისიე-5.5.

**გოლი:** 1:0 რეჟინალდო (64)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 15-21; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 18-3 (8-1); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 30 000

### რომა-ლაციო 0:0

**რომა:** ა. დონი-შ.გ, კივუ-6, მექსე-6, პანუჩი-6, ტონეტო-6 (54. ვილჰელმსონი-5), ტადეი-5, პისარო-5, პეროტა-5.5, მანსინი-6.5 (87. ტავანო-შ.გ), დე როსი-6.5, ტოტი-5 (73. ვუჩინიჩი-).

**ლაციო:** პერუცი-7, სივილია-5.5, ძაური-5, კრიბარი-5, მუტარელი-6.5 (76. მანფრედინი-შ.გ), ხიმენესი-5, ბეჰრამი-5 (78. ბონეტო-შ.გ), მუდინგაი-5, ლედესმა-5, როკი-5, პანდევი-5 (62. მაკინვა-შ.გ).

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 18-7 (10-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 61 000

### ლივორნო-პალერმო 1:2

**ლივორნო:** მანიტა-6, პავანი-5.5, კნეჟევიჩი-6, გალანტე-6.5, გრანდონი-6, სეზარ აპარესიდო-6 (67. პფერტცელი-6), პასონი-6, ფიორე-6 (70. ვიდიგალი-6), ა. ფილიპინი-6, მორონე-6.5 (79. ბერგვოლდი-შ.გ), პაულინიო-6.

**პალერმო:** ა. ფონტანა-6.5, ბარძალი-6, ძაკარდო-6.5, ბიავა-6, ბრეშანო-6 (61. კავანი-6), სიმპლისიუ-6.5, დიანა-6, გუანა-6, კორინი-6 (85. ჯოვ. ტედესკო-შ.გ), კარაჩოლო-5.5, დი მიკელე-6.5 (81. ჩარამიტარო-შ.გ).

**გოლები:** 0:1 კორინი (48-პენ), 1:1 სეზარ აპარესიდო (57-პენ), 1:2 დი მიკელე (75)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 18-21; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 14-9 (7-5); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 5 000

### სიენა-სამპდორია 0:2

**სიენა:** მანინგერი-6, რინაუდო-6, მოლინარო-6, პორტანოვა-5.5, ნეგრო-6, ვერგასოლა-6.5, ალბერტო-6 (57. ფრიკი-6), ანტონინი-6, გალოპა-6.5 (80. კოცა-შ.გ), კორვია-5, კიეზა-6 (65. ერიომენკო-5.5).

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, კ. ძენონი-5.5 (74. ოლივერა-შ.გ), აკარდი-6.5, ფალკონე-6 (84. სალა-შ.გ), მაჯო-7, დ. ფრანჩესკინი-5 (54. ციგლერი-6.5), ჯ. დელვეკიო-6, პაროლა-6.5, პიერი-6, პალომბო-5.5, კვალიარელა-6.5.

**გოლები:** 0:1 მაჯო (39), 0:2 ჯ. დელვეკიო (89)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 17-23; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 10-12 (4-8); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 9 000

### მესინა-ატალანტა 0:0

**მესინა:** პაოლეტი-6, კანდელა-6, ზორო-6, რეა-6 (72. პარიზი-შ.გ), იულიანო-6 (46. ჯალომბარდო-6), მაზიელო-5.5, პესტრინი-6, ალვარესი-6, დე ვეცე-6, ფლოკარი-5.5 (46. დი ნაპოლი-5), რიგანო-5.5.

**ატალანტა:** კალდერონი-6, კაროციერი-6, ბელინი-6.5, პერეირა ადრიანო-6, ტალამონტი-6, არიატი-6, ბერნარდინი-6.5 (82. დონატი-შ.გ), ტისონე-5.5 (69. ბომბარდინი-შ.გ), პინტუ-6, მილიაჩო-6, სისე-6 (51. ვიერი-6.5).

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 21-23; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 7-17 (3-4); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 8 000

### უდინეზე-კატანია 0:1

**უდინეზე:** დე სანქტისი-6, საპატა-6, დოსენა-6, მოტა-5.5, ნატალი-7, კოდა-6, დე მარტინო-5.5 (46. ბარეტო-5.5), ზივოკი-6.5, გ. დ'აგოსტინო-5.5 (87. გიანი-შ.გ), იაკუინტა-6 (80. ზაპოტოჩნი-შ.გ), დი ნატალე-5.5.

**კატანია:** პანტანელი-7, სეზარ ვინისიუ-5.5, ვარგასი-7, სოტილი-6, სარდო-6, ლუჩენტი-7 (87. სილვესტრი-შ.გ), კაზერტა-6.5, ედუსეი-6, იცკო-6 (70. ბიზო-6), სპინეზი-7 (81. როსინი-შ.გ), მასკარა-6.5.

**გოლი:** 0:1 სპინეზი (52-პენ)

**გაძევება:** მოტა (51. უდინეზე), დი ნატალე (54. უდინეზე), დოსენა (79. უდინეზე)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 0-8; **კარში დარტყმა:** 8-12 (4-4); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 6 000

### პარმა-კალიარი 2:1

**პარმა:** ბუჩი-6.5, კონტინი-6.5, კასტელინი-6, პაჩი-6.5, კოლი-6, პარავიჩინი-6, დესენა-6.5, ჩიგარინი-6.5 (79. გრელა-შ.გ), ბუდანი-7, ჯ. როსი-6.5 (64. მორფეო-6.5), მუსლიმოვიჩი-7 (60. გასბარონი-6.5).

**კალიარი:** კიმენტი-5.5, ბიანკო-5.5, დელ გროსო-5.5, ლოპესი-5, ფერი-5.5 (85. ფ. პიზანო-შ.გ), ბუდელი-5 (46. მარკინი-5), კაპონე-6 (72. ა. დ'აგოსტინო-შ.გ), ბიონდინი-5.5, კონტი-6, სუასო-5, პეპე-6.

**გოლები:** 1:0 ბუდანი (28), 1:1 კონტი (67), 2:1 გასბარონი (77-პენ)

**გაძევება:** კონტი (90. კალიარი)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 21-15; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 9-9 (6-6); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 15 000

### ასკოლი-რეჯინა 2:3

**ასკოლი:** ელეფთეროპულოსი-6, პეშე-6, ლომბარდი-5, ნასტასე-5.5 (46. მინიერი-4.5), კორალო-5, ბუდიანსკი-6, ფინი-6, გუბერტი-5, პ. ძანეტი-5.5 (58. ბონანი-6), სონჩინი-5, ბელანოვიჩი-5 (65. პაოლუჩი-6.5).

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ლანძარო-6, ა. ლუკარელი-5.5, არონიკა-6, ამერინი-6.5, ჯაკ. ტედესკო-6.5, მესტო-შ.გ (14. ვიჯანი-6.5), ტონიოცი-5.5 (28. გაცი-6), ბიანკი-5.5, ამორუზო-7, ფოჯა-7 (67. ნარდინი-6).

**გოლები:** 1:0 ფინი (15), 1:1 ამორუზო (24), 1:2 ამორუზო (32), 1:3 ფოჯა (52), 2:3 ბონანი (82)

*84-ე წუთზე ბიანკიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაძევება:** მინიერი (87. ასკოლი)

**გაფრთხილება:** 5-2; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 37-21; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 15-17 (6-15); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 6 000

### ინტერი-ემპოლი 3:1

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-7, კორდობა-5.5, ანდრეოლი-5, მატერაცი-6.5, გროსო-6, სტანკოვიჩი-6.5, კამბიასო-7, დაკური-7 (74. მაქსველი-შ.გ), ფიგუ-6.5, რეკობა-7.5 (72. ხ. ძანეტი-შ.გ), კრუსი-6.5 (39. გონსალესი-6).

**ემპოლი:** ბასი-6, რაჯი-6, ვანილი-6, პრატალი-5.5, ლუკინი-5 (76. მარძორატი-შ.გ), ბუშე-შ.გ (12. ედერი-6), ალმირონი-6.5, დ. მორო-6.5, ვანუკი-7, პოცი-6 (76. მარიანინი-შ.გ), საუდატი-6.5.

**გოლები:** 1:0 კრუსი (27), 1:1 საუდატი (57), 2:1 რეკობა (58), 3:1 სტანკოვიჩი (60)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 17-22 (13-9); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 26 673

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 34 | 27 | 6 | 1 | 71-30 | 87 |
| 2. რომა | 34 | 20 | 9 | 5 | 66-26 | 69 |
| 3. მილანი | 34 | 18 | 10 | 6 | 54-30 | 59 |
| 4. ლაციო | 34 | 17 | 10 | 7 | 54-27 | 58 |
| 5. პალერმო | 34 | 14 | 10 | 10 | 51-44 | 52 |
| 6. ფიორენტინა | 34 | 19 | 8 | 7 | 54-28 | 50 |
| 7. ემპოლი | 34 | 13 | 11 | 10 | 36-34 | 50 |
| 8. სამპდორია | 34 | 12 | 9 | 13 | 42-42 | 45 |
| 9. ატალანტა | 34 | 10 | 13 | 11 | 47-46 | 43 |
| 10. უდინეზე | 34 | 11 | 10 | 13 | 42-46 | 43 |
| 11. ლივორნო | 34 | 8 | 12 | 14 | 36-51 | 36 |
| 12. კატანია | 33 | 9 | 9 | 15 | 39-61 | 36 |
| 13. პარმა | 34 | 8 | 11 | 15 | 34-53 | 35 |
| 14. რეჯინა | 34 | 11 | 12 | 11 | 46-46 | 34 |
| 15. სიენა | 34 | 7 | 14 | 13 | 29-39 | 34 |
| 16. კალიარი | 34 | 7 | 13 | 14 | 29-42 | 34 |
| 17. ტორინო | 34 | 8 | 9 | 17 | 25-44 | 33 |
| 18. კიევო | 34 | 7 | 11 | 16 | 35-45 | 32 |
| 19. მესინა | 34 | 5 | 10 | 19 | 31-58 | 25 |
| 20. ასკოლი | 33 | 3 | 11 | 19 | 28-59 | 20 |

**ბომბარდირები:** 21 - ტოტი (რომა); 18 - კ. ლუკარელი (ლივორნო); 17 - ბიანკი (რეჯინა); 16 - ტონი (ფიორენტინა); 15 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა), როკი (ლაციო); 14 - ამორუზო (რეჯინა), იაკუინტა (უდინეზე), რიგანო (მესინა), სპინეზი (კატანია); 13 - კ. დონი (ატალანტა), სუასო (კალიარი).

## სერია B

### XXXVI ტური

**ვერონა-იუვენტუსი 0:1**

**იუვენტუსი:** ბუფონი, ძებინა (62. ბირინდელი), ლეგროტალიე (81. კოვაჩი), ბუმსონგი, კიელინი, კამორანეზი, მარკიზიო, ჯანიკედა (27. მარკიონი), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე.

**გოლი:** 0:1 ბუმსონგი (43)

**ჯენოა-ტრევიზო 2:1**

**გოლები:** 1:0 დეილი (16), 1:1 მორო (41), 2:1 დი ვაიო (65)

**გაძევება:** ვალდესი (85. ტრევიზო)

**მოდენა-ბარი 2:1**

**გოლები:** 0:1 განჩი (53), 1:1 სფორცინი (54), 2:1 კამპედელი (83)

**კროტონე-სპეცია 0:2**

**გოლები:** 0:1 პადოინი (8), 0:2 გუსმანი (52-პენ)

**არეცო-პიაჩენცა 1:0**

**გოლი:** 1:0 კროჩე (4)

**გაძევება:** კაპელი (37. არეცო)

**ნაპოლი-ჩეზენა 2:0**

**გოლები:** 1:0 სოსა (7), 2:0 ტროტა (90)

**ლეჩე-ბოლონია 2:1**

**გოლები:** 1:0 ტირიბოკი (45), 1:1 ბელუჩი (66), 2:1 ძანკეტა (83)

**ალბინოლეფე-მანტოვა 2:1**

**გოლები:** 1:0 კოლომბო (61), 2:0 რუოპოლო (69), 2:1 ნოსელი (90)

**ბრეშა-ფროზინონე 1:0**

**გოლი:** 1:0 სერაფინი (70)

**რიმინი-პესკარა 2:2**

**გოლები:** 1:0 პაგანო (14), 1:1 ვანტაჯატო (28), 2:1 პაგანო (46), 2:2 აკვილანტი (70)

**ტრიესტინა-ვიჩენცა 0:0**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 35 | 24 | 9 | 2 | 67-22 | 72 |
| 2. ნაპოლი | 35 | 17 | 14 | 4 | 45-26 | 65 |
| 3. ჯენოა | 35 | 19 | 7 | 9 | 55-38 | 64 |
| 4. რიმინი | 35 | 14 | 14 | 7 | 46-29 | 56 |
| 5. მანტოვა | 35 | 13 | 17 | 5 | 42-28 | 56 |
| 6. ბოლონია | 35 | 16 | 8 | 11 | 42-34 | 56 |
| 7. პიაჩენცა | 35 | 16 | 5 | 14 | 45-43 | 53 |
| 8. ბრეშა | 35 | 14 | 10 | 11 | 37-37 | 52 |
| 9. ალბინოლეფე | 35 | 10 | 19 | 6 | 38-32 | 49 |
| 10. ჩეზენა | 35 | 12 | 10 | 13 | 45-52 | 46 |
| 11. ლეჩე | 35 | 13 | 6 | 17 | 43-46 | 45 |
| 12. ვიჩენცა | 35 | 10 | 12 | 13 | 36-34 | 42 |
| 13. ფროზინონე | 35 | 10 | 12 | 13 | 35-43 | 42 |
| 14. ტრიესტინა | 35 | 10 | 13 | 12 | 29-39 | 42 |
| 15. ტრევიზო | 35 | 9 | 13 | 13 | 35-39 | 40 |
| 16. ბარი | 35 | 9 | 12 | 14 | 29-35 | 39 |
| 17. ვერონა | 35 | 9 | 11 | 15 | 22-33 | 38 |
| 18. მოდენა | 35 | 9 | 10 | 16 | 31-39 | 37 |
| 19. სპეცია | 35 | 8 | 13 | 14 | 38-48 | 37 |
| 20. არეცო | 35 | 7 | 14 | 14 | 28-38 | 29 |
| 21. კროტონე | 35 | 6 | 11 | 18 | 28-54 | 29 |
| 22. პესკარა | 35 | 5 | 10 | 20 | 29-56 | 24 |

**ბომბარდირები:** 16 - დელ პიერო (იუვენტუსი); 15 - ბელუჩი (ბოლონია); 14 - კაჩა (პიაჩენცა), პაპა ვაიგო (ჩეზენა); 12 - კალაიო (ნაპოლი); 10 - ჟედა (რიმინი), ლოდი (ფროზინონე), მარაცინა (ბოლონია), შვოხი (ვიჩენცა), ტრეზეგე (იუვენტუსი).

## სერია C/1

### XXXII ტური

ვენეცია-სასუოლო 2:0; პადოვა-პიციგეტონე 0:1; სანჯოვანეზე-პრო სესტო 0:3; პავია-მასეზე 2:3; მონცა-ნოვარა 0:0; კრემონეზე-ლუკეზე 3:2; ივრეა-გროსეტო 1:1; პროპატრია-პიზა 4:2; პისტოიეზე-ჩიტადელა 1:1.

## სერია C/2

### XXXII ტური

ჯულიანოვა-სალერნიტანა 2:2; ტარანტო-ანკონა 4:3; სან მარინო-მარტინა 2:0; რავენა-იუვესტაბია 2:0; სამბენედეტეზე-აველინო 2:0; ტერნანა-პერუჯა 2:1; კავეზე-ტერამო 0:0; ლანჩანო-ფოჯა 0:2; მანფრედონია-გალიპოლი 2:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXI ტური

# დაწყევლილი პარასკევი

## ...თუმცა შალკეს ძაღლის ბედი აქვს: ვერდერმაც წააგო! ბაიერნი კი საიქიოს გზაზეა...



შალკეს ფანები განსაცდელში

ამ ტურში საუკეთესო ოთხეულიდან სამი გუნდი („შალკე", „ბაიერნი", „ვერდერი") დამარცხდა და სამივეს სატირლად გაუხდა საქმე. „შალკეს" იმიტომ, რომ დერბი წააგო და ფინიშის სწორზე ლიდერობის დაკარგვის საფრთხე დაემუქრა; „ბაიერნს" იმიტომ, რომ საკუთარი პუბლიკის წინაშეც შერცხვა - მიუნხენელები ჩემპიონთა ლიგის საგზურს ახლა მხოლოდ ჰორიზონტზე, ძლივსძლიობითღა ხედავენ; „ვერდერს" კი იმიტომ, რომ გალიდერების შესანიშნავი შანსი გაუშვა ხელიდან, წააგო რა ბილეფელდში, 2:3. მოიგო მხოლოდ „შტუტგარტმა" და ვინ იცის, იქნებ შვაბები გახდნენ ჩემპიონები, მათ ხომ ყველაზე იოლი კალენდარი აქვთ. „შალკე" 62, „შტუტგარტი" 61, „ვერდერი" 60 – და ეს ყველაფერი სეზონის დასრულებამდე 3 ტურით ადრე!

პარასკევის მატჩები თითქოს დაწყევლილია. ეს „მოსაზრება" ამ ტურმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. მიმდინარე სეზონში, პარასკევს გამართული შეხვედრების 80 პროცენტი ალოგიკური შედეგით დასრულდა და „შალკესაც" სწორედ პარასკევს დაუცდა ფეხი. რურის მცირე დერბი მოულოდნელად "ბოხუმმა" მოიგო. ვის უნდა გაეტანა გადამწყვეტი გოლი, თუ არა **თეოფანის გეკასს** – კაცს, რომელიც მიმდინარე სეზონის აღმოჩენაა, ტანმორჩილ ბერძენ ფორვარდს, რომელსაც უკვე 19 გოლი აქვს. არადა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, **მირკო სლომკა** გეკასს, მაინც და მაინც, არ უფრთხოდა, ჩვენი მცველები ფიზიკურად ძალიან ძლიერები არიან, ასეთებთან ბრძოლა კი გეკასს ძალიან არ უყვარსო. გეგონოს, მირკო! ბოხუმელთა სიამაყე ზუსტად ისევე იყო კარზე დაგეშილი, როგორც სხვა თამაშებში. გატანილი გოლის შემდეგ გეკასი „შალკეს" ფანების ტრიბუნასთან მიიჭრა და მათ ყური მიუშვირა, თქვენი ხმა არ მესმისო - ტრიბუნიდან ლანძღვა-გინება ისმოდა.

არადა, გელზენკირხენელთათვის ყველაფერი შესანიშნავად დაიწყო. მე-8 წუთზე **კევინ კურანიმ კრისტიან პანდერის** საჯარიმო ჩაწოდებით ისარგებლა და ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. ეს გახლდათ კურანის მე-14 გოლი მიმდინარე სეზონში (ცხადია, გეკასს ვერ დაეწევა). მე-15 წუთზე **ჯერალდ ასამოას** სხვაობის გაზრდა შეეძლო, მაგრამ კურანის გოლის შემთხვევისგან განსხვავებით, „ბოხუმის" მეკარე **დრობნიმ** ჩინებულად ითამაშა. როგორც ჩანს, შალკელები ზედმეტად თავდაჯერებულები იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ორთაბრძოლებს თითქოს ერიდებოდნენ და არც შეტევებით იკლავდნენ თავს, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. 33-ე წუთი: **გროტემ**, რომელიც მატჩის წინ ამბობდა, არ მინდა, რომ „შალკე" ჩემპიონი გახდესო, საჯარიმოში ჩაჰკიდა, **ზვიეზდან მიშიმოვიჩმა** ყველას დაასწრო და 10 მეტრიდან ბურთი თავით **ნოიერის** კარში ჩააჭედა. 41-ე წუთი: **მალტრიტცის** ჩაწოდება მარჯვენა ფლანგიდან, პანდერმა ჩათვლიმა, გეკასი კი კარგად შესრიალდა და მეორე გოლი შეუგდო „შალკეს".

53-ე წუთზე სლომკამ, იმედია, ინანა, **მესუთ იოზილი** კვლავ სასტარტო შემადგენლობაში რომ გაამწესა – კობიაშვილის 18 წლის კონკურენტმა 6 მეტრიდან ძალიან უხეიროდ დაარტყა, არადა, გატანა მართებდა. მირკო მიხვდა, რომ ცვლილებები იყო საჭირო: უნიათო ასამოას ნაცვლად თამაშში **ჰალილ ალთინთოფი** ჩართო, **რაფინია** კი კობიაშვილით შეცვალა (ქართველმა **ჰამით ალთინთოფის** პოზიცია დაიკავა, თურქი კი რაფინიას ადგილზე დადგა). შალკელები ნელნელა გადავიდნენ უკანმოუხედავ იერიშებზე და საგოლე მომენტები შექმნეს. 67-ე წუთზე კურანის მორიგი თავური დრობნის კარის ძელს მოხვდა, მერე კი მსაჯი მოექცა ყურადღების ცენტრში. 79-ე წუთზე **იმჰოფმა** საჯარიმოში ხელით ითამაშა, მაგრამ არბიტრმა **კირხერმა** პენალტი არ დანიშნა. რამდენიმე წამის შემდეგ იმავე იმჰოფმა **ლინკოლნი** დასცა (ისევ საჯარიმოში), მაგრამ მსაჯის სასტვენი კვლავ დუმდა. გადის კიდევ რამდენიმე წუთი და ამჯერად **ბუტშერს** ხვდება ბურთი ხელზე – პენალტის ნიშნულისკენ კი ისევ მხოლოდ შალკელები იშვერენ ხელს. არცაა გასაკვირი, ერთ-ერთ მომენტში კობიაშვილმა უმაღლეს ხმაზე რომ უღრიალა კირხერს.

*„მსაჯმა თვითონვე თქვა, იმჰოფი ლინკოლნს შეეხოო. თუ ასეა, რატომ არ დანიშნა თერთმეტმეტრიანი? ხელით თამაშის ორ შემთხვევაზე აღარაფერს ვამბობ. მაგრამ წაგება ჩვენი ბრალია, ძალიან ცუდად ვითამაშეთ,"* – ნერვებმოშლილი იყო სლომკა.

„ბაიერნის" გულშემატკივრები იმედოვნებდნენ, რომ მათი საყვარელი გუნდი „ჰამბურგთან" ისე საზიზღრად აღარ ითამაშებდა, როგორც ერთი კვირის წინათ, „შტუტგარტში". მით უმეტეს, რომ ეს იყო რეკორდმაისტერის უკანასკნელი შანსი, ებრძოლა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის. მაგრამ **ჰიტცფელდის** გუნდმა ისევ წააგო, ამჯერად საკუთარ მოედანზე და თანაც ჩრდილო-სამხრეთულ კლასიკაში, „ჰამბურგთან". მაგრამ ეს აბსოლუტურად ზუსტი გამოძახილია იმისა, რაც ახლა რეკორდმაისტერში ხდება. „ალიანს-არენის" პუბლიკა ჩასვრილ ბავარიელებს მთელი მატჩის განმავლობაში სტვენით ამკობდა.

*„პირდაპირ რომ ვთქვა, რასაც ახლა ვფიქრობ, მაშინ ხელმძღვანელებმა გუნდიდან უნდა გამაძევონ. ეს კი არ მინდა, ჰოდა, არც ვიტყვი,"* – ასეთი იყო **ოლივერ კანის** პასუხი კითხვაზე, რას ფიქრობთ ამ წაგების შემდეგო. ბრაცო **სალიჰამიჯიჩი** კი უფრო გულახდილი გახლდათ: *„რასაც ახლა ვთამაშობთ, ახსნა არა აქვს. თუმცა, როგორ არა – ნეხვი."* პარადოქსი ისაა, რომ „ბაიერნს" გოლები **ვან დერ ვაარტმა** და **გერერომ** გაუტანეს. ჰოლანდიელი ბავარიული კლუბის სასურველ მოთამაშეთა სიაში მოიაზრებოდა, მაგრამ რეკორდმაისტერის მენეჯერმა **ული ჰიონესმა** მატჩის შემდეგ თქვა, მისი ყიდვა არ გვინდაო. გერერო კი, როგორც იცით, მიუნხენური კლუბის აღზრდილია. პერუელი „ჰამბურგში" სწორედ „ბაიერნიდან" გადავიდა.

არადა, „ბაიერნი" იგებდა: 35-ე წუთზე **კლაუდიო პისარომ** HSV-ს საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ბუნდესლიგაში მე-100 გოლი გაიტანა. 64-ე და 69-ე წუთებზე კანმა **სორინსა** და **ატუბას** სასწაულებრივ აუღო, მანამდე კი **ვან ბომელს** შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ **როსტმა** ივაჟკაცა. 71-ე წუთზე სორინის პასის შემდეგ, ვან დერ ვაარტმა ბურთი მარჯვენა ფეხით აიგდო და მარცხენით ისე ძლიერად დაურტყა კანს, რომ ეს უკანასკნელი სახტად დარჩა – 1:1. აღსანიშნავია, რომ ამ შესანიშნავი გოლისთვის ჰოლანდიელს „ბაიერნის" ქომაგებმაც დაუკრეს ტაში. 77-ე წუთზე როსტმა მიუნხენელებს დასცინა – საკუთარ საჯარიმოში **მაკაი** მოატყუა და ბურთი წინ მოიგერია. რეკორდმაისტერის მცველები რაღაცაზე ოცნებობდნენ, გერერო კი ფხიზლად იყო – ძლიერად დაჰკრა 14 მეტრიდან და კანი პირშიჩალაგამოვლებული დატოვა. საინტერესოა ის, რომ გერეროს გოლი არ უზეიმია, რითაც ყოფილ გუნდსა და მის ფანებს პატივი სცა. *„გამოჩნდა, რომ „ჰამბურგი", ჩვენგან განსხვავებით, დღეს ძალიან მოტივირებული და მონდომებული გუნდი იყო,"* – ეს ჰიტცფელდის სიტყვებია.

არაერთი ექსპერტი ამბობდა და ამბობს, გამორიცხული არაა, რომ ბოლოს „შტუტგარტმა" გაიცინოსო. რამდენიმე კვირის წინათ ასეთ მოსაზრებაზე, შესაძლოა, ირონიულად გვეცინებოდა, მაგრამ დღეს ამაში სასაცილო აღარაფერია. შვაბებმა ნელ-ნელა და ჩუმ-ჩუმად გაიმყარეს პოზიციები, ჩემპიონთა ლიგაში თამაში ფაქტობრივად, განაღდებული აქვთ და ახლა წესით ჩემპიონობის პრეტენზიაც უნდა გაუჩნდეთ. **არმინ ფეეს** გუნდმა ზედიზედ 6 თამაში მოიგო – მე-6 შაბათს, მიონხენგლადბახში. და თუკი „გლადბახი" ცალი კი არა, თითქმის ორივე ფეხით უკვე მეორე ბუნდესლიგაშია, შტუტგარტელებს უკვე ძალიან მკაფიოდ ჩაესმით ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი. მოკლედ, VFB-მ ბუნდესლიგის ყველაზე სუსტ გუნდს მინიმალური სხვაობით მოუგო და ეს ერთადერთი გოლი **რობერტო ჰილბერტის** ანგარიშზეა, ფეხბურთელისა, რომელსაც ცოტა ხნის წინათ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში ჰქონდა დებიუტი.

**ალექსანდერ ფრაის** შესანიშნავი და რაც მთავარია, ზუსტი საჯარიმო დარტყმების წყალობით, დორტმუნდის „ბორუსია" ელიტაში ადგილს ინარჩუნებს. შაბათს შვეიცარიელმა ფორვარდმა „აინტრახტს" ორი ჯარიმა გაუტანა. ფრაის ახლა 15 გოლი აქვს და გეკასის შემდეგ, ბომბარდირებში მეორე პოზიციაზეა. აახენის „ალემანიამ" საკუთარ „ტივოლიზე" „ჰერტას" ვერაფერი დაუპირისპირა (0:4) და გასავარდნ ზონაში დარჩა. იგივე ითქმის „მაინცზეც", რომელიც საკუთარ კედლებში „ჰანოვერთან" დამარცხდა (1:2). მიუხედავად იმისა, რომ **მოჰამედ ზიდანი იურგენ კლოპის** გუნდს მეორე წრეში 12 გოლით შეეწია, მაინცელებს მაინც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ. „ვოლფსბურგმა" კი „ნიურნბერგში" ფრეს მიაღწია (1:1) და შედარებით მშვიდადაა...

### მომდევნო ტური

4 მაისი. ჰანოვერი-კოტბუსი. 5 მაისი. **ბორუსია (მ)-ბაიერნი, ვოლფსბურგი-ბორუსია (დ), შალკე-ნიურნბერგი, შტუტგარტი-მაინცი, ჰამბურგი-ბოხუმი, აინტრახტი-ალემანია.** 6 მაისი. **ჰერტა-ვერდერი, ლევერკუზენი-არმინია.**

## BILD: ტონი ბაიერნში მიდის!

შაბათს იტალიურმა „გაძეტა დელო სპორტმა" სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა. *„ლუკა ტონი „ბაიერნში" გადასვლაზე თანახმაა!"* – წერდა ხსენებული გამოცემა. არადა, დაახლოებით 10 დღის წინათ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იტალიელმა თავდამსხმელმა მიუნხენელებს უარი შეუთვალა. თუმცა, როგორც ირკვევა, **ტონიმ** ბავარიელთათვის უარის თქმა გადაიფიქრა, უფრო კი მიუნხენური კლუბის ბოსებმა გადააფიქრებინეს იმით, რომ უფრო უკეთესი პირობები შესთავაზეს. გუშინ „ბილდი" წერდა: *„ტონი თანახმაა, „ბაიერნში" გადავიდეს. იტალიელი რეკორდმაისტერთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს და წლიურად 5.5 მილიონ ევროს მიიღებს."* „ბილდის" ინფორმაციით, აყლაყუდა გოლეადორი მიუნხენში სამედიცინო შემოწმების გავლის მიზნით, გუშინვე უნდა ჩასულიყო.

### ბოხუმი-შალკე 2:1

**ბოხუმი:** დრობნი-2, შრიოდერი-3.5, მალტრიტცი-2, იაია-2.5, ბუტშერი-3.5, მიშიმოვიჩი-2, დაბროვსკი-3.5, ცდებელი-3, გროტე-2.5 (69. იმჰოფი-3.5), ეპალე-3 (92. დრშეკი), გეკასი-2.5.

**შალკე:** ნოიერი-3, რაფინია-3 (62. კობიაშვილი-3), ბორდონი-3, როდრიგესი-4, პანდერი-4, ჰამით ალთინთოფი-5, ერნსტი-4.5, ლინკოლნი-4, ასამოა-4.5 (62. ჰალილ ალთინთოფი-4.5), კურანი-3, იოზილი-3.5 (81. ლარსენი).

**გოლები:** 0:1 კურანი (8), 1:1 მიშიმოვიჩი (33), 2:1 გეკასი (41)

**გაფრთხილება:** 4-4; **დარტყმა:** 10-15; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 20-16; **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 31 328

### ბორუსია (მ)-შტუტგარტი 0:1

**ბორუსია (მ):** ჰაიმეროთი-3, ბიოგელუნდი-3, სვენსონი-3.5, გოპური-4, კომპერი-3.5, სფერდი-4, ელ ფაკირი-3.5 (78. კაპე), იანსენი-3, ინსუა-3.5, კლუგე-4, რაფაელი-4.5.

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი-3, ოსორიო-4, ტასკი-3, დელპიერი-3.5, მანინი-4, პარდო-3.5, ჰილბერტი-3 (80. ბეკი), ხედირა-4, ჰიტცლშპერგერი-2.5, ლაუთი-4.5 (46. ა. და სილვა-3.5), კაკაუ-3.5 (85. შტრელერი).

**გოლი:** 0:1 ჰილბერტი (53)

**გაძევება:** გოპური (90. ბორუსია)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 18-15; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 17-7; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 48 014.

### ბორუსია (დ)-აინტრახტი 2:0

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-3, მეტცელდერი-2.5, ბრჟენსკა-4, ვიორნსი-3.5, დედე-2.5, კრუსკა-3.5, კრინგე-3 (67. გორდონი-4), ტინგა-4, პიენაარი-4.5, სმოლიარეკი-3.5 (77. ვალდესი), ფრაი-1.5 (86. ნ. შაპინი).

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-5, კირიაკოსი-4, კრისი-3.5, ვასოსკი-3.5, ფინკი-3, პუგელი-3.5, შტრაიტი-3.5, ვაისენბერგერი-3.5 (24. ა. მაიერი-3.5), შპიხერი-4, ტაკაჰარა-4, ამანატიდისი-3 (81. ჰელერი).

**გოლები:** 1:0 ფრაი (39), 2:0 ფრაი (66).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 15-12; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 16-18; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 80 708

### ბაიერნი-ჰამბურგი 1:2

**ბაიერნი:** კანი-3, ლელი-5, ლუსიო-4, დემიკელისი-3, ლამი-4, სალიჰამიჯიჩი-4, ვან ბომელი-3.5, ოტლი-5, ქარიმი-5 (67. გიორლიტცი-4), მაკაი-4.5, პისარო-3 (89. სანტა კრუსი).

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-2, ბენჯამინი-3.5, აბელი-3, მატიისენი-3.5, ატუბა-3.5, დემელი-4 (56. მაჰდავიკია-3.5), იაროლიმი-3, დე იონგი-3.5 (69. გერერო-2), სორინი-2, ვან დერ ვაარტი-2 (82. ლაასი), ოლიჩი-3.5.

**გოლები:** 1:0 პისარო (35), 1:1 ვან დერ ვაარტი (71), 1:2 გერერო (77).

**გაძევება:** ატუბა (88. ჰამბურგი)

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 16-16; **კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 14-23; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 69 000

### ალემანია-ჰერტა 0:4

**ალემანია:** ნიხთი-4, შტელე-4.5, კლიტცპერა-5 (51. დუმი-4), ჰერციგი-4.5, ლეივაკაბესი-4.5, მ. ლემანი-4, პინტუ-4.5, რეგეკამპფი-5 (66. ებერსი-4), რიოსლერი-4, შლაუდრაფი-5, იბიშევიჩი-5.5.

**ჰერტა:** ფიდლერი-2, ჩაჰედი-3.5, ა. ფრიდრიხი-3, შიმუნიჩი-3.5, ფათი-2.5, დარდაი-3, მინეირო-3, დეჟაგა-2.5 (83. კ. მიულერი), ბაშთურქი-3 (83. ნოიენდორფი), ჟილბერტო-1.5, ხიმენესი-2 (73. პანტელიჩი).

**გოლები:** 0:1 ჟილბერტო (6), 0:2 ხიმენესი (48), 0:3 პანტელიჩი (77), 0:4 ბაშთურქი (80)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 16-13; **კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 14-13; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 20 800

### ნიურნბერგი-ვოლფსბურგი 1:1

**ნიურნბერგი:** შეფერი-3, ბოშამი-4.5 (56. კრისტიანსენი-4), ვოლფი-2.5, გლაუბერი-3.5, პინოლა-3.5, სპირანოვიჩი-3, ენგელჰარდტი-3.5 (76. სიბონი), პაგენბურგი-4 (56. ბანოვიჩი-3.5), შროთი-5, საენკო-3.

**ვოლფსბურგი:** იენტცში-3.5, კიროგა-3, მადლუნგი-4, ჰოფლანდი-3, ვან დერ ჰეიდენი-3.5, მაკიადი-4 (81. ლამპრეხტი), ვან დერ ლეეგტე-3.5, კრჟინოვეკი-3 (79. შარპე), მარსელინიო-3, ბოაკი-4.5 (70. ჰილი), კლიმოვიჩი-3.5.

**გოლები:** 0:1 კრჟინოვეკი (17), 1:1 ვოლფი (23)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 13-13; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 21-26; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 46 200

### მაინცი-ჰანოვერი 1:2

**მაინცი:** ვეტკლო-4, დემირტასი-4.5 (55. იოვანოვიჩი-3), მ. ფრიდრიხი-3.5, ნოვესკი-4, როზე-4, გერბერი-4.5, პეკოვიჩი-3.5, აზაუაგი-4.5 (69. ვრანჩიჩი-3.5), სოტო-5 (55. ვაიგელტი-3.5), რუმანი-5, ზიდანი-2.5.

**ჰანოვერი:** ენკე-3, ჩერუნდოლო-3.5, ფარენჰორსტი-3, ვინიციუსი-4, ტარნატი-3, ბალიტში-3, იანკოვი-3.5, როზენტალი-3 (84. შტაინერი), ბრუგინკი-3.5, ჰუშტი-2.5 (91. ჰალფარი), ჰაშემიანი-4.

**გოლები:** 0:1 ბრუგინკი (26), 0:2 იანკოვი (50), 1:2 ზიდანი (81)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 16-9; **კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 13-25; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 20 300

### არმინია-ვერდერი 3:2

**არმინია:** ჰაინი-2.5, ბოლმანი-4 (84. ტ. მარქსი), ვესტერმანი-2.5, კუჩერა-3.5, რაუ-4 (63. გაბრიელი-3.5), კაუფი-3.5, ტეშე-2.5, ბიომე-3, მასმანიდისი-3, ვიხნიარეკი-3.5 (55. კამპერი-2.5), აიგლერი-2.5.

**ვერდერი:** რაინკე-3, ფრიტცი-4, პასანენი-3.5 (69. უგო ალმეიდა-3), ნალდო-3, ოვომოიელა-4.5, ბაუმანი-4 (46. დ. იენსენი-4.5), ფრინგსი-4.5, ვრანიეში-3.5 (46. ჰანტი-3.5), დიეგო-4, კლოზე-2.5, როზენბერგი-4.

**გოლები:** 1:0 ვესტერმანი (30), 1:1 კლოზე (59), 2:1 კამპერი (61), 2:2 უგო ალმეიდა (74), 3:2 აიგლერი (79)

**გაფრთხილება:** 1-5; **დარტყმა:** 12-13; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 17-28; **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 26 601

### კოტბუსი-ლევერკუზენი 2:1

**კოტბუსი:** პიპლიცა-3, ვ. და სილვა-3.5, მაკენა-2.5, მიტრესკი-3, კვიტანოვიჩი-3.5, კუკიელკა-3, ტ. როსტი-3.5 (80. გუნკელი), ბაუმგარტი-2.5 (82. ბანდროვსკი), მუნტეანუ-3.5 (87. ციბიგი), კიოიო-3, რადუ-2.5.

**ლევერკუზენი:** ადლერი-4, კასტრო-3.5, ჟუანი-4 (46. ჰაგი-5.5), კალსენ-ბრაკერი-4, შტენმანი-4.5 (87. პაპადოპულოსი), შვეგლერი-4.5, როლფესი-4, შნაიდერი-3.5, ბარნეტა-4.5 (84. ფრაიერი), ბარბარესი-5, კისლინგი-3.

**გოლები:** 1:0 რადუ (8), 1:1 კისლინგი (44), 2:1 ჰაგი (84-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 9-12; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 19-23; **ბურთის ფლობა:** 31%-69%.

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 31 | 19 | 5 | 7 | 50-29 | 62 |
| 2. შტუტგარტი | 31 | 18 | 7 | 6 | 54-34 | 61 |
| 3. ვერდერი | 31 | 18 | 6 | 7 | 69-37 | 60 |
| 4. ბაიერნი | 31 | 16 | 5 | 10 | 46-37 | 53 |
| 5. ნიურნბერგი | 31 | 10 | 15 | 6 | 40-29 | 45 |
| 6. ლევერკუზენი | 31 | 13 | 6 | 12 | 48-44 | 45 |
| 7. ჰერტა | 31 | 11 | 8 | 12 | 45-47 | 41 |
| 8. კოტბუსი | 31 | 11 | 8 | 12 | 37-42 | 41 |
| 9. ჰანოვერი | 31 | 11 | 8 | 12 | 38-44 | 41 |
| 10. ჰამბურგი | 31 | 8 | 15 | 8 | 37-34 | 39 |
| 11. ბოხუმი | 31 | 11 | 6 | 14 | 42-47 | 39 |
| 12. ბორუსია (დ) | 31 | 10 | 8 | 13 | 36-41 | 38 |
| 13. არმინია | 31 | 9 | 9 | 13 | 41-45 | 36 |
| 14. ვოლფსბურგი | 31 | 8 | 12 | 11 | 35-39 | 36 |
| 15. აინტრახტი | 31 | 7 | 13 | 11 | 39-55 | 34 |
| 16. ალემანია | 31 | 9 | 6 | 16 | 44-60 | 33 |
| 17. მაინცი | 31 | 7 | 10 | 14 | 29-50 | 31 |
| 18. ბორუსია (მ) | 31 | 6 | 7 | 18 | 22-38 | 25 |

**ბომბარდირები:** 19 - გეკასი (ბოხუმი); 15 - ფრაი (ბორუსია დ); 14 - მაკაი (ბაიერნი), კურანი (შალკე); 13 - კლოზე (ვერდერი), ზიდანი (მაინცი), გომესი (შტუტგარტი), რადუ (კოტბუსი); 12 - კაკაუ (შტუტგარტი), დიეგო (ვერდერი), პანტელიჩი (ჰერტა); 11 - მუნტეანუ (კოტბუსი), ხიმენესი (ჰერტა).

### II ბუნდესლიგა

XXXI ტური

**ბრაუნშვაიგი-ბურგჰაუზენი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბრინკმანი (23), 1:! ტოლესკი (58), 2:1 ლეოზინიო (65), 3:1 ლეოზინიო (73)

**კარლ ცაისი-დუისბურგი 3:3**

**გოლები:** 1:0 სიკორა (17), 2:0 ფრიოლიხი (33), 3:0 სიკორა (39), 3:1 გრლიჩი (68), 3:2 ლავრიჩი (83), 3:3 გრლიჩი (85)

**პადერბორნი-აუე 1:0**

**გოლი:** 1:0 ბრაუერსი (62)

**აუგსბურგი-კაიზერსლაუტერნი 3:2**

**გოლები:** 1:0 ლოური (32-პენ), 1:1 ოპარა (39), 2:1 ლოური (53), 2:2 მაისნერი (56), 3:2 და კოშტა (75)

**კარლსრუე-უნტერჰახინგი 1:0**

**გოლი:** 1:0 კაპლანი (67)

**კობლენცი-მიუნხენი 2:1**

**გოლები:** 0:1 გიოქთანი (30), 1:1 ცილი (33), 2:1 ძაკა (66)

**კიოლნი-ფიურტი 0:2**

**გოლები:** 0:1 ანდრეასენი (22), 0:2 სიდიმარი (79)

**ოფენბახი-ფრაიბურგი 2:3**

**გოლები:** 0:1 სანუ (34), 0:2 ანტარი (37), 0:3 სანუ (73), 1:3 ოერლი (85), 2:3 ოერლი (90)

**ესენი-ჰანზა** *დღეს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარლსრუე | 31 | 20 | 6 | 5 | 64-35 | 66 |
| 2. ჰანზა | 30 | 14 | 13 | 3 | 44-25 | 55 |
| 3. დუისბურგი | 31 | 14 | 12 | 5 | 59-37 | 54 |
| 4. ფიურტი | 31 | 16 | 6 | 9 | 51-33 | 54 |
| 5. ფრაიბურგი | 31 | 15 | 9 | 7 | 50-38 | 54 |
| 6. კაიზერი | 31 | 13 | 11 | 7 | 44-30 | 50 |
| 7. აუგსბურგი | 31 | 13 | 9 | 9 | 40-29 | 48 |
| 8. მიუნხენი | 31 | 13 | 5 | 13 | 43-45 | 44 |
| 9. აუე | 31 | 13 | 4 | 14 | 41-42 | 43 |
| 10. კიოლნი | 31 | 11 | 8 | 12 | 42-45 | 41 |
| 11. პადერბორნი | 31 | 10 | 9 | 12 | 30-33 | 39 |
| 12. კობლენცი | 31 | 9 | 8 | 14 | 31-42 | 35 |
| 13. ოფენბახი | 31 | 9 | 6 | 16 | 38-55 | 33 |
| 14. კარლ ცაისი | 31 | 8 | 9 | 14 | 36-53 | 33 |
| 15. უნტერჰახინგი | 31 | 8 | 8 | 15 | 30-44 | 32 |
| 16. ესენი | 30 | 7 | 9 | 14 | 31-36 | 30 |
| 17. ბურგჰაუზენი | 31 | 6 | 9 | 16 | 35-60 | 27 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 31 | 4 | 9 | 18 | 18-45 | 21 |

**ბომბარდირები:** 17 - კაპლანი (კარლსრუე); 16 - ფედერიკო (კარლსრუე); 14 - ლოური (აუგსბურგი); 13 - ტურკერი (ოფენბახი); 12 - ტიმი (ფიურტი), მოხტარი (დუისბურგი); 11 - ჰელმესი (კიოლნი), კერნი (ჰანზა), ლავრიჩი (დუისბურგი); 10 - ანტარი (ფრაიბურგი).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXXIII ტური

**ჰერტა II-მაგდებურგი 0:2; სტ.პაული-ალენი 3:0; უნიონი-დინამო (დ) 2:1; ჰამბურგი II-გლადბახი II 1:2; ემდენი-ოსნაბრიუკი 1:1; ლიუბეკი-დორტმუნდი II 1:3; ვერდერი II-ვუპერტალი 1:2; ვილჰელმშავენი-ერფურტი 3:5; ლევერკუზენი II-ფორტუნა 1:3.**

### რეგიონალლიგა (სამ)

XXIX ტური

**პფიულენდორფი-ელვერსბერგი 1:1; შტუტგარტი II-კაიზერი II 3:2; დარმშტადტი-აალენი 0:1; ინგოლშტადტი-კარლსრუე II 1:1; პირმასენსი-ვეენი 0:2; როიტლინგენი-მიუნხენი II 2:2; ზააბრიუკენი-ჰოფენჰაიმი 1:3; ზიგენი-კასელი 1:2; ბაიერნი II-შტ.კიკერსი 1:0.**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტური

# ...დაკარგულია!

## მანჩესტერ სიტი რეკორდს უმიზნებს, სიტის პოტენციური ინვესტორი კი ბოლტონიდან წასულ ელერდაისს...



ევერტონი-მანჩესტერ იუნაიტედი. კრის იგლსმა გოლით წერტილი დაუსვა ამ მატჩს

"მანჩესტერი" "ევერტონთან" ორი ბურთის სხვაობით აგებდა, მაგრამ არა მარტო გაათანაბრა, მეტოქე მიწასთანაც კი გაასწორა. პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში "ჩელსიმ" "ბოლტონს" ვერ მოუგო. ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე სხვაობა ხუთ ქულამდე გაიზარდა. საეჭვოა, "იუნაიტედმა" ამხელა უპირატესობა გაანიავოს.

2:0-ზე ევერტონელთა მეკარე **იან ტერნერმა** ალმაშფოთებელი შეცდომა დაუშვა. კუთხურისას ბურთი ხელიდან გაუვარდა. ჩასაფრებულმა **ჯონ ოშიმ** სხვაობა შეამცირა. ცოტა ხანში "მანჩესტერის" ყოფილმა ფეხბურთელმა **ფილ ნევილმა** ავტოგოლით გაათანაბრა. მალე **უეინ რუნიმ** სეზონის 23-ე გოლი შეაგდო. თამაშს დებიუტანტმა **კრის იგლსმა** დაუსვა წერტილი.

"მანჩესტერსა" და "ჩელსის" სამ-სამი მატჩი დარჩათ სათამაშო. მომდევნო ტურში "იუნაიტედი" თანაქალაქელ "სიტის" შეხვდება. 24 საათის შემდეგ - "არსენალს". ამ ორი მატჩის მოგების შემთხვევაში, ის მეცხრედ მოიპოვებს პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულს, იმის მიუხედავად, თუ რა შედეგით დასრულდება "ჩელსისთან" 9 მაისის შეხვედრა.

"ევერტონმა" პირველი ნახევარი შთამბეჭდავად ჩაატარა. ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა. **ელან სტაბსმა** 30 იარდიდან საჯარიმო შეაგდო. ბურთი **მაიკლ ქერიკს** შეეხო და მიმართულება შეიცვალა. **ვან დერ სარი** უძლური აღმოჩნდა. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე **მანუელ ფერნანდესმა** არანაკლებ ეფექტური გოლი გაიტანა. ლონდონში "ჩელსის" 2:1 მიჰყავდა. "ეშმაკები" განწირულები ჩანდნენ, მაგრამ მათ დაამტკიცეს, რომ ყველაზე საშიშნი მაშინ არიან, როცა კედელთან მიაყენებენ ხოლმე.

როცა **ჟოზე მოურინიო** მეორე გოლის ავტორს ნახავს, სალაპარაკო აღარ გამოელევა. კუთხურისას ბურთი კარის ხაზზე მდგარ ფილ ნევილს მიუგორდა. მცველმა მისი მოგერიება სცადა, მაგრამ ავტოგოლი მიიღო. ფილმა "მენიუში" 11 ძალიან წარმატებული წელიწადი გაატარა. მის მანჩესტერულ აქტივში 263 მატჩი და 5 გოლია. ფილმა "იუნაიტედისთვის" ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი შაბათს შეაგდო...

ბოლო ორ ტურში "ჩელსიმ" ოთხი ქულა გაანიავა. "ლივერპულთან" სამშაბათის მატჩის გამო, მოურინიომ გადახალისებული შემადგენლობა გამოიყვანა. ბოლტონელები მე-19 წუთზე დაწინაურდნენ. **ლუბომირ მიხალიკმა** საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. "ჩელსიმ" სამ წუთში გაათანაბრა. **სალომონ კალუმ უეინ ბრიჯის** პასი დააგვირგვინა. 29-ე წუთზე "არისტოკრატებს" წამყვანი ცენტრალური მცველი **რიკარდო კარვალიო** დაუშავდათ. მან მუხლი დაიზიანა და საეჭვოა, ხვალისთვის გამოჯანმრთელება. კარვალიო **ფრენკ ლემპარდმა** შეცვალა. დაცვაში კი **მიკაელ ესიენმა** დაიხია. 30-ე წუთზე **ანდრეი შევჩენკოს** საუცხოო მომენტი ჰქონდა. **იუსი იაასკელაინენმა** ბურთი კუთხურზე გადააგდო. "ჩელსიმ" მეტოქე ისე შეავიწროვა, რომ გოლი გარდაუვალი ჩანდა. 33-ე წუთზე "ბოლტონის" კართან მორიგი კუთხური დაინიშნა. კალუ ლემპარდის ჩაწოდებას შორ ძელთან ჩაუსაფრდა. მისი თავურის შემდეგ ბურთი ხარხას მოხვდა, იაასკელაინენს შეეხო და ისევ შეგორდა ბადეში. ფინელ მეკარეს ავტოგოლი გაუფორმეს.

შესვენებისას მოურინიომ კიდევ ერთი ფეხბურთელი შეცვალა: შევჩენკოს ადგილი **დიდიე დროგბამ** დაიკავა. 54-ე წუთზე "სტემფორდ ბრიჯს" ცივი წყალი გადაავლეს: **კევინ დევისმა** გაქვავებულ ჩეხს თავით გაუტანა, 2:2. მაყურებელს გულზე მოეშვა, როცა ევერტონელთა მეორე გოლის ამბავი შეიტყო. ჟოზემ **ლასანა დიარა ჯო კოულით** შეცვალა. მას გამარჯვება სურდა, მაგრამ პორტუგალიელს გეგმები ჩაეფუშა. "ბოლტონის" დაცვამ მეტოქის იერიშებს ვაჟკაცურად გაუძლო, "მანჩესტერმა" კი...

მოურინიო: *"დამწუხრებული ვარ, მაგრამ სამშაბათს იმდენად დიდი თამაში გვაქვს, რომ მწუხარებისთვის დრო არ გვრჩება. ტიტული? ის თითქმის დაკარგულია. ფეხბურთში "თითქმის" არაფერს ნიშნავს. მათემატიკურად, შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და სანამ შანსი არსებობს, უფლება არ გვაქვს, ხელები ჩამოვუშვათ. "მანჩესტერმა" ორი თამაში უნდა წააგოს, ჩვენ კი სამივე მოვიგოთ და მხოლოდ ამ შემთხვევაში გავხდებით ჩემპიონები. "იუნაიტედს" "სტემფორდ ბრიჯზე" წაგების უფლებაც კი აქვს. ესე იგი, ისინი წწეხის ქვეშ არ არიან..."*

"ლივერპულმა" "პორტსმუთში" შესუსტებული გუნდი ჩაიყვანა. **რაფა ბენიტესმა** შვიდი ფეხბურთელი (მათ შორის - **სტივ ჯერარდი, პეპე რეინა, ჯეიმი კარაგერი, დირკ კუიტი** და **ხავიერ მასკერანო**) შეცვალა იმ შემადგენლობაში, რომელმაც ოთხშაბათს "ჩელსისთან" მინიმალური ანგარიშით წააგო. სადებიუტო მატჩი ჩაატარა ახალწვეულმა **ემილიანო ინსუამ**. შეცვლაზე ითამაშა კიდევ ერთმა დებიუტანტმა **ნაბილ ეს ზარიმ**. სკამზე იჯდა სარეზერვო გუნდის მესამე მოთამაშე **ჯეკ ჰობსი**. ყველაზე მეტად სახეცვლილი იყო სტუმართა დაცვის ხაზი - ცენტრში პალეტა და ჰიიპია, ხოლო მარცხენა ფლანგზე ინსუა.

მერსისაიდელებმა გოლები დუდეკისა და პალეტას შეცდომების გამო გაუშვეს. "ლივერპულმა" მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა (სემი ჰიიპია). დასაწყისში, მე-10 წუთზე, **რობი ფაულერმაც** იყოჩაღა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. სხვა ეპიზოდებში "პორტსმუთის" დაცვას ყურადღება არ მოუდუნებია. **ჰარი რედნაპის** შეგირდები მეშვიდე ადგილზე ასკუპდნენ და უეფას თასზე მოხვედრის კარგი შანსი აქვთ...

"ვესტ ჰემმა" "ვიგანთან" სასიცოცხლო მნიშვნელობის სამი ქულა მოიპოვა. **ალან კერბიშლის** შეგირდებმა ბოლო შვიდ შეხვედრაში მეხუთე თამაში მოიგეს. მართალია, ისინი ჯერ კიდევ გასავარდნ ზონაში იმყოფებიან, მაგრამ გადარჩენის არცთუ ურიგო შანსი გაუჩნდათ. მათგან განსხვავებით, ვიგანელებმა შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხვეს. თამაშის წინ ორი კლუბის თავმჯდომარემ - **დეივ ველანმა** და **ეგერტ მაგნუსონმა** თბილად მოიკითხეს ერთმანეთი. ეს ის ველანი იყო, რომელიც ერთი დღით ადრე საფეხბურთო ასოციაციას "ვესტ ჰემისთვის" ქულების ჩამოკლება მოსთხოვა. სატრანსფერო კანონმდებლობის დარღვევისთვის, "ვიგანთან" მატჩამდე ერთი დღით ადრე, "ჩაქუჩები" 5.5 მილიონი გირვანქით დააჯარიმეს. მაგრამ მისტერ ველანმა სასჯელი საკმარისად არ ჩათვალა და სინანულით აღნიშნა, რომ მხოლოდ ფინანსური სანქციის დაწესებით, სხვა კლუბებისთვის საშიში პრეცედენტი შეიქმნა - ამიერიდან, ყველას შეუძლია კანონმდებლობის დარღვევა და სანაცვლოდ მხოლოდ ზედმეტი ფული დაეხარჯებათ. "ვესტ ჰემისაგან" გოლები **ლუიშ ბოა მორტემ, იოსი ბენაიუნმა** და **მარლონ ჰერვუდმა** გაიტანეს. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ არგენტინელი თავდამსხმელი **კარლოს ტევესი** დასახელდა...

| 7. გიოტებორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 8. ტრელებორგ | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| 9. ბრომაპოიკარ | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| 10. ელფსბორგი | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 11. ერებრუ | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 12. ჰელსინგბორ | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 13. გაის | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 14. გეფლე | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |

### II დივიზიონი

III ტური

დეგერფორსი-ბუნკეფლო 1:1; იორგრიტე-ატვიდაბერგსი 0:0; სირიუსი-მიალბიუ 3:1; ფალკენბერგსი-ოსტერსი 2:2; სუნდსვალი-სილვია 1:0.

## ხორვატია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ვარტექსი-კამენი | 3:2 |
| ზაგრები-შიბენიკი | 3:1 |
| პაიდუკი-სლავენი | 1:1 |
| დინამო-მედიმურიე | 4:1 |
| ოსიეკი-სიბალია | 2:2 |
| რიეკა-პულა | 1:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 29 | 26 | 2 | 1 | 71-22 | 80 |
| 2. ჰაიდუკი | 29 | 21 | 4 | 4 | 53-17 | 67 |
| 3. ზაგრები | 29 | 18 | 3 | 8 | 55-29 | 57 |
| 4. სლავენი | 29 | 14 | 6 | 9 | 37-29 | 48 |
| 5. შიბენიკი | 29 | 14 | 5 | 10 | 43-37 | 47 |
| 6. რიეკა | 29 | 10 | 5 | 14 | 43-48 | 35 |
| 7. მედიმურიე | 29 | 10 | 4 | 15 | 37-49 | 34 |
| 8. ოსიეკი | 29 | 8 | 9 | 12 | 31-42 | 33 |
| 9. ვარტექსი | 29 | 9 | 5 | 15 | 38-54 | 32 |
| 10. პულა | 29 | 6 | 9 | 14 | 28-38 | 27 |
| 11. სიბალია | 29 | 5 | 5 | 19 | 24-51 | 20 |
| 12. კამენი | 29 | 3 | 3 | 23 | 26-70 | 12 |

## პოლონეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ვისლა-ლეგია | 3:1 |
| კორონა-ოდრა | 0:1 |
| გურნიკი-გროცლინი | 2:3 |
| ლეხი-ლენჩნა | 1:0 |
| პოგონი-ვიძევი | 0:1 |
| პლოცკი-ზაგლებე | 0:2 |
| ლკს-ბელხატოვი | 0:1 |
| არკა-კრაკოვია | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელხატოვი | 24 | 15 | 4 | 5 | 49-22 | 49 |
| 2. ზაგლებე | 24 | 14 | 7 | 3 | 42-22 | 49 |
| 3. კორონა | 24 | 13 | 4 | 7 | 34-24 | 43 |
| 4. ვისლა | 24 | 9 | 13 | 2 | 38-18 | 40 |
| 5. ლეგია | 24 | 12 | 4 | 8 | 42-25 | 40 |
| 6. ლკს | 24 | 9 | 9 | 6 | 26-23 | 36 |
| 7. კრაკოვია | 24 | 10 | 5 | 9 | 34-37 | 35 |
| 8. ლეხი | 24 | 8 | 10 | 6 | 39-29 | 34 |
| 9. გროცლინი | 24 | 6 | 14 | 4 | 27-23 | 32 |
| 10. ოდრა | 24 | 6 | 9 | 9 | 19-30 | 27 |
| 11. არკა | 22 | 5 | 10 | 7 | 26-31 | 25 |
| 12. ვიძევი | 23 | 6 | 7 | 10 | 19-28 | 25 |
| 13. გურნიკი | 24 | 5 | 5 | 14 | 25-42 | 20 |
| 14. ლენჩნა | 22 | 5 | 5 | 12 | 17-43 | 20 |
| 15. პოგონი | 24 | 3 | 7 | 14 | 19-34 | 16 |
| 16. პლოცკი | 23 | 2 | 9 | 12 | 14-39 | 15 |

## შოტლანდია

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| აბერდინი-კილმარნოკი | 3:0 |
| ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 3:3 |
| დანდი იუნ-ინვერნესი | 1:1 |
| მოზერველი-ფალკირკი | 3:3 |
| სელტიკი-ჰართსი | 1:3 |
| სტ. მირენი-დანფერმლაინი | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 35 | 25 | 6 | 4 | 62-29 | 81 |
| 2. რეინჯერსი | 35 | 20 | 9 | 6 | 59-29 | 69 |
| 3. აბერდინი | 35 | 18 | 7 | 10 | 51-35 | 61 |
| 4. ჰართსი | 35 | 16 | 9 | 10 | 44-33 | 57 |
| 5. კილმარნოკი | 35 | 13 | 7 | 15 | 44-54 | 46 |
| 6. ჰიბერნიანი | 35 | 12 | 10 | 13 | 54-42 | 46 |
| 7. ფალკირკი | 35 | 12 | 5 | 18 | 43-47 | 41 |
| 8. დანდი იუნ | 35 | 10 | 11 | 14 | 40-55 | 41 |
| 9. ინვერნესი | 35 | 9 | 13 | 13 | 39-46 | 40 |
| 10. მოზერველი | 35 | 10 | 7 | 18 | 38-54 | 37 |
| 11. სტ. მირენი | 34 | 6 | 12 | 16 | 26-47 | 30 |
| 12. დანფერმლა | 34 | 6 | 8 | 20 | 20-49 | 26 |

### I დივიზიონი

XXXVI ტური

კლაიდი-დანდი 1:1; ჰამილტონი-სტ.ჯონსტონი 3:4; პარტიკი-ლივინგსტონი 0:0; ქუინი-ეირდრი 0:3; როსი-გრეტნა 2:3.

### II დივიზიონი

XXXVI ტური

ალოა-ფორფარი 2:0; ეირი-მორტონი 1:0; ბრეჩინი-კოუდენბითი 1:0; რეითი-პიტერჰედი 2:0; სტრანრარი-სტირლინგი 3:1.

### III დივიზიონი

XXXVI ტური

ალბიონი-ისტ სტირლინგი 2:1; არბროა-ისტ ფაიფი 1:3; დამბარტონი-ქუინზ პარკი 1:2; ელჯინი-მონროუზი 0:2; სტენჰაუზმური-ბირუიკი 2:0.

## ნორვეგია

IV ტური

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-სტრიომსგოდსეტი | 0:0 |
| ფრედრიკსტადი-ვიკინგი | 2:0 |
| ოდ გრენლანდი-აალესუნდი | 3:0 |
| სანდეფიორდი-ტრომსიო | 2:1 |
| სტარტი-სტაბეკი | 1:1 |
| რუსენბორგი-ბრანი | 3:0 |
| ლილესტრიომი-ლინი | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრანი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 2. ლილესტრიომ | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 3. რუსენბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-6 | 7 |
| 4. ფრედრიკსტ | 4 | 2 | 1 | 1 | 8-7 | 7 |
| 5. სანდეფიორდ | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 6. ლინი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 7. სტარტი | 4 | 1 | 3 | 0 | 7-5 | 6 |
| 8. სტაბეკი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 9. სტრიმსგოდს | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 10. ტრომსიო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 11. ოდ გრენლან | 4 | 1 | 0 | 3 | 5-6 | 3 |
| 12. ვიკინგი | 4 | 0 | 3 | 1 | 2-4 | 3 |
| 13. ვოლერენგა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| 14. აალესუნდი | 4 | 0 | 1 | 3 | 5-13 | 1 |

### II დივიზიონი

IV ტური

ბოდო გლიმტი-სკეიდი 4:1; ტრიომსდალენი-ჰამარი 3:5; რაუფოსი-მოსი 2:0; მიოლდე-ჰიონეფოსი 1:1; ლოვ ჰამი-სიოგნდალი 0:1; კონგსვინგერი-ნოტოდენი 2:1; ჰაუგესუნდი-მანდალი 2:1; ბრინი-სპარტა 3:1.

## სლოვენია

XXX ტური

| | |
|---|---|
| ფაქტორი-ნაფტა | 2:0 |
| გორიცა-დომჟალე | 6:1 |
| პუბლიკუმი-მარიბორი | 4:1 |
| ბელა კრაინა-კოპერი | 1:2 |
| დრავა-პრიმორიე | 1:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დომჟალე | 30 | 17 | 11 | 2 | 53-26 | 62 |
| 2. გორიცა | 30 | 14 | 7 | 9 | 52-46 | 49 |
| 3. მარიბორი | 30 | 12 | 11 | 7 | 52-43 | 47 |
| 4. პრიმორიე | 30 | 12 | 9 | 9 | 43-36 | 45 |
| 5. ნაფტა | 30 | 11 | 8 | 11 | 39-45 | 41 |
| 6. დრავა | 30 | 10 | 10 | 10 | 44-44 | 40 |
| 7. პუბლიკუმი | 30 | 9 | 10 | 11 | 44-43 | 37 |
| 8. კოპერი | 30 | 6 | 15 | 9 | 35-39 | 33 |
| 9. ბელა კრაინა | 30 | 5 | 10 | 15 | 37-51 | 25 |
| 10. ფაქტორი | 30 | 4 | 9 | 17 | 32-58 | 21 |

## უკრაინა

XXIV ტური

| | |
|---|---|
| მეტალურგი (დ)-კრივბასი | 2:1 |
| ტავრია-დინამო | 2:4 |
| არსენალი-ხარკოვი | 1:1 |
| დნიპრო-კარპატი | 2:2 |
| ილიჩივეცი-მეტალურგი (ზ) | 1:0 |
| ვორსკლა-ჩერნომორეცი | 0:0 |
| სტალი-შახტარი | 0:2 |
| მეტალისტი-ზარია | 1:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 24 | 18 | 6 | 0 | 56-19 | 60 |
| 2. შახტარი | 24 | 18 | 3 | 3 | 52-13 | 57 |
| 3. მეტალისტი | 23 | 12 | 6 | 5 | 26-17 | 42 |
| 4. დნიპრო | 24 | 9 | 12 | 3 | 26-18 | 39 |
| 5. ტავრია | 24 | 10 | 4 | 10 | 24-26 | 34 |
| 6. კარპატი | 23 | 8 | 8 | 7 | 22-26 | 32 |
| 7. ჩერნომორ | 24 | 8 | 6 | 10 | 31-32 | 30 |
| 8. კრივბასი | 24 | 6 | 11 | 7 | 26-31 | 29 |
| 9. მეტალურ (დ) | 24 | 7 | 8 | 9 | 22-29 | 29 |
| 10. მეტალურ (ზ) | 24 | 7 | 8 | 9 | 17-25 | 29 |
| 11. არსენალი | 24 | 6 | 9 | 9 | 23-30 | 27 |
| 12. ხარკოვი | 24 | 6 | 8 | 10 | 21-31 | 26 |
| 13. ვორსკლა | 24 | 5 | 6 | 13 | 16-25 | 21 |
| 14. ილიჩივეცი | 24 | 5 | 6 | 13 | 19-30 | 21 |
| 15. ზარია | 24 | 5 | 6 | 13 | 18-39 | 21 |
| 16. სტალი | 24 | 5 | 5 | 14 | 20-28 | 20 |

## პორტუგალია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ფერეირა-ლეირია | 0:0 |
| ბელენენსეში-ბეირა მარი | 2:0 |
| ბოავიშტა-პორტუ | 2:1 |
| ნასიონალი-ამადორა | 1:0 |
| ნავალი-ავეში | 0:1 |
| სეტუბალი-მარიტიმუ | 1:1 |
| ბენფიკა-სპორტინგი | 1:1 |
| აკადემიკა-ბრაგა | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 27 | 20 | 2 | 5 | 58-18 | 62 |
| 2. სპორტინგი | 27 | 17 | 8 | 2 | 45-14 | 59 |
| 3. ბენფიკა | 27 | 17 | 7 | 3 | 50-19 | 58 |
| 4. ბელენენსეშ | 27 | 14 | 4 | 9 | 33-23 | 46 |
| 5. ბრაგა | 26 | 11 | 7 | 8 | 30-28 | 40 |
| 6. ფერეირა | 27 | 10 | 10 | 7 | 29-33 | 40 |
| 7. ლეირია | 27 | 9 | 9 | 9 | 19-23 | 36 |
| 8. ნასიონალი | 27 | 10 | 5 | 12 | 37-35 | 35 |
| 9. ბოავიშტა | 27 | 7 | 11 | 9 | 30-31 | 32 |
| 10. ნავალი | 27 | 7 | 10 | 10 | 24-31 | 31 |
| 11. მარიტიმუ | 27 | 8 | 7 | 12 | 29-40 | 31 |
| 12. ამადორა | 27 | 7 | 7 | 13 | 20-35 | 28 |
| 13. აკადემიკა | 26 | 6 | 7 | 13 | 28-41 | 25 |
| 14. ავეში | 27 | 5 | 7 | 15 | 20-34 | 22 |
| 15. სეტუბალი | 27 | 4 | 9 | 14 | 18-40 | 21 |
| 16. ბეირა მარი | 27 | 3 | 10 | 14 | 26-51 | 19 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

გონდომარი-ტროფენსე 1:0; გიმარაეში-რიუ ავე 3:0; მოსკავიდე-ჟილ ვისენტე 1:2; ოლანენსე-ეშტორილი 3:1; პენაფიელი-სანტა კლარა 1:0; პორტიმონენსე-შავეში 1:0; ვარზიმი-ლეიქსოეში 1:1; ვიზელა-ფეირენსე 1:0.

## ავსტრია

XXXI ტური

| | |
|---|---|
| პაშინგი-გრაცერი | 3:0 |
| ზალცბურგი-აუსტრია | 2:2 |
| შტურმი-მატერსბურგი | 3:1 |
| ტიროლი-ალტახი | 1:1 |
| რაპიდი-რიდი | 5:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 31 | 20 | 8 | 3 | 64-19 | 68 |
| 2. მატერსბურ | 31 | 14 | 7 | 10 | 49-48 | 49 |
| 3. რაპიდი | 31 | 11 | 10 | 10 | 46-44 | 43 |
| 4. პაშინგი | 31 | 11 | 9 | 11 | 36-33 | 42 |
| 5. რიდი | 31 | 10 | 11 | 10 | 38-39 | 41 |
| 6. შტურმი | 31 | 13 | 5 | 13 | 35-37 | 41 |
| 7. აუსტრია | 31 | 9 | 12 | 10 | 36-37 | 39 |
| 8. გრაცერი | 31 | 8 | 9 | 14 | 40-56 | 33 |
| 9. ალტახი | 31 | 9 | 5 | 17 | 40-55 | 32 |
| 10. ტიროლი | 31 | 7 | 10 | 14 | 32-48 | 31 |

*შტურმს დაკლებული აქვს 3 ქულა*

### II დივიზიონი

XXVII ტური

აუსტრია (ლ)-ადმირა 3:0; ჰარტბერგი-ლუშტენაუ 3:1; კერნტენი-კაპფენბერგი 2:0; ლინცერი-აუსტრია A 0:2; ლეობენი-გრატკორნი 3:0; პარნდორფი-შვანენშტადტი 2:3.

## შვეიცარია

XXX ტური

| | |
|---|---|
| არაუ-სიონი | 0:2 |
| გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი | 1:2 |
| შაფჰაუზენი-ლუცერნი | 0:0 |
| სტ. გალენი-ციურიხი | 2:2 |
| ტუნი-ბაზელი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ციურიხი | 30 | 18 | 5 | 7 | 54-30 | 59 |
| 2. ბაზელი | 30 | 17 | 7 | 6 | 63-38 | 58 |
| 3. იანგ ბოიზი | 30 | 15 | 7 | 8 | 45-33 | 52 |
| 4. სტ. გალენი | 30 | 13 | 10 | 7 | 41-34 | 49 |
| 5. სიონი | 30 | 13 | 8 | 9 | 47-40 | 47 |
| 6. გრასჰოპერს | 30 | 12 | 9 | 9 | 48-32 | 45 |
| 7. ლუცერნი | 30 | 8 | 8 | 14 | 28-41 | 32 |
| 8. ტუნი | 30 | 7 | 6 | 17 | 24-55 | 27 |
| 9. შაფჰაუზენი | 30 | 4 | 10 | 16 | 24-48 | 22 |
| 10. არაუ | 30 | 5 | 6 | 19 | 25-48 | 21 |

### ჩელენჯლიგა

XXVIII ტური

კონკორდია-კიასო 1:2; ვინტერტური-ლოზანა 2:1; ვოლენი-ბელინცონა 1:2; ფონდსი-იუვენტუსი 1:2; ლოკარნო-ქსამაქსი 2:2; კრინსი-სერვეტი 1:2; ლუგანო-ვადუცი 2:1; ბოლმსი-დელემონი 1:1; ივერდონი-ვილი 3:2.

## რუსეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| ლუჩ ენერგია-დინამო | 0:1 |
| ტომი-ზენიტი | 0:1 |
| ხიმკი-ნალჩიკი | 1:0 |
| ლოკომოტივი-მოსკოვი | 1:1 |
| ცსკა-სატურნი | 3:1 |
| კრილია-ამკარი | 1:0 |
| რუბინი-როსტოვი | 0:0 |
| კუბანი-სპარტაკი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მოსკოვი | 7 | 4 | 3 | 0 | 8-3 | 15 |
| 1. სპარტაკი | 7 | 4 | 3 | 0 | 8-3 | 15 |
| 3. ცსკა | 7 | 4 | 2 | 1 | 13-6 | 14 |
| 4. ზენიტი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-7 | 14 |
| 5. დინამო | 7 | 3 | 2 | 2 | 7-8 | 11 |
| 6. კრილია | 7 | 2 | 3 | 2 | 3-3 | 9 |
| 7. ლოკომოტივ | 7 | 2 | 3 | 2 | 5-6 | 9 |
| 8. ამკარი | 7 | 1 | 4 | 2 | 8-8 | 7 |
| 9. ტომი | 7 | 1 | 4 | 2 | 9-10 | 7 |
| 10. კუბანი | 7 | 1 | 4 | 2 | 5-6 | 7 |
| 11. სატურნი | 7 | 1 | 4 | 2 | 7-9 | 7 |
| 12. ხიმკი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-7 | 7 |
| 13. ლ-ენერგია | 7 | 2 | 1 | 4 | 4-6 | 7 |
| 14. როსტოვი | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 15. ნალჩიკი | 7 | 1 | 3 | 3 | 3-7 | 6 |
| 16. რუბინი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-9 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დანია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ოდენსე-მიდტიულანდი | 1:0 |
| ოლბორგი-ვეილე | 2:0 |
| ჰორსენსი-ნორდსილანდი | 2:3 |
| რანდერსი-ვიბორგი | 3:2 |
| სილკებორგი-კოპენჰაგენი | 0:1 |
| ბრონდბიუ-ესბერგი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 27 | 20 | 6 | 1 | 55-19 | 66 |
| 2. მიდტიულანი | 27 | 14 | 8 | 5 | 49-32 | 50 |
| 3. ოდენსე | 27 | 14 | 7 | 6 | 37-27 | 49 |
| 4. ოლბორგი | 27 | 14 | 6 | 7 | 42-29 | 48 |
| 5. ნორდსილანი | 27 | 13 | 6 | 8 | 53-31 | 45 |
| 6. ბრონდბიუ | 27 | 11 | 8 | 8 | 42-31 | 41 |
| 7. რანდერსი | 27 | 9 | 7 | 11 | 34-41 | 34 |
| 8. ესბერგი | 27 | 7 | 9 | 11 | 37-41 | 30 |
| 9. ჰორსენსი | 27 | 6 | 9 | 12 | 24-40 | 27 |
| 10. ვიბორგი | 27 | 7 | 4 | 16 | 28-54 | 25 |
| 11. სილკებორგ | 27 | 4 | 4 | 19 | 27-52 | 16 |
| 12. ვეილე | 27 | 3 | 6 | 18 | 27-58 | 15 |

### II დივიზიონი

XXI ტური

ჰიკ-აკადემისკი 1:1; ფრემი-ნაესტვედი 1:0; ოლსტიკე-სიონდერილი 1:1; ტისტედი-ბრაბრანდი 1:1; აგფ ორჰუსი-ჰერფიოლგე 3:1; კიოგე-ფრედერისია 0:3; კიოლდინგი-ორჰუსი 2:1; ლუნგბიუ-ფრემადი 0:0.

## სლოვაკეთი

### ფინალური ზონა

VIII ტური

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-შენეცი | 1:0 |
| ნიტრა-არტმედია | 1:1 |
| რუჟომბეროკი-კოშიცე | 1:0 |
| სლოვანი-ჟილინა | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჟილინა | 8 | 6 | 1 | 1 | 22-9 | 19 |
| 2. არტმედია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-7 | 17 |
| 3. სლოვანი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-8 | 14 |
| 4. კოშიცე | 8 | 3 | 2 | 3 | 9-7 | 11 |
| 5. რუჟომბეროკ | 8 | 3 | 0 | 5 | 8-9 | 9 |
| 6. ბისტრიცა | 8 | 3 | 0 | 5 | 7-13 | 9 |
| 7. ნიტრა | 8 | 1 | 3 | 4 | 4-10 | 6 |
| 8. შენეცი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-20 | 5 |

### გასავარდნი ზონა

VIII ტური

ტრენჩინი-ტრნავა 1:1; დუსლო-სობოტა 2:3; დუბნიცა-ინტერი 0:0; მოჩენოკი-მორავცე 1:0.

## არგენტინა

XII ტური

| | |
|---|---|
| ბელგრანო-არგ. ხუნიორსი | 0:2 |
| კოლონი-არსენალი | 1:1 |
| ესტუდიანტესი-გოდოი | 1:0 |
| როსარიო-რივერი | 0:2 |
| ხიმნასია (ხ)-კილმესი | 2:1 |
| ინდეპენდიენტე-ველესი | 1:0 |
| ხიმნასია (ლ)-ლანუსი | 0:1 |
| ბანფილდი-ნიუელსი | 4:0 |
| ბოკა-რასინგი | 2:2 |
| ს. ლორენსო-ნ ჩიკაგო | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

XVII ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-ჩივასი | 1:0 |
| სან ლუისი-ტეკოსი | 0:2 |
| ატლანტე-პაჩუკა | 1:4 |
| ვერაკრუსი-ნეკაქსა | 1:1 |
| მორელია-ამერიკა | 2:1 |
| ტიგრესი-პუმასი | 1:1 |
| ტოლუკა-მონტერეი | 1:0 |
| ატლასი-კერეტარო | გვ. დასრულდა |
| ს. ლაგუნა-კრუს ასული | გვ. დასრულდა |

## ჩილე

XIV ტური

| | |
|---|---|
| პალესტინო-ანტოფაგასტა | 4:1 |
| უნ. ესპანიოლა-კოკიმბო | 1:2 |
| კობრესალი-ლოტა | 6:0 |
| უნ. კონსეპსიონი-უნ. კატოლიკა | 2:4 |
| ევერტონი-მელიპილა | 2:2 |
| ო'ჰიგინსი-ნუბლენსე | 0:1 |
| ლა სერენა-სანტიაგო | 2:1 |
| პუერტო მონტი-დ. კონსეპსიონი | 3:1 |
| უნ. დე ჩილე-კოლო კოლო | 0:0 |
| იტალიანო-კობრელოა | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

XII ტური

| | |
|---|---|
| დანუბიო-ლივერპული | 2:0 |
| ტაკუარემბო-დეფენსორი | 0:0 |
| სენტრალი-რივერ პლეიტი | 1:1 |
| მირამარი-რამპლა | 0:1 |
| პროგრესო-რენტისტასი | 0:0 |
| ბელა ვისტა-როჩა | 4:0 |
| სერიტო-უონდერერსი | 2:0 |
| ნასიონალი-პენიაროლი | 0:3 |

## აშშ

IV ტური

| | |
|---|---|
| ტორონტო-კანზას სიტი | 0:1 |
| კოლამბუსი-დი სი იუნაიტედი | 1:0 |
| ლოს ანჯელესი-ჩივასი | 3:1 |
| დალასი-ნიუ ინგლენდი | 0:1 |
| ჰიუსტონი-ჩიკაგო | გვ. დასრულდა |

## იაპონია

VIII ტური

| | |
|---|---|
| იოკოჰამა-შიმიძუ | 1:1 |
| ოიტა-გამბა | 0:4 |
| კაშივა-ნაგოია | 2:0 |
| ომია-კოფუ | 1:2 |
| კობე-ტოკიო | 0:0 |
| ნიიგატა-იოკოჰამა მარინოსი | 0:6 |
| ივატა-ჰიროშიმა | 4:2 |
| კავასაკი-იჩიჰარა | 1:1 |
| კაშიმა-ურავა | 0:1 |

## ძიუდო

რომის მსოფლიო თასი

# კონკურენცია!

## ზვიადაურმა ცირეკიძე დაამარცხა

რომში დამთავრებულ სეზონის პირველ სალიცენზიო ტურნირში ჩვენმა ნაკრებმა მხოლოდ სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა - ზურაბ ზვიადაურმა (90), ლომერ ჟორჟოლიანმა (100) და ზვიად ხანჯალიაშვილმა (+100). ცხადია, ევროპირველობაზე გამოსვლის შემდეგ, სადაც 5, მათ შორის, თითო-თითო ოქრო-ბრინჯაოს და 3 ვერცხლის მედალი მოვინადავლეთ, ეს ბევრად მოკრძალებული შედეგია, მაგრამ ევროპის პირველობიდან ოციოდ დღეში ასეთი წაფორხილება მოსალოდნელიც იყო. მით უფრო, შოთა ხაბარელმა იქ ძირითადი ნაკრები წაიყვანა, მისი კოლეგების უმრავლესობამ კი ნაევროპალი ფალავნები დაასვენა.

არ ვიცი, ვისთვის როგორ, მაგრამ ჩვენი ყურადღება 90 კილოგრამი წონითი კატეგორიისკენ იყო მიმართული, სადაც, როგორც იქნა, ვიხილეთ ნანატრი შეხვედრა - ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ზურაბ ზვიადაურმა** კონკურენტი, ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** დაამარცხა. თანაც, იპონით. სანუგეშოში ცირეკიძე პირველივე შეხვედრაში მომავალ ფინალისტთან, ფრანგ **მეტიუ დეფრევილთან** ნაგების შემდეგ მოხვდა, ზვიადაური - ნახევარფინალში მისთვის ავადსახსენებელ ბელარუს **ანდრეი კაზუსიონაკთან** მარცხით. შეგახსენებთ, რომ კაზუსიონაკმა მას მსოფლიოს ბოლო პირველობაზეც მოუგო და უმედლოდ დატოვა. არადა, ნახევარფინალამდე ზვიადაური სულ წმინდა მოგებებით მივიდა - დაამარცხა იტალიელი **ბრუნო ტომაზეტი,** თავისივე ბიძაშვილი, საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ოლიმპიური ჩემპიონი **ილიას ილიადისი** და აზერბაიჯანელ **ელხან მამადოვი**. ასეთი ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ ნამდვილად გვეგონა, ჩვენებური ორი წლის წინანდელი მარცხისთვის რევანშს აიღებდა, მაგრამ დაძაბულ ბრძოლაში იუკოთი წააგო. სხვათა შორის, კაზუსიონაკმა ფინალშიც გაიმარჯვა.

დამამშვიდებელში სამი ბრძოლა მოიგო და სამივე წმინდად ცირეკიძემაც - კორეელ **სუნ-ვო პარკთან**, უნგრელ **ტომაშ ნემეტთან** და რუს **ვიაჩესლავ დელოკთან**. როგორც გითხარით, ქართველთა საბრინჯაო ჭიდილი ზვიადაურის წმინდა მოგებით გასრულდა.

როგორც ამბობენ, ნაკრებიდან ამოვარდნის მიუხედავად, ზვიადაურმა ცირეკიძე საკონტროლო შეხვედრებში რამდენჯერმე დაამარცხა. თუმცა, ვფიქრობთ, ნაკრებში ჯერ არაფერია გარკვეული და მეტად საინტერესო ვითარებაც შეიქმნა. ცირეკიძის ახლანდელ მარცხს ახსნა მოეძებნება - პიკი ევროპაზე გადაიარა და ახლა ფსიქოლოგიურ-სპორტული თვალსაზრისით, საუკეთესო ფორმაში არ იქნებოდა. თანაც, წინა კვირაში ავადმყოფობდა და ხაბარელი არც მის თბილისში დატოვებას გამორიცხავდა. ამასობაში ჭიდაობას მოწყურებულმა ზვიადაურმა მთელი ტურნირი თუ არა, მისი დიდი ნაწილი მაინც ოლიმპიური ჩემპიონის შესაფერისად იჭიდავა. შეიძლება ითქვას, იგი ამ ეტაპისთვის მისაღებ ფორმაშია, ანუ ნაკრებში კონკურენცია გაათმაგდა, რაც მისასალმებელი ფაქტია. ერთი ეგაა, ზვიადაურს უკვე ტვირთად დააწვა „კაზუსიონაკის სინდრომი", რომელსაც ცირეკიძე ძალზე იოლად გაუმკლავდა პოლონეთში. ამათთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება მომავალ უქმეებზე გასამართი მოსკოვის სუპერთასი, სადაც ხაბარელი ორივეს აჭიდავებს. ყოველ შემთხვევაში, რომში წასვლამდე ასე გეგმავდა და არა მგონია, ამ ტურნირის შემდეგ, როცა კონკურენცია უფრო დაიძაბა, გადაწყვეტილება შეცვალოს. მოკლედ, დაველოდოთ მოსკოვს და იქაურ ბრძოლებს.



ზურაბ ზვიადაური ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა

კიდევ ერთხელ სასიამოვნოდ გაგვაოცა **ლომერ ჟორჟოლიანმა**. მართალია, პირველ შეხვედრაში დამარცხდა გამოცდილ ფრანგ **ტიერი ფაბრისთან,** მაგრამ ბრწყინვალედ გამოვიდა სანუგეშოში, სადაც ოთხი შეხვედრა გამართა და ყველა წმინდად მოიგო - საბერძნეთის სახელით მოასპარეზე **ტენტორე მასმანიდისთან** (თედორე ებელაშვილთან), იტალიელ **ჯანლუკა ჯაკალიასთან**, ჰოლანდიელ **დენ მეეუვსენთან** და გერმანელ ევროპის პრიზიორ **დმიტრი პეტერსთან**. ამათგან ტიტულოვანი მხოლოდ გერმანელია, მაგრამ ხელწამოსაკრავი არც მასმანიდისია (რაშიც თბილისის ტურნირზეც დავრწმუნდით) და არც იტალიელთან ჭიდაობა იქნებოდა იოლი.

ამ წონაში გამოსვლა კარგად დაიწყო **გიორგი ყიზილაშვილმა**, მაგრამ ორი მოგების შემდეგ ჯერ ძირითადში დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ **მოვლუდ მირალიევთან,** მერე კი სანუგეშოშიც წააგო ბოსნიელ **ამელ მეტიკთან**. მიგვაჩნია, რომ მირალიევთან თუ არა, ბოსნიელთან მაინც უნდა მოეგო, არადა, წმინდად დამარცხდა.

როგორც უმეტესად, მძიმე წონამ ამჯერად სიუპრიზი შემოგვთავაზა. სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ გვიწევს იმის წერა, რომ ჩვენებმა ისევ უნგრელ **ბარნა ბორთან** წააგეს! ამჯერად - ჩვენი გუნდის მესამე ბრინჯაოსანმა ხანჯალიაშვილმა. თან, ჩვენებური მასთან სეზონში უკვე მეორედ დამარცხდა - პირველად პარიზის სუპერთასზე, სადაც ბორმა ხელიც ატკინა.

უნგრელისა და ქართველების მეტოქეობა სათავეს 2004 წლიდან იწყებს, როცა მადიარმა სოფიაში გამართულ ახალგაზრდების ევროპირველობის ფინალში ოლიმპიადამოვლილი ლაშა გუჯეჯიანი დაამარცხა. ჩვენებურმა ერთ თვეში სრული რევანში აილო - ბუდაპეშტში გამართული მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის ფინალში ბორი საკუთარი მაყურებლის თვალწინ დაამარცხა. მას შემდეგ ჩვენებს უნგრელთან აქა-იქ კი მოუგიათ, მაგრამ უფრო ხშირად სისხლი გაგვიშრო. მის ჭიდაობას მწვრთნელებ. ხშირად საკუთარი თვალით უყურებენ, ექნებათ ვიდეოკასეტებიც და აქამდე საფუძვლიანად რატომ ვერ შეისწავლეს? იგი ნამდვილად არაა იამასიტა და, იმედია, მომავალში მისი სინდრომი არ შეგვაწუხებს.

ხანჯალიაშვილმა მასთან პირველივე ბრძოლა წააგო და მოგვიანებით სანუგეშოში ჩაერთო, სადაც შეუჩერებელი გახლდათ - ლიტველი **მარიუს პასკევიაჩუსი** და ბელარუსი **იაუჰენი კავალეუსკი** სუფთად დასცა, ფრანგ **ჟან-სებასტიან ბონვუაზენს** ორი ვაზარი გაუკეთა, ბოლოს კი ფრანგი **მათიო ბატეც** ასევე ბეჭებზე დასცა.

ამით ხანჯალიაშვილმა წონაში არსებული კონკურენციის სათავისოდ გადასაჭრელად ერთი ნაბიჯი გადადგა, რადგან მისმა კონკურენტმა **ლაშა გუჯეჯიანმა** წააგო. ჩვენებური პირველივე ბრძოლაში ჰოლანდიელ **გრიმ ვუისტერსთან** შეხვედრაში იუკოთი დამარცხდა და გავარდა კიდეც, რაკი ნახევარფინალს ვერც ჰოლანდიელმა უწია.

კონკურენცია აქაც ახალ ეტაპზე გადავიდა და წინ საინტერესო ბრძოლებია. სავარაუდოდ, მოსკოვში ხაბარელი ხანჯალიაშვილსა და **ადამ ოქრუაშვილს** გამოცდის.

ხაბარელმა გაგვაოცა **ზაზა კედელაშვილთან** მიმართებაში, რომელიც მაინც ზედა წონაში - 73-ში ასწია. ეს თავად სპორტსმენსაც სურდა, მაგრამ ამ თემაზე საუბრისას მწვრთნელმა ისე მოგვიჭრა, მაგას ბევრი რამ უნდა, მაგრამ ეგრე სადაა, რომში 66-ში გამოვაო, ნამდვილად არ ველოდით წონის შეცვლას. შესაძლოა, კედელაშვილმა ბოლომდე შეინარჩუნა ზედმეტი წონა და მწვრთნელი აიძულა, მაინც ზევით აეწია ან თავად ხაბარელმა შეიცოდა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტსმენი და ევროპირველობიდან ასე მალე წონის დასაკლებად არ გაწირა. ცოტა უცნაური ამბავია - თუ წონას არ აკლებინებდა, მაშინ ახლა საერთოდ დაესვენებინა, მოსკოვში წაეყვანა და ისევ 66-ში დაყენებით ქულებისთვის ებრძოლა. ახლა ზაზამ მეხუთე ადგილი დაიკავა, რაც ნორმალური შედეგია, მაგრამ ეს გამოსვლა მხოლოდ სატურნირო თვალსაზრისით წაადგება, თორემ ამ წონაში ქულები რაში სჭირდება. ევროპამოვლილს შეჯიბრება ახლა ისეც არ აკლდა, მოსკოვში კი სატურნირო პრაქტიკასაც მიიღებდა და ქულებსაც შეიმატებდა... თანაც, მოსკოვიდან მსოფლიო ჩემპიონატამდე დიდი დროა და წონის დაკლება იმისთვის მზადებაში ხელს ვერ შეუშლიდა. თუმცა არც სხვა ვარიანტს გამოვრიცხავთ - ამ ტურნირის შემდეგ იგი კედელაშვილის დასვენებას ისეც აპირებდა და იქნებ ახლა ამიტომაც დაუთმო, თუმცა ეს ქულები საკუთარი მარაგისთვის შეემატებინა, აჯობებდა. მწვრთნელ-შეგირდი ევროპის ჩემპიონობისთვის მიღებული 100 ქულით ლიცენზიას განაღდებულად მიიჩნევენ, მაგრამ უფრო მსოფლიო პირველობისა ეიმედებათ, სადაც ხუთეულში მოხვედრა პირდაპირ იძლევა საგზურს. იქ არათუ ხუთეული, კედელაშვილისგან მედალსაც ელოდებიან, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას და სასწაული რომც მოხდეს, ანუ ულიცენზიოდ დარჩეს, მსოფლიოს სუპერთასებზე საჭირო ქულებს ვადამდე გაინაღდებს. ეგაა, პეკინში მოსახვედრ გზას გაიგრძელებს.

რომში ზაზამ კარგი მოთელვა ჩაატარა. პირველ წრეში ნორვეგიელ **მარტინ ტიბლინთან** ცოტა კი გაუჭირდა - ქულებით სძლია, მერე კი იპონზე დააგდო ესპანელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **კიოში უემაცუ** და საკმაოდ ძლიერი ბელგიელი **დიკ ვან ტიკელტი**. გაუჭირდა მომდევნო შეხვედრაში მასპინძელთა ჯილასთან, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ფრანჩესკო ბრიუერესთან,** თუმცა კოკათი მაინც მოიგო. ნახევარფინალში ორი ვაზარით დამარცხდა აზერბაიჯანელ ევროპის ჩემპიონთან, ტურნირის მომავალ ტრიუმფატორ **ელნურ მამადლისთან**. ზაზამ სანუგეშოს ფინალიც წმინდად წააგო ებრაელ ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონ **იოელ რაზვოზოვთან.**

მეხუთეზე გავიდა **ვახტანგ ხოსიტაშვილიც** (60). მალტელ **ბენტ ლავისთან** იოლი მოგებისა და ესპანელ **ხავიერ ფერნანდესის** იუკოთი დამარცხების შემდეგ მან მსოფლიოს აზერბაიჯანელ პრიზიორთან, პარიზის წლევანდელი ტურნირის მომგებ **ნიჯატ შიხალიზადესთან** წააგო და სანუგეშოში გადაერთო. იქაც ორი შეხვედრა მოიგო - ლატვიელ **დმიტრის კოზლოვსთან** იპონით, სომეხ **აშოტ ვარდიკიანთან** - ქულებით, ბრინჯაოსთვის ბრძოლა კი ჰოლანდიელ ევროპის პრიზიორ **რუბენ ჰოუკესთან** წააგო. შეგახსენებთ, რომ ჰოუკესმა ევროპული ბრინჯაო შარშან, ნესტორ ხერგიანთან მსაჯთა აშკარა წახმარებით მოგებულ ბრძოლაში მოიპოვა, რომში კი **დავით ასუმბანიც** დაგვიმარცხა.

სპალას ტურნირის შემდეგ, ეს მეორე შეჯიბრებაა, როცა ხერგიანის ერთ-ერთი კონკურენტი ხოსიტაშვილი დამაიმედებელ შედეგს აღწევს. შეგახსენებთ, რომ იგი პოლონეთში მეშვიდე იყო და მაშინ ვწერდით, ღმერთმა ქნას, ეს ტურნირი მისთვის გამოფხიზლების დასაყისი იყოსო. ვგონებთ, ხოსიტაშვილი ნელ-ნელა იწყებს ავანსების გამართლებას. სავარაუდოდ, მან გადალახა მამის გარდაცვალებით მიღებული სტრესი. მამა მის სპორტულ ზრდაში დიდ როლს ასრულებდა, ამ დანაკლისს კი ცოლ-შვილსა და ოჯახზე ფიქრიც ემატებოდა. ჩანს, თანდათან დგება ფორმაში. რაც შეეხება ასუმბანს, შესაძლოა, მისი წარუმატებლობის მიზეზი კუჭის წყლულიცაა. მოგეხსენებათ, ამ დაავადებას საგანგებო დიეტა სჭირდება და ვერც დატვირთვებს ეგუება. საკუთარ ოჯახზე ზრუნვის პრობლემა მასაც დაემატა, ეს ყველაფერი კი კარიერაზე აისახება. იმედია, მომავალში მისი პრობლემებიც მოგვარდება.

სამწუხაროდ, რომში უსახელოდ გავარდნენ **გიგა წიკლაური** (73), **ლევან წიკლაური** (81) და **საბა გავაშელიშვილი** (81). გიგა წიკლაური პირველივე ბრძოლაში მარცხით დაემშვიდობა ტურნირს, მისმა მოგვარე ლევანმა ფინელ **მიკა ტოროის** იპონით მოუგო, მაგრამ იტალიელ **ანტონიო კიანოსთან** მარცხით სანუგეშოში გადაინაცვლა. იქ ჩერნოგორიელ **სრდჟან მრვალიევიჩს** ისევ სუფთად კი მოუგო, მაგრამ მერე ესტონელ ევროპის ჩემპიონ **ალექსეი ბუდოლინისთან** დამარცხდა. დასანანია გავაშელიშვილის მარცხიც უკრაინელ **სერგეი ბალაბანთან,** რის შემდეგ მას არც სანუგეშოში ჩართვის საშუალება მიეცა. არადა, საბამ მასთან წლეულს თბილისის ტურნირზეც წააგო.

**ამ უქმეებზე სეზონის პირველ სალიცენზიო ტურნირში ქალებმაც იჭიდავეს დანიაში, მაგრამ ორივე ჩვენებური - დუსკა ქერიმოვა (57) და ირინა ლეონიძე (+78) პირველივე წრიდან გავარდა.**

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ქართული ALL STAR

# ვარსკვლავური ომი №5

28 აპრილი, ვერის პარკი

**უსტიაშვილი–მოსეშვილი 145:118**

35:33, 35:27, 40:27, 35:31

| უსტიაშვილი | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ | ფ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე (აზოტი) | 20 | 7 | 1 | 7 | 0 | 0 | 2 | 0 |
| ბოისა (აზოტი) | 19 | 19 | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ტულუში (აზოტი) | 17 | 19 | 5 | 6 | 3 | 0 | 1 | 0 |
| მარკოიშვილი (აზოტი) | 20 | 26 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 0 |
| უგრეხელიძე (აზოტი) | 15 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გულისაბედაშვილი (დინამო) | 14 | 7 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 |
| ბეჟანიშვილი (აზოტი) | 17 | 8 | 2 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ლაფანაშვილი (დინამო) | 18 | 9 | 3 | 5 | 2 | 0 | 0 | 0 |
| დოლიძე (მაკაბი) | 10 | 8 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გვიმრაძე (დინამო) | 15 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გოგობერიშვილი (აზოტი) | 17 | 17 | 4 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 |
| დიდია (აზოტი) | 20 | 16 | 2 | 6 | 2 | 1 | 3 | 1 |

| მოსეშვილი | ქ | მ | პ | ჩ | ლ | შ | ფ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჟავა (თსუ) | 19 | 15 | 4 | 3 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ბერაია (სტუ) | 11 | 9 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ხეცურიანი (თსუ) | 21 | 14 | 3 | 4 | 3 | 0 | 1 | 0 |
| შანიძე (თსუ) | 17 | 13 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| მათიაშვილი (თსუ) | 23 | 8 | 10 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ბაბიაშვილი (ავიამშენი) | 21 | 24 | 11 | 6 | 0 | 1 | 5 | 0 |
| დ. ბერიშვილი (ავიამშენი) | 16 | 2 | 1 | 4 | 1 | 0 | 2 | 0 |
| მ. ბერიშვილი (თსუ) | 21 | 9 | 10 | 4 | 1 | 0 | 2 | 0 |
| ბ. ბერიშვილი (თსუ) | 12 | 2 | 1 | 1 | 2 | 0 | 1 | 0 |
| გ. ბარბაქაძე (სტუ) | 21 | 14 | 4 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| დ. ბარბაქაძე (ავიამშენი) | 18 | 8 | 4 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 |

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. გერეკაშვილი, დ. არეშიძე



სამქულიანების კონკურსი კოტე ტულუშმა მოიგო



ნინალობების დაძლევა

ქართული "ოლ სტარის" დასრულებისთანავე ვეცადეთ გაგვერკვია, რამდენად წარმატებული გამოდგა ვარსკვლავების მონაწილეობით გამართული რიგით მეხუთე მატჩი. ქომაგთა რეაქციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი დარბაზიდან კმაყოფილნი წავიდნენ. კალათბურთელებისთვის მთავარი სწორედ გულშემატკივართა დაკმაყოფილება იყო. მაგრამ ვეცადეთ, "ოლ სტარი" უფრო პროფესიულადაც შეგვეფასებინა. ბევრისთვის საინტერესო იქნებოდა **ზაზა ფაჩულიას** კომენტარი, რომელიც წელს NBA-ს ვარსკვლავთა მატჩის კანდიდატი იყო: *"ძალიან მინდოდა ამ შეხვედრაზე დროულად მოვსულიყავი, აეროპორტიდან პირდაპირ ვერის ბალისკენ გამოვემართე, მაგრამ მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებს მოვუსწარი და შეფასებისას არაკომპეტენტური ვიქნები"*, - განაცხადა ზაზამ.

ქართველ ვარსკვლავთა პაექრობას ლატვიის "ოლ სტარის" მონაწილეც ესწრებოდა: "აზოტის" ახალწვეულ **ბოიან მალოშევიჩს** შევახსენეთ, რომ რიგაში გამართულ შეხვედრაში 2 ქულა ჩააგდო და ქართულ ვარსკვლავებზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ.

- ლატვიაში ლეგიონერთა ნაკრებში ვითამაშე და 2 ქულა ჩავაგდე, მაგრამ 10-ზე მეტი პასი ჩავიწერე. ქართული "ოლ სტარით" მოხიბლული დავრჩი. ძალიან მომეწონა ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი დოლიანი ბიჭები. ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული, თამაშიც შესაბამისი გახლდათ.

**- იმის თქმა გინდათ, რომ მატჩიც უმაღლესი დონისა იყო?**

- ასეა. "ოლ სტარი" პირველ რიგში, შოუა. ქართველ მოთამაშეებს კი საიმისო ტექნიკა აქვთ, რომ ასეთი მატჩები მაღალ დონეზე ჩაატარონ. ეფექტური გამოდგა ჩატენვების, წინალობების დაძლევისა და სამქულიანების კონკურსიც.

## ციფრული ანალიზი

კალათბურთელებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ მატჩი გასართობი ხასიათისა იყო და გულშემატკივარი ლამაზ სანახაობას მოითხოვდა. ამიტომ ისინი შორეული სამქულიანებით, ლამაზი პასებითა და ეფექტური ჩატენვებით ცდილობდნენ აპლოდისმენტების გამოწვევას. **შიო ხეცურიანი** კი ვარაუდობდა, რომ ბოლო მეოთხედში ყურადღება შედეგზე გამახვილდებოდა, მაგრამ შეხვედრის ბედი მანამდე გადაწყდა - მოიგეს თეთრებმა (**დავით უსტიაშვილის** შეგირდებმა).

ამ მიმოხილვის წერისასაც ვაცნობიერებთ, რომ ქრონოლოგიური განხილვის ნაცვლად მსუბუქი მსჯელობაა საჭირო. ჰოდა "მსუბუქად" გეტყვით - მატჩის ანგარიშში ციფრების რაოდენობას თუ შევკრებთ, მივიღებთ 10:10-ს.

მეტი სიცხადისთვის: უსტიაშვილის გუნდმა 145 ქულა ჩააგდო (1+4+5=10), ხოლო მოსეშვილის შეგირდებმა - 118 (1+1+8=10).

ახლა გაცილებით მსუბუქ ციფრებზე: "შავების" "ავიატორმა" ლიდერმა ზვიად ბაბიაშვილმა ყველაზე მეტი, 11 მოხსნა გააკეთა.

"თეთრებმა" ბურთი 33-ჯერ მოხსნეს, ხოლო "შავებმა" 33 სამქულიანი ისროლეს;

"თეთრებმა" 44 ორქულიანი ჩააგდეს;

"შავებმა" 55 (!) მოხსნა ჩაიწერეს;

...და საოცარი მაჩვენებელი - "შავებმა" 77 ორქულიანი სტყორცნეს.

ასეთი წყვილი რიცხვების ტრიალში ჩაიარა ჩვენმა "ოლ სტარმა". აქვე გეტყვით, რომ "თეთრმა", **გიორგი მარკოიშვილმა** ყველაზე მეტი, 26 ქულა ჩააგდო და მატჩის საუკეთესო მოთამაშედ სამართლიანად დასახელდა. მან MVP-სთვის განკუთვნილი ჯილდო ზაზა ფაჩულიასგან მიიღო.

*"ეს პრიზი ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ "ოლ სტარის" საუკეთესოდ დამასახელეს. მეორეც - იგი ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ზაზამ გადმომცა. ვიცოდი, რომ იგი დღეს ჩამოდიოდა, მაგრამ არ მეგონა, ამ მატჩს თუ მოუსწრებდა"*. - გახარებული იყო გიორგი.

## ტულუში, ბარბაქაძე, არწივიძე

ისევე, როგორც "ოლ სტარი", მისი წინასამატჩო პრესკონფერენციაც სახალისო გამოვიდა. სამქულიანების კონკურსის მონაწილე **კოტე ტულუშმა** ამ შეჯიბრების ფავორიტებად **გიორგი მარკოიშვილი** და **დავით ბერიშვილი** დაასახელა, მე ოლიმპიური პრინციპით ვიხელმძღვანელებ - მთავარი მონაწილეობა იქნებაო. კოტეს იქვე ხუმრობით ვკითხეთ - ამას მეტოქეთა მოსადუნებლად ხომ არ ამბობო?

...და შაბათს, სამქულიანების კუნკურსის მოგების შემდეგ, კოტემ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"როგორც ჩანს წინასწარ ჩემმა საუბარმა გაჭრა და მეტოქეები მოდუნდნენ... ეს ხუმრობით, რეალურად კი, საინტერესო პაექრობა ვიხილეთ. სამქულიანების კონკურსის ფინალში 19 ქულა მოვაგროვე და როცა ნოდარ ბერაიამ მე-12 ქულა ჩააგდო, მაშინ ვთქვი - ახლა კი წავაგე-მეთქი, მაგრამ გადამწყვეტი ტყორცნა ვერ გამოიყენა და 19:18 გავიმარჯვე"*.

ჩატენვების კონკურსში **ძმები ბარბაქაძეები, ანატოლი ბოისა და მიხეილ ფანჩულიძე** მონაწილეობდნენ. ფინალში დავით ბარბაქაძე ბოისას დაუპირისპირდა, ჯერ ერთმა ჩაამწკრივა ორი ბავშვი და ნახტომში ჩატენა, შემდეგ მეორემ - სამი, მაგრამ ჟიურის გამარჯვებულის გამოვლენა ძალიან გაუჭირდა. საბოლოოდ, საუკეთესოს ბედი თავის სასარგებლოდ დათო ბარბაქაძემ ფარსუკნიდან გამორბენითა და ეფექტური ზემოდან გდებით გადაწყვიტა.

წინალობების დაძლევის კონკურსში **ირაკლი გულისაბედაშვილი, დავით არწივიძე** და **ლაშა გამყრელიძე** ჩაებნენ. პირველობა არავის დაუთმო არწივიძემ, რომელმაც ერთი კალათიდან მეორემდე და უკან, წინალობებით გავსებული მოედანი 13 წამში გადალახა.

ვარსკვლავთა მატჩის რეზიუმე კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ, **ბესიკ ლიპარტელიანს** მივანდოთ: *"ვფიქრობ, სუპერლიგის ძალისხმევამ გაამართლა - ეს "ოლ სტარი" წინამორბედებზე საინტერესო გამოდგა. სწორი ნაბიჯი იყო ხუთეულების ინტერნეტგამოკითხვით შერჩევა. ამან ხალხის ინტერესი კიდევ უფრო გაალვივა და სასიხარულოა, რომ დარბაზი თითქმის პირამდე გაივსო. ვიმედოვნებ, მომდევნო ღონისძიებები კიდევ უფრო სანახაობრივი იქნება"*.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ბურთით ლაშა გამყრელიძე

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პროფესიული კრივი

შალვა ჯომარდაშვილი საქართველოში პროფესიონალ მოკრივეთა შორის, ყველაზე რეიტინგიანი და წარმატებულია. საკუთარ წონაში (72 კგ), მთელ ყვეყანაში რომ საუკეთესოა, ამაზე მხოლოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ახლახან, ამ წონაში პირველი ქამრის მფლობელი გახდა. მას 24 ჩატარებული ბრძოლიდან ყველა მოგებული აქვს და მათ შორის, 17 ნოკაუტით. მალე, შალვა თავის ძმა ლევანთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში წავა და იქ გააგრძელებს კარიერას. საკუთარ გეგმებზე უფრო დეტალურად შალვა ჯომარდაშვილი გვესაუბრება.



ინტერვიუ შალვა ჯომარდაშვილთან

### არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს...

**-შალვა, წესით, ამერიკაში აპრილის შუა რიცხვებში უნდა წასულიყავი, მაგრამ ისევ თბილისში ხარ. რა მოხდა?**

- ამერიკელებთან კონტრაქტის გაფორმება, იქ წასვლა და კარიერის აწყობა ასე ადვილი არ არის. სანამ კონტრაქტზე ხელს მოვაწერ, ბევრ რამეზე კარგად უნდა დავფიქრდე. პრომოუტერებიც არ იღებენ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. ასე რომ, მოლაპარაკება ამერიკელებსა და საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაციას შორის გრძელდება და ყველაფერი დაახლოებით ერთ კვირაში გადაწყდება.

**- რა პირობებს გთავაზობენ ამერიკელები და პრობლემები წარმოიშვა მოლაპარაკების პროცესში?**

- კონტრაქტს ვაფორმებ ცნობილ ამერიკელ პრომოუტერ რიჩარდ კალავერასთან. ხელშეკრულება ხუთწლიანი იქნება და ბრძოლებს, ძირითადად, ლას-ვეგასში ჩავატარებ. და თუ რა პირობებია ამერიკაში, ამაზე ლაპარაკი ალბათ ზედმეტია. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ამერიკელებს უნდათ, მათი მოქალაქეობა მივიღო, მე კი სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან მხოლოდ საქართველოს სახელით ვიჩხუბებ. თუ ამ საკითხზე ვერ შევთანხმდით, მოლაპარაკება აუცილებლად ჩაიშლება. არცერთი ტიტული არაფრად მიღირს, თუკი მას სხვა ქვეყნის სახელით მოვიპოვებ. თუკი კალავერასთან ვერ შევთანხმდები, რა პრობლემაა, ჩემს გზას აუცილებლად მოვნახავ. საკუთარი თავის იმედი მაქვს. ისე, შარშან, შემოდგომითაც მქონდა WBC-ს ტიტულისთვის ბრძოლის შანსი, მაგრამ ხელი დავიშავე და ვერ ვიჩხუბე. ვიმედოვნებ, კიდევ ბევრჯერ გამომიჩნდება საერთაშორისო არენაზე თავის გამოჩენის შანსი.

ამ დროისათვის, ევროპის რეიტინგში მეათე ადგილზე ვარ, მსოფლიო რეიტინგში კი ორმოცეულში შევდივარ. ურიგო შედეგი არაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მინდა რაც შეიძლება წინ წავიდე.

**- ისე, 24 ბრძოლიდან, თითქმის ყველა შეხვედრა ქართველთან გაქვს გამართული....**

- დიახ, ნამდვილად ასეა. სამწუხაროდ, ამ დროისათვის, საქართველოში არ მყავს ისეთი კონკურენტები, რომელთა დამარცხებაც საერთაშორისო რეიტინგში მნიშვნელოვან ქულებს მომიტანს. იმ 24 ბრძოლიდან ნახევარი მაინც ცოტა ძლიერ უცხოელებთან რომ გამემართა, ახლა გაცილებით რეიტინგიანი მოკრივე ვიქნებოდი.

ისე, საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაცია ამ საკითხზე მუშაობს და შესაძლოა, მალე რომელიმე ძლიერ უცხოელთან თბილისში ვიჩხუბო. აქ გამარჯვება საკმაოდ ბევრ ქულას მომიტანს. სავარაუდოდ, მეტოქე რუსი ან სხვა რომელიმე ძლიერი საკრივო ქვეყნის წარმომადგენელი იქნება.

**- თუ ამერიკელებთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმე, საქართველოს ქამარს აღარ დაიცავ?**

- ქამარს ყველა ვარიანტში დავიცავ. ექვს თვეში ერთხელ ქამრის დასაცავად ბრძოლა არ გამიჭირდება. ისე, კონტრაქტში ისიც იქნება გათვალისწინებული, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, ამერიკის გარდა, საქართველოშიც ჩავატარო რამდენიმე საერთაშორისო ორთაბრძოლა.

**- საქართველოს ქამრისთვის ბრძოლაში, ლევან შონიასთან შეხვედრისას, მეტოქესა და მის გულშემატკივართან ინცინდენტი მოგიხდა. რა იყო ამის მიზეზი?**

- სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ბრძოლის დაწყებამდე მომშალეს ფსიქოლოგიურად. ჯერ იყო და, ჩემი ხელმეორედ აწონვა მოითხოვეს, მერე ხელთათმანები გამომაცვლევინეს. ამას მოჰყვა ის, რომ მეტოქის გულშემატკივრები სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდნენ, ერთი რინგზეც ამომიხტა და თავი ვერ შევიკავე. ისე, აქამდეც არ უნდა მიმეყვანა საქმე და უფრო მალე უნდა დამესრულებინა ბრძოლა, მაგრამ კარგად არ ვიყავი მომზადებული, მხოლოდ ექვსი რაუნდისთვის ვიყავი მზად და ათმა რაუნდმა დიდი ენერგია წამართვა.

რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ამერიკაში წასვლის შემთხვევაში, ასეთი რამ აღარ უნდა ჩავიდინო, რადგან იქ ასეთი რამ გაცილებით ძვირად დამიჯდება. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ იქ კრივის გარდა, არაფერზე მექნება საფიქრალი და თანაც, ამერიკაში რინგი გაცილებით დაცულია გარეშე პირებისგან.

**- ჩვენი პროფესიული კრივის დღევანდელ დონეზე რას იტყვი?**

- იმ მოკლე ხანში, რაც საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაცია გიორგი კანდელაკმა ჩაიბარა, პროგრესი აშკარაა. მაგალითად, უკრაინაში პროფესიულ კრივს მთელი შვიდი წელი სერიოზულად პატრონობენ, მაგრამ ბევრ იქაურ მოკრივეს ვუსწრებთ რეიტინგით. ჩვენი მთავარი პრობლემა ის არის, მხოლოდ კანდელაკი ყველაფერს ვერ გასწვდება. თუკი სპონსორებიც ამოგვიდგებიან გვერდში, ისინიც მოგებულები დარჩებიან და ქართული კრივიც.

**კობა ხატისაშვილი**

## ტანვარჯიში

ევროპის ჩემპიონატი

### გიორგაძე მეთერთმეტეა

ამსტერდამში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ **ილია გიორგაძე** მონაწილეობდა. ექვსივე იარაღზე გამოსვლის შემდეგ ილია გიორგაძემ ჩემპიონატი მეთერთმეტე ადგილზე დაასრულა 87,350 ქულით. ილიამ ცალკეულ იარაღებზე ასეთი შეფასებები მიიღო: თავისუფალი - 14.325, ტაიჭი - 13.650, რგოლები - 14.525, ხტომა - 15.650, ორძელი - 15.125 და ღერძი - 14.075. ევროპის ჩემპიონი რუსი **მაქსიმ დევიატოვსკი** გახდა (90,250), მეორე ადგილზე გერმანელი **ფაბიან ჰამბუხენი** გავიდა (89,675), ხოლო ბრინჯაოს მედალი რუსმა **იური რიაზანოვმა** (89,0) მოიპოვა. ცალკეულ იარაღებში ქართველმა ტანმოვარჯიშემ ფინალში გასვლა (8-8 საუკეთესო გადიოდა) ვერ შეძლო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჩოგბურთი

### ჩახნაშვილი იუბილეს შეეწირა

საქართველოს პირველი ჩოგანი ქალი **მაკა ჩახნაშვილი** ბედს პორტუგალიაში WTA-ს ტურნირ "ეშტორილ ოუფენზე" ცდიდა. ტურნირი 145-ათასიანია და თიხნარზე ტარდება. მაკას რეიტინგი (146-ე მსოფლიოში) ძირითად ბადეში თამაშის უფლებას არ იძლევა. პირველ საკვალიფიკაციო წრეში მაკა იტალიელ **სარა ერანის** (139) ხვდებოდა. ერანიმ საკუთარ თავს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა (გუშინ 20 წლის გახდა) და ქართველი ოპონენტი დაამარცხა - 6:2, 6:1. ჩახნაშვილი იტალიელ **ალბერტა ბრიანტისთან** ერთად ტურნირის წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეშია.

### ისევ ის რუსი

17 წლის **ანა ტატიშვილმა** სი აილენდის ტურნირზე (50 ათასი დოლარი) ასპარეზობა მეოთხედფინალურ ეტაპზე შეწყვიტა. მანამდე ანამ ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო. მეოთხედფინალში ანა ტატიშვილის მეტოქე რუსი **ალა კუდრიავცევა** (99) იყო, რომელთანაც ერთი კვირის წინათ დოტენის ტურნირში დამარცხდა (კუდრიავცევა შემდეგ ფინალში გავიდა). სამწუხაროდ, შურისძიება არ შედგა ანამ კვლავ წააგო, ამჯერად - 6:2, 3:6, 5:7. ნახევარფინალში მე-4 ნომრად განთესილი კუდრიავცევაც დამარცხდა.

## ფრენბურთი

### ფავორიტებმა მოიგეს

საქართველოს ქალთა ჩემპიონატში გადამწყვეტი ეტაპი დაიწყო. ნახევარფინალის პირველი შეხვედრები ფავორიტების, დიდი ჯიხაიშის "ჯიკოსა" და თბილისის ოლიმპიური ცენტრი 1-ის გამარჯვებით დასრულდა.

ქვეყნის ჩემპიონებმა, ჯიხაიშელმა ფრენბურთელებმა სტუმრად უპრობლემოდ დაამარცხეს "დუშეთი" - 3:0 (25:15, 25:12, 25:13). სამაგიეროდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა ოლიმპიური ცენტრი1-ს, თავისზე ორი წლით უმცროსი თანაცენტრელების დასამარცხებლად 3:2 (25:15, 25:21, 13:25, 22:25, 17:5).

საპასუხო შეხვედრები 3-4 მაისს გაიმართება.

## მძლეოსნობა

### დიდუბის მანეჟი ვაკის ფასად

როგორც უკვე გაცნობეთ, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია ვაკის გავერანებულ და დასანგრევად გამზადებულ მანეჟში საკუთარი წილის გაყიდვას აპირებს, რითაც ახალი მანეჟი უნდა შეიძინოს. მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიენტმა **თამაზ მდინარაძემ** ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა:

- ვაკის მანეჟი ვისაც უნახავს, ყველა დამეთანხმება, რომ იგი საშინელ მდგომარეობაშია. მისი გარემონტება, ფაქტობრივად, შეუძლებელია და ყველა ვარიანტში, დასანგრევია. იქ ინვესტორები ახალი შენობის აგებას აპირებენ, ჩვენ კი რადგან მანეჟის აქციათა მესამედს ვფლობთ, გარკვეულ თანხას მივიღებთ, რითაც ან ახალ ბაზას ავიშენებთ, ანდა გასაყიდ ობიექტთა ნუსხაში შეტანილ დიდუბის მძლეოსნობის მანეჟს შევიძენთ და მას გავარემონტებთ.

აქამდე დიდუბის მანეჟის შეძენა მიუწვდომელ ოცნებად გვეჩვენებოდა, მაგრამ ახლა გაგვიჩნდა იმედი, რომ ეგებ თანხაში ჩავეტიოთ. ასეთ შემთხვევაში, დიდუბის უნიკალურ კომპლექსს თანამედროვე სტანდარტებში მოვიყვანთ. არის ვარიანტებიც, რომ ვაკის მანეჟის ინვესტორმა ახალი კომპლექსი აგვიშენოს თბილისის რომელიმე რაიონში, ამაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკება. წესით, მაისის პირველ ნახევარში ყველაფერი უნდა მოგვარდეს.

**კობა ხატისაშვილი**

## რაგბი

ლეგიონერები

### ჩემპიონობისთვის

საფრანგეთში, სარაგბო ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტურიღა დარჩა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ **დავით ზირაქიშვილისა** და **გოდერძი შველიძის** "კლერმონს" ჩემპიონობისთვის საბრძოლველ პლეი ოფში გასვლაში ხელს ვერავინ შეუშლის. **მამუკა გორგოძის** "მონპელიეს" დივიზიონში დასარჩენად უშელავათო ბრძოლების გადატანა მოუწევს.

"კლერმონმა" 23-ე ტურში **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი გიორგაძის** "ბურგუენს" უმასპინძლა და დიდი ანგარიშით, 40:9 დაამარცხა. "ვულკანების" რიგებში დავით ზირაქაშვილი 50-ე წუთიდან გამოჩნდა, შველიძე ტრავმირებულია. თავიდან ბოლომდე ითამაშა "ბურგუენის" შემადგენლობაში ხინჩაგიშვილმა, გიორგაძე განაცხადში არ იყო.

გაიმარჯვა მამუკა გორგოძის "მონპელიემაც", რომელმაც შინ უშუალო კონკურენტი "ალბი" დაამარცხა 23:14. გორგოძე ტრავმირებულია და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრმა". "გლობუსამ" და მისმა გუნდმა შინ "ბრივი" დაამარცხეს დაძაბულ ბრძოლაში 17:15. გიორგაძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 68-ე წუთიდან ჩაერთო.

სტუმრად გათამაშების ლიდერ "სტად ფრანსესთან" დაამარცხა **ავთო კოპალიანის** "მონტობანმა" 17:24. ამის მიუხედავად, მონტობანელებს არც გავარდნის საშიშროება ემუქრებათ და არც პლეი ოფში მოხვედრის პერსპექტივა. კოპალიანი განაცხადში არ იყო.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XXIII ტური. **ნარბონი-ტულუზი 10:41, პერპინიანი-ბიარიცი 15:23, აჟენი-ბაიონი 16:16, სტად ფრანსე-მონტობანი 24:17, მონპელიე-ალბი 23:14, კლერმონი-ბურგუენი 40:9, კასტრი-ბრივი 17:15.**

1.სტად ფრანსე-79 ქულა / **2.კლერმონი-75, 3.ტულუზი-72, 4.ბიარიცი-66, 5.პერპინიანი-65 / 6.ბურგუენი-51, 7.მონტობანი-49, 8.კასტრი-44,** 9.აჟენი-44, 10.ბაიონი-42, 11.ალბი-41, **12.მონპელიე-41** / 13.ბრივი-40, 14.ნარბონი-39

**ბესიკ ჯანგავაძე**



კლერმონის ბურჯი დავით ზირაქაშვილი

NHL. ფლეი ოფი. კონფერენციების 1/2 ფინალი

# ბაფალო წინ გაიჭრა

### აღმოსავლეთი

**ბაფალო (1)-რეინჯერსი (6) 3:2**

1:1, 0:1, 2:0

**გოლები:** 0:1 სტრაკა-1 (როჟსივალი-2, იაგრი-6), 1:1 ბ. კემპბელი-3 (ქონოლი-4, დრური-2), 1:2 მარა-1 (შენეჰანი-1, რახუნეკი-1), 2:2 დრური-5 (ლიდმანი-2), 3:2 ვანეკი-5 (სტეფორდი-2, ბ. კემპბელი-3).

**სერია 2:0**

სერიის პირველი მატჩის თითქმის უბრძოლველად წაგების შემდეგ, მეორე შეხვედრაში "რეინჯერსმა" დიდი წინააღმდეგობა გაუწია რეგულარულის ჩემპიონს და ახლო იყო კიდეც გამარჯვებასთან. სტუმრებმა თითქმის ორჯერ მეტი ზუსტი დარტყმა შეასრულეს. განსაკუთრებით დიდი იყო "რეინჯერსის" უპირატესობა ბოლო ორ პერიოდში, როცა ნიუიორკელებმა 22-ჯერ დაარტყეს, მასპინძლებმა - მხოლოდ ცხრაჯერ.

მაგრამ, ბოლო პერიოდში მაინც იძალეს სტენლის თასზე "ბაფალოს" საუკეთესო სნაიპერებმა - **კრის დრურიმ** და **ტომაშ ვანეკმა**. ამ უკანასკნელმა ზედიზედ მეორე თამაშში გაიტანა გამარჯვების გოლი, სულ კი "რეინჯერსს", ორ მატჩში სამი შაიბა შეუგდო. ასევე უნდა აღინიშნოს "სეიბრზის" მეკარის - **რაიან მილერის** წარმატებული თამაში, რომელმაც მესამე პერიოდში 11 დარტყმა (სულ მატჩში - 31) მოიგერია.

მილერის კარს განსაკუთრებით აქტიურად ბოლო ორ წუთში შეუტიეს, როცა "რეინჯერსი" ორი კაცით მეტი იყო მოედანზე, მაგრამ მასპინძლეთა გოლკიპერმა **იარომირ იაგრს** ურთულესი შაიბა აუღო და თავის გუნდს მოაგებინა.

ამ მატჩში იარომირ იაგრმა ფლეი ოფში 163-ე პასი მიითვალა. ამ მაჩვენებლით ჩეხი **სერგეი ფიოდოროვს** დაეწია და მოქმედ ჰოკეისტებს შორის, რუსთან ერთად მესამე ადგილს იყოფს, ხოლო ყველა დროის სიაში კი, მე-17 ადგილზეა.

**ნიუ ჯერ. (2)-ოტავა (4) 3:2 (2 ო)**

2:0, 0:0, 0:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯონტა-7 (ელიაში-7, გომესი-10), 2:0 ბრილინი-1, 2:1 ალფრედსონი-4 (სპეცა-4, ჰიტლი-5), 2:2 ჰიტლი-4 (სპეცა-5, ვერმეტი-2), 3:2 ლანგენბრუნერი-2 (ზაიაცი-4).

**სერია 1:1**

"ნიუ ჯერსიმ" დიდი გაჭირვებით შეძლო სერიაში ანგარიშის გათანაბრება. ამისთვის ეშმაკებს ორი ოვერტაიმის ჩატარება დასჭირდათ და რომ არა ლეგენდარული მეკარის - **მარტინ ბროდოს** ოსტატობა, ოტავაში გასამართი მორიგი ორი შეხვედრის წინ, "სენატორებს" ორმატჩიანი უპირატესობა ექნებოდათ.

მასპინძლებმა სწრაფ ტემპში დაიწყეს მატჩი და პირველ პერიოდში დიდ უპირატესობას მიაღწიეს. ეს დარტყმების რაოდენობაშიც გამოიხატა და ანგარიშშიც. "ეშმაკებმა" 14 ზუსტი დარტყმა შეასრულეს და 2 უპასუხო გოლი გაიტანეს.

სამაგიეროდ, მეორე და მესამე პერიოდები "ოტავას" სრული უპირატესობით წარიმართა. 26 8-ის წინააღმდეგ - ასეთი იყო დარტყმების შეფარდება სტუმრების სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, "სენატორზმა" მხოლოდ საფინალო სირენამდე 26 წამით ადრე შეძლო შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანა.

პირველმა დამატებითმა დრომ უშედეგოდ ჩაიარა, ხოლო მეორე 2 წუთის დაწყებული იყო, როცა **ჯეიმი ლანგენბრუნერმა** ცენტრალურ ზონაში მოიპოვა შაიბა, "ოტავას" მცველი **ჯო კორვო** მოატყუა და **რეი ემერის** უძლიერესი დარტყმით გაუტანა.

სერიაში ანგარიში გათანაბრდა, რაც ერთგვარ კანონზომიერებად უნდა ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ "ოტავას" თავისი არსებობის ისტორიაში, სტენლის თასზე 16 სერია ჩაუტარებია და არასოდეს დაწინაურებულა 2:0.

საბოლოოდ, მარტინ ბროდომ 43 დარტყმა მოიგერია და სტენლის თასზე 94-ე გამარჯვებას მიაღწია. ამ მაჩვენებლით ის მხოლოდ **პატრიკ რუას** (151 მოგება) ჩამორჩება. გუშინ, ბროდომ ერთი უნიკალური შედეგი დააფიქსირა - მან ფლეი ოფში ზედიზედ 150-ე მატჩი ითამაშა ძირითად შემადგენლობაში.

მართალია, ისტ რუზერფორდში საკმაოდ სიმპათიური გუნდი ჰყავთ, მაგრამ გუშინ, "ნიუ ჯერსის" არენაზე, მთელი სეზონის განმავლობაში პირველად (!) დაფიქსირდა ანშლაგი.




მარტინ ბროდომ 43 სეივი შეასრულა

### დასავლეთი

**დეტროიტი (1)-სან ხოსე (5) 3:2**

1:2, 0:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ჩიჩუ-1 (მაკლარენი-2, ჯ. ტორტონი-8), 0:2 ჯ. ტორტონი-1 (მ. მიხალეკი-1), 1:2 ზეტერბერგი-3 (დაციუკი-3, ბერტუცი-3), 2:2 კლირი-2 (მიოლტბი-1), 3:2 დაციუკი-4 (სამუელსონი-1, ზეტერბერგი-2).

**სერია 1:1**

"დეტროიტმა" ზედიზედ მეორედ ჩააგდო შეხვედრის დებიუტი. მეხუთე წუთისთვის, სტუმრებს უკვე ორშაიბიანი უპირატესობა ჰქონდათ. დაბნეული ჩანდა მასპინძელთა მთელი გუნდი და მათ შორის, რაც ყველაზე გასაკვირია, გამოცდილი მეკარე **დომინიკ ჰაშეკი**. სწორედ "დომინატორის" სინდისზეა მეორე გოლი, როცა ჩეხმა კარი დატოვა და პასის გაკეთებას შეეცადა, მაგრამ შაიბა **მილან მიხალეკს** ჩააბარა. ჰაშეკმა კარში დაბრუნება ვერ მოასწრო და **ჯო ტორნტონმა** ცარიელ კარში შეაგდო შაიბა.

მე-13 წუთამდე, მასპინძლებმა ვერცერთი ზუსტი დარტყმა ვერ განახორციელეს და მხოლოდ პერიოდის ბოლოს გამოცოცხლდნენ, რასაც **პაველ დაციუკისა** და **ჰენრიკ ზეტერბერგის** საგოლე კომბინაცია მოჰყვა.

მეორე პერიოდი უგოლოდ დასრულდა. მესამის სტარტზე კი, "სან ხოსემ" მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, როცა **დევიდ კლირის** რიცხობრივ უმცირესობაში გოლის გატანის საშუალება მისცა. გუნდები ოვერტაიმის სათამაშოდ ემზადებოდნენ, როცა დაციუკმა **ევგენი ნაბოკოვის** მოგერიებულს დაამატა და გამარჯვების შაიბა გაიტანა. ეს საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე მოხდა.

სანახაობრივი თვალსაზრისით, შეხვედრა, მაინცა და მაინც, გამორჩეული არ ყოფილა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ჰაშეკმა ჯამში 17 დარტყმა მოიგერია, ნაბოკოვმა კი - 19.

**ანაჰაიმი (2)-ვანკუვ. (3) 1:2 (2ო)**

0:0, 1:1, 0:0, 0:0 0:1

**გოლები:** 0:1 ნესლუნდი-2, 1:1 მოენი-2 (სელიანე-3, პალსონი-4), 1:2 კოუენი-2 (ლინდენი-4).

**სერია 1:1**

**რობერტო ლუონგო** მარტო, საკუთარი მხრებით მიათრევს "ვანკუვერს" სტენლის თასისკენ. ამ ბრწყინვალე მეკარემ მორიგ მარათონს გაუძლო და თავის გუნდს საკუთარი მოედნის უპირატესობა მოუპოვა.

"ვანკუვერს" ოვერტაიმში თამაში არ ესნავლება. "დალასთან" 7-მატჩიან სერიაში, კანადურმა კლუბმა სამჯერ ითამაშა დამატებითი დრო, ხოლო "სტრაზთან" პირველი შეხვედრა 4 ოვერტაიმამდე გაგრძელდა და მაშინ, ლუონგომ 72 (!) დარტყმა მოიგერია.

ამჯერად, "ვანკუვერის" კარის დარაჯმა 43 სეივი შეასრულა. ასევე ბრწყინვალე იყო ლუონგოს ვიზავი - **ჟან-სებასტიან ჟიგერი**, რომელმაც 46 დარტყმა მოიგერია.

სხვათა შორის, ამ მატჩში შეწყდა ჟიგერის შესანიშნავი სერია - წინა წლების ფლეი ოფების გათვალისწინებით, ჟიგერს ოვერტაიმებში 190 წუთი და 50 წამი არ ჰქონდა გოლი გაშვებული, სანამ მისი კარი **ჯეფ კოუენმა** არ დალაშქრა. ამ გოლში დამნაშავე მასპინძელთა მცველი რობ ნიდერმაიერია, რომელმაც საკუთარ ზონაში ჩააბარა შაიბა **ტრევორ ლინდენს**.

ცნობისთვის, "ანაჰაიმმა" წლევანდელ სტენლის თასზე პირველი ოვერტაიმი ითამაშა.

## მსოფლიო ჩემპიონატი

### I ჯგუფური ეტაპი

#### A ჯგუფი

**შვეიცარია-ლატვია 2:1**

0:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 დარძინში-1 (ბერზინში-1), 1:1 ვიჰზერი-1, 2:1 ჟანინი-1 (ვიჰვერი-1).

**შვედეთი-იტალია 7:1**

2:1, 4:0, 1:0

**გოლები:** 0:1 დე ბეტინი-1 (მარგონი-1), 1:1 დავიდსონი-1 (ჰედსტრიომი-1), 2:1 ემვალი-1 (აკერმანი-1, ტარნსტრიომი-1), 3:1 მარტენსონი-1 (ტარნსტრიომი-2, ბეკსტრიომი-1), 4:1 ბრემბერგი-1 (დავიდსონი-1, ჰორნკვისტი-1), 5:1 დავიდსონი-2 (ჰორნკვისტი-2), 6:1 ჰედსტრიომი-1 (ტარნსტრიომი-3, ემვალი-1), 7:1 ჰალბერგი-1 (ბრემბერგი-1, დავიდსონი-2).

#### B ჯგუფი

**აშშ-ავსტრია 6:2**

3:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 კესელი-1, 2:0 პეტერსენი-1 (სატერი-1), 2:1 დივისი-1 (მულერი-1, ბაუმგარტნერი-1), 3:1 სტემპნიაკი-1 (კოული-1, პ. შჩასტნი-1), 4:1 კლარკი-1 (ბალარდი-1), 4:2 ზეტცინგერი-1 (ვესლერი-1, კოხი-1), 5:2 კოული-1 (პოტიე-1), 6:2 ბოჩენსკი-1 (დევისი-1, ჰათჩინსონი-1).

**ბელარუსი-ჩეხეთი 2:8**

1:4, 1:1, 0:3

**გოლები:** 0:1 გლინკა-1 (ჟიდლიცკი-1, სიკორა-1), 0:2 ვიბორნი-1 (სიკორა-2), 1:2 ანტონენკო-1 (ზადელენოვი-1), 1:3 პლეკანეცი-1 (ოლეში-1), 1:4 ოლეში-1 (პლეკანეცი-1), 1:5 სიკორა-1 (ჟიდლიცკი-2, გლინკა-1), 2:5 ანტონენკო-2 (ზადელენოვი-2), 2:6 პლეკანეცი-2 (ბარინკა-1, ირგლი-1), 2:7 მარეკი-1, 2:8 ირგლი-1.

**ჩეხეთი-ავსტრია 6:1**

2:0, 1:1, 3:0

**გოლები:** 1:0 სიკორა-2 (გლინკა-2, ჟიდლიცკი-3), 2:0 გლინკა-2 (ვიბორნი-1), 3:0 ჩასლავა-1 (ჟიდლიცკი-4, სიკორა-3), 3:1 დივისი-2, 4:1 ბარინკა-1 (ირგლი-2, პლეკანეცი-2), 5:1 გლინკა-3 (ჟიდლიცკი-5, ვიბორნი-2), 6:1 მარეკი-2 (ზ. მიხალეკი-1, ჩაიანეკი-1).

**აშშ-ბელარუსი 5:1**

3:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ჯონსონი-1 (ბოჩენსკი-1), 2:0 სტემპნიაკი-2 (არნასონი-1), 3:0 ლაროუზი-1 (პეტერსენი-1), 4:0 კლარკი-2 (პ. შჩასტნი-2), 5:0 სტემპნიაკი-3 (კლარკი-1), 5:1 ანტონენკო-3 (კუკუშკინი-1).

#### C ჯგუფი

**გერმანია-კანადა 2:3**

1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ულმანი-1 (ფელსკი-1), 1:1 მაიერსი-1 (მერფი-1, ჩიმერა-1), 1:2 ე. სტაალი-1, 2:2 დიტრიხი-1 (ჰაკერტი-1), 2:3 მაიერსი-2 (ჩიმერა-2).

**სლოვაკეთი-ნორვეგია 3:0**

2:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ურამი-1 (მატანი-1, კალუში-1), 2:0 ხარა-1 (კოვაჩიკი-1), 3:0 რადივოევიჩი-1 (სომიკი-1, შტრბაკი-1).

#### D ჯგუფი

**უკრაინა-ფინეთი 0:5**

0:1, 0:3, 0:1

**გოლები:** 0:1 სარავო-1 (პელტონენი-1, მ. კოივუ-1), 0:2 ბერგენჰეიმი-1 (კონტიოლა-1, კალიო-1), 0:3 ნუმელინი-1 (კონტიოლა-2), 0:4 პიარსინენი-1 (მიანტიულა-1, სარავო-1), 0:5 კონტიოლა-1 (ბერგენჰეიმი-1).

**რუსეთი-დანია 9:1**

3:1, 5:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ზარიპოვი-1 (ზინოვიევი-1, მოროზოვი-1), 2:0 ნიკულინი-1 (მოროზოვი-2), 3:0 მალკინი-1 (გონჩარი-1), 3:1 რეგინი-1 (ნილსენი-1, პანდერი-1), 4:1 სჩასტლივი-1 (ატიუშოვი-1), 5:1 მარკოვი-1 (ფროლოვი-1, კოვალჩუკი-1), 6:1 მოროზოვი-1, 7:1 კულემინი-1 (ოვეჩკინი-1), 8:1 ოვეჩკინი-1 (ნეპრიაევი-1), 9:1 ფროლოვი-1 (გონჩარი-2).

**ფინეთი-დანია 6:2**

3:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ნუმელინი-2 (პელტონენი-2), 1:1 დამგორდი-1 (კ. სტაალი-1), 2:1 მ. კოივუ-1, 3:1 ნუმელინი-3 (კონტიოლა-3), 4:1 პელტონენი-1 (კონტიოლა-4), 5:1 ბერგი-1 (კონტიოლა-5, ბერგენჰეიმი-2), 6:1 ჰენტუნენი-1 (ნ. კაპანენი-1), 6:2 კიარგორდი-1 (დამგორდი-2).

**რუსეთი-უკრაინა 8:1**

2:1, 3:0, 3:0

**გოლები:** 0:1 კლიმენტიევი-1 (ცირული-1, მატვიიჩუკი-1), 1:1 მოროზოვი-2 (ზინოვიევი-2), 2:1 ზინოვიევი-1 (ზარიპოვი-1, მოროზოვი-3), 3:1 ნიკულინი-2 (ზინოვიევი-3, ზარიპოვი-2), 4:1 პროშკინი-1 (მოროზოვი-4), 5:1 მოროზოვი-3 (ზინოვიევი-4), 6:1 რადულოვი-1 (ატიუშოვი-2, ოვეჩკინი-2), 7:1 მოროზოვი-4 (ზარიპოვი-3, ზინოვიევი-5), 8:1 ფროლოვი-2 (მარკოვი-1, გონჩარი-3).




ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტევაზეა ფელიქს შტურმი

სატიტულო ბრძოლები

# შტურმის რევანში

გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენში, გერმანელმა **ფელიქს შტურმმა** ქულებით მოუგო ესპანელ **ხავიერ კასტილიეხოს** და დაიბრუნა WBA-ის საშუალო წონის ტიტული, რომელიც ცხრა თვის წინათ ესპანელთან წაგების გამო დაკარგა.

როგორც მოსალოდნელი იყო, შტურმი თავის ვეტერან მეტოქეზე გაცილებით სხარტად და საზრიანად მოქმედებდა, თითქმის ყველა კომპონენტში აჯობა ესპანელს და დამსახურებულად მიიმხრო სამივე მსაჯი. წინა ბრძოლა კასტილიეხომ ნოკაუტით მოიგო. მაგრამ ამჯერად ბრძოლა სულ სხვა სცენარით წარიმართა. მართალია, შტურმმა ნოკაუტით ვერ მოიგო, მაგრამ სხვა მხრივ, აშკარად დაჯაბნა ჩემპიონი.

მოკლედ, შტურმმა (ნამდვილი სახელია **ადნან ჩატიჩი**, საკარიერო მონაცემები კი - 27-2, 12 ნოკაუტი) თავის კარიერაში მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. სხვათა შორის, მათგან ერთი ტიტული (WBO-ისა) მან სამი წლის წინათ, **ოსკარ დე ლა ჰოიასთან** ბრძოლაში, მსაჯთა საეჭვო გადაწყვეტილების წყალობით დათმო. ეს მის მიერ პროფესიულ კარიერაში განცდილი პირველი მარცხი იყო.

კასტილიეხოსთან პირველ ბრძოლაში შტურმმა თავისივე შეცდომის გამო იწვნია მარცხი. მაშინაც ის ქულებით დიდი უპირატესობით იგებდა, მაგრამ ერთხელ ესპანელის მუშტი ღვიძლში მოხვდა, რის შემდეგაც ხელები ჩამოუშვა და რამდენიმე აპერკოტიც რომ იგემა, რეფერიმ ბრძოლა გააჩერა. ამჯერად გერმანელს შეცდომები აღარ დაუშვია.

*"ჩვენი წინა ბრძოლა გაკვეთილად გამოვიყენე. საერთოდ, კარგია, როცა თავით იბრძვი, ასე უფრო მეტად შეიძლება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა. როცა ბრაზს იოკებ, შეცდომებიც არ მოგდის. ეს ყველაფერი წინა ბრძოლის შემდეგ გავითვალისწინე. ბედნიერი ვარ, რომ ტიტული დავიბრუნე და ვფიქრობ, მას დიდხანს შევინარჩუნებ"*, - განაცხადა შტურმმა.

გერმანელის სოლიდური უპირატესობის მიუხედავად, მსაჯებმა მას ერთობ მცირე უპირატესობით, თუმცაღა ერთსულოვნად (116-112, 115-114 და 116-112) მოაგებინეს.

კასტილიეხოს (62-7, 41 ნოკაუტი), რამდენადაც შეეძლო, ეწინააღმდეგებოდა პრეტენდენტს, მუშტებსაც ხშირად იქნევდა, თუმცა მიზანს იშვიათად აღწევდა. ბოლო რაუნდში კი მან ძალიან მონდომა და რინგზე ისეთი ჯახი გაჩაღდა, 5 000 მაყურებელი ფეხზე წამომდგარი შეხვდა საფინალო გონგს. მაგრამ ამ ჯახისგან ესპანელმა ბევრი არაფერი ხეირი ნახა - თუ მისთვის ხელსაყრელ, ახლო დისტანციაზე შესვლას ახერხებდა, შტურმის დაცვის გარღვევა მაინც ვერ შეძლო, თავად კი გერმანელის სწრაფი ხელების მოგერიებას იშვიათად ახერხებდა.

ანდერქარდზე, ხორვატმა **სტიპე დრევსმა** (32-1, 13 ნოკაუტი) ქულებით მოუგო იტალიელ **სილვიო ბრანკოს** და WBA-ის ვერსიით ქვემძიმე წონის ჩემპიონი გახდა. ამგვარად, რაც ხორვატია დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, დრევსი პირველი მოკრივეა ამ ქვეყნიდან, ვინც პროფესიულ რინგზე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. სხვათა შორის, დრევსი და ბრანკო (55-9-2, 34 ნოკუტი) სამი წლის წინათაც, ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის შეხვედრიან ერთმანეთს და მაშინაც ბრძოლა ხორვატის გამარჯვებით დასრულდა.

შტატ კონექტიკუტის ქალაქ მაშანტუკეტში, WBA-ის ვერსიით მსუბუქი წონის მექსიკელმა ჩემპიონმა **ხუან დიასმა** მერვე რაუნდში, ტექნიკური ნოკაუტით მოუგო WBO-ის ტიტულის ბრაზილიელ მფლობელ **ასელინო ფრეიტამს** და ორივე გაერთიანების ტიტულებს თავის ხელში მოუყარა თავი.

ბრძოლა მაშინ შეწყდა, როცა ფრეიტამმა, ვინც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია და WBO-ის ტიტული ორჯერ აქვს დაცული, მეცხრე რაუნდში რინგზე მობრუნება ვერ შეძლო. უფრო სწორად, ის რინგზე მწვრთნელმა აღარ გამოუშვა. არადა, მეტად დაძაბულ ბრძოლაში რეფერის ერთი ნოკდაუნიც კი არ დაუფიქსირებია. ორი ჩემპიონი დაუზოგავად იბრძოდა და ბრძოლის შეჩერებამდე ძნელი იყო იმის თქმა, თუ ვის ჰქონდა უპირატესობა.

ამგვარად, 23 წლის მექსიკელმა (32-0, 16 ნოკაუტი) მეექვსედ დაიცვა თავისი ტიტული, რომელიც სამი წლის წინათ მოიპოვა. ბრძოლის შემდეგ კი განაცხადა, სხვა ჩემპიონებიც გამომიყვანეთ და მათაც ასეთ დღეს ვაყრიო.

*"მაგარი ბიჭი ყოფილა ეს დიასი. ის ქებას იმსახურებს, ნამდვილი მებრძოლია და ჩემპიონის ორივე ტიტულსაც იმსახურებს"*, - ასე შეაქო 31 წლის ფრეიტაშმა (38-2, 32 ნოკაუტი) თავისი მეტოქე.

*"მინდა, პოპო ფრეიტაშს მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ მე დიდ ჩემპიონთან ბრძოლის საშუალება მომცა. ეს ჩემს კარიერაში ყველაზე დიდი ბრძოლა იყო და ყველაზე ძნელ მეტოქეს ვაჯობე. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ფრეიტაშზე მაგარი დარტყმის მქონე მეტოქეებსაც შევხვედრივარ - როცა მისგან დარტყმებს ვღებულობდი, ხურდად უფრო მეტს ვუბრუნებდი. თუმცა, მერწმუნეთ, რომ ეს ძალიან ძნელი იყო"*, - განაცხადა დიასმა, ვისაც აგრესიული სტილისა და შემტევი ხასიათის გამო, "პატარა ხარის" (ბეიბი ბულ) მეტსახელითაც მოიხსენიებენ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ოლიმპიზმი

## ნიუ დელი ოლიმპიადისთვის იბრძოლებს

ინდოეთი 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლას აპირებს. ეს ქვეყანა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, ქალაქ ნიუ დელის განაცხადს შეიტანს - იტყობინება სააგენტო AP.

აღსანიშნავია, რომ ეს აზიური ქვეყანა 2010 წელს, ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშების სამასპინძლოდ ემზადება, აქვე გაიმართება 2011 წელს, კრიკეტში მსოფლიო ჩემპიონატი. 2014 წლის აზიის თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლა ინდოეთმა სამხრეთ კორეასთან წააგო.

2020 წლის ოლიმპიადის დედაქალაქის საარჩევნო კამპანია 2011 წელს დაიწყება. *"ჩვენ ოლიმპიადისთვის მზადებას თანამეგობრობის თამაშების დასრულებისთანავე შევუდგებით"*, - აცხადებს ინდოეთის ოლიმპიური ასოციაციის პრეზიდენტი **სურეშ კალმადი**.

NBA. ფლეი ოფი. I წრე

# ლიგა ახალ ჩემპიონს ელის

ერთი მშრალი სერია, ფავორიტის მორიგი ფიასკო, მორიგი სამსაჯო გაუგებრობა და ერთი ნაბიჯი მოქმედი ჩემპიონის საბოლოოდ შერცხვენამდე - ბოლო ორი დღის საფლეიოფო ბატალიებმა ზღვა ამბები მოიცვა, მიმოხილვა კი იმ გუნდის სერიით დავიწყოთ, რომელმაც პირველმა გაინაღდა მომდევნო წრეში თამაში.

**რაშიდ უოლასის, ჩონსი ბილაპსისა და** რიჩარდ ჰამილტონის "დეტროიტი" აკადემიურად, ელემენტარული გამოცდილებისა და სათამაშო კლასის ხარჯზე გაუსწორდა უთავბოლო "ორლანდოს" და იქამდე, სანამ "ბულზი" და "ჰიტი" მეოთხე (და ალბათ, არა უკანასკნელ) შეხვედრას ჩაატარებენ, მიჩიგანელებს დასვენებისა და სულის მოთქმის საკმარისზე მეტი დრო ექნებათ.

"ორლანდოს" კაპიტანი **გრანტ ჰილი** 37 წუთში თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ 17 ქულით გამოირჩა, თამაშიდან 8-დან 7 სროლა გამოიყენა, მაგრამ მასსა და **დუაიტ ჰოვარდს,** ტანდემში პირველი საფლეიოფო გამარჯვების მოპოვება არ ეწერათ.

ძირითადის დასრულებამდე 2 წუთით და 57 წამით ადრე "ორლანდო" 85:80 დაწინაურდა და მანამდე 13-დან 11 სროლის გამფუჭებელ "დეტროიტს", თითქოსდა საქმე ველარ უნდა გამოესწორებინა.

ზედიზედ სამი ბავშვური შეცდომითა და იმავე ჰოვარდის 4-დან 3 აცილებული საჯარიმოთი, მასპინძლებმა სტუმრებს თითქოსდა კარგად ჩარაზული კარი შეუღეს, ჩონსიმ და ჰამილტონმა კი, ბოძებული შანსი მთელი გულით შეირგეს და "დეტროიტი" შეუჩერებელი გახდა.

ჯერ რაშიდ უოლასმა გააქანა სამქულიანი, რასაც **კრის უებერის** ზუსტი საშუალო სროლა მოჰყვა. ანგარიში გათანაბრდა და დაბნეულ მასპინძლებს ბოლო "დეტროიტის" უკანა ხაზმა მოუღო - ბილაპსმა და ჰამილტონმა ზედიზედ 12 ქულა მოიმკეს და ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა.

■ ■ ■

მეორე ფლორიდულ დაპირისპირებაზე გადავიდეთ, სადაც **შაკის, დუეინ უეიდის, პატ რაილისა** და ბებერი, მაგრამ გამოუსადეგარი მილიონერების "მაიამი", ზედიზედ მესამედ დამარცხდა მოტივირებულ "ჩიკაგოსთან".

საოცარ სერიას ატარებენ **ბენ გორდონი და** ლუოლ დენგი, ხოლო **კირკ ჰაინრიხმა** კი, პირველ შეხვედრაში ჩავარდნის შემდეგ, როგორც იქნა, იკადრა გამოღვიძება და დუეინ უეიდს როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაში უამრავი პრობლემა შეუქმნა.

"ჩიკაგო" მოგებას წინა მატჩების დარად არ იმსახურებდა, მაგრამ "ჰიტმა" ზედიზედ მესამე ფიასკოსთვის ყველაფერი გააკეთა. დიახ, როდესაც გუნდში შაკი გყავს, საჯარიმოების შესრულების საკითხში ყოველთვის პრობლემები გექნება, მაგრამ სხვები?!

მასპინძლებმა 35 საჯარიმოდან 19 გააფუჭეს და არაზუსტი სროლების ნახევარიც რომ გამოეყენებინათ, სერიაში ანგარიში მინიმუმამდე შემცირდებოდა და **პატ რაილისაც** გუნდის უკეთ დასაქოქად, მეტი მოტივაცია მიეცემოდა.

უეიდმა 28 ქულა გააკეთა, მაგრამ მან ამჯერადაც ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და ტრავმირებული ("ჰიტის" ლიდერი სამივე მატჩში ტკივილგამაყუჩებლებით თამაშობდა) მხარის გამო, დაცვაში ვის წინააღმდეგაც თამაში მოუხდა, ვერავინ ვერ დაამუხრუჭა. ამას მშვენივრად ხვდებოდა "ჩიკაგოს" თავკაცი **სკოტ სქაილზი,** რომელმაც უეიდს არაქათი ჯერ გორდონით, მერე კი ჰაინრიხითა და **კრის დიუჰონით** გააცალა. შედეგად, უეიდმა საჯარიმოები შაკზე ოდნავ უკეთ, მაგრამ მაინც კომმარულად შეასრულა და 10 სროლიდან ოდენ 4 გამოიყენა.

მაიამისთვის ყველაფერი დასრულებულია, რადგან ფლეი ოფის ისტორიაში, ვერცერთ გუნდს ვერ მოუხერხებია 0:3-დან სერიის მოგება. წლეულს ლიგას ახალი ჩემპიონი ეყოლება.

■ ■ ■

ამ ქვეთავში ორი ტეხასური გრანდის მატჩები მიმოვიხილოთ.

**დონ ნელსონს** "გოლდენ სტეიტში" ისეთივე ავტორიტეტი ვერ აქვს, როგორც თავის დროზე "დალასსა" და "მილუოკიში", თუმცა თავნება და ძნელად კონტროლირებადი მოთამაშეებით გადატენილი გუნდის გაძღოლა მას მაინც არ უჭირს.

ნელსონმა სერიის მესამე მატჩში ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა და ინერტული **ელ ჰარინგტონის** ნაცვლად, ცენტრად **ანდრის ბიედრინსი** დააყენა.

ლატვიელი, რომელმაც წელს, კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა, ლიმიტირებულ დროში დაცვაში დირკსაც უმწარებდა სიცოცხლეს და შეტევაშიც მაქსიმალური აკურატულობით გამოირჩეოდა. ბიედრინსს 23 წუთი ერთი შეცდომაც არ დაუშვია და თამაშიდან 5-დან 4 ტყორცნა გამოიყენა, ხოლო დირკის სანახევროდ განეიტრალებაში კი, სოლიდური წვლილი შეიტანა. ნოვიცკის, ბიედრინსის გარდა, ჰარინგტონი და **მიკაელ პიეტრუსი** ბოჭავდნენ, ხოლო შეტევაში კი ყველაფერი გამოსდიოდა **ბაირონ დევისს.**

"დალასში" კი ჩააფლავეს შეხვედრა **დევინ ჰარისმა, ჯერი სტეკჰაუზმა, დევეინ ჯორჯმა** და **ოსტინ კროშირმა** - მათ ჯამში 27-დან მხოლოდ 9 ტყორცნა გამოიყენეს და გუნდმა, რომელიც ბევრის აზრით, ფლეი ოფში უკონკურენციოდ იყო, უკვე მეორედ წააგო უთავბოლო, მაგრამ გულით მოთამაშე "უორიორზთან".

სულ სხვა განწყობაზე არიან მეოთხე მატჩის წინ, **ტიმ დანკანი და** მისი "სპურსი". 2005 წლის ფლეი ოფის დარად, "სან ანტონიომ" ამჯერადაც წააგო პირველი საშინაო თამაში "დენვერთან", რის შემდეგაც გუნდმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი მეტოქის მოედანზე უშეცდომო დაცვითა და იდეალური გუნდური თამაშით, მოედნის უპირატესობა დაიბრუნა.

წლის საუკეთესო დამცველად შერაცხულმა **მარკუს კემბიმ,** მატჩი ეფექტური ჩატენვით დაიწყო, მაგრამ მერე და მერე, საკუთარი ფარქვეშეთის გამაგრების ნაცვლად, **ალენ აივერსონს** ფეხმარდობაში აჰყვა და შეტევაში თარეში მოინდომა. შედეგი - კემბიმ პირველ მეოთხედში 6-დან 5 სროლა გააფუჭა, მთელი მატჩის განმავლობაში ვერ ჩააცხრო საპატიო ჯილდოს მიღებით გამოწვეული ეიფორია და მისი გუნდიც დამარცხდა.

"სან ანტონიოს" გამარჯვებაში ყველაზე დიდი როლი კი არა დანკანმა, ან **მანუ ჯინობილიმ,** ან **ტონი პარკერმა,** არამედ ბებერმა **რობერტ ორიმ** შეიტანა. მესამე მეოთხედის ბოლოსა და უკანასკნელი 12-წუთეულის დასაწყისში, ბობიმ ზედიზედ ორი სამიანი გამოიყენა, დაცვაში **კარმელო ენტონის** დაუფარა, ხოლო ძირითადის დასრულებამდე 44 წამით ადრე, დანკანის პასით უმნიშვნელოვანესი ორქულიანი მოიმკო, რომლითაც მისი გუნდი 7 ქულით დაწინაურდა.

ბოლოს კი, ორი სიტყვით **ჯეისონ კიდის** მორიგი ბენეფისის შესახებაც ვთქვათ. "ნიუ ჯერსის" უბერებელმა ფლეიმეიქერმა, ფლეი ოფში მე-10 სამმაგი დუბლი გააკეთა, პირველ ნახევარში კი მის ანგარიშზე 14 შედეგიანი გადაცემა იყო. ფლეი ოფის სამმაგი დუბლებით კიდი მეორე ადგილზე მყოფ **ლარი ბერდს** გაუტოლდა, ხოლო აბსოლუტურ რეკორდსმენს, **მეჯიქ ჯონსონს** მთელი 20 ტრიპლ-დაბლით ჩამორჩება.

**ზურაბ თალაკვაძე**




უეიდი და შაკი დაკარგულ ჩემპიონობას გასცქერიან

### აღმოსავლეთი

**ორლან. (8)–დეტროიტი (1) 93:97**

25:22, 21:25, 21:26, 26:24

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (29 ქ. 17 მ. 2 ჩ), გ. ჰილი (17 ქ. 4 მ), მილიჩიჩი (14 ქ. 6 მ. 2 პ), ნელსონი (11 ქ), დულინგი (11 ქ).

**დეტროიტი:** ბილაპსი (25 ქ. 6 პ), რ. ჰამილტონი (19 ქ), პრინსი (13 ქ. 6 მ. 3 პ), რ. უოლასი (13 ქ. 8 მ), უებერი (11 ქ. 10 მ. 4 პ).

**სერია 0:4**

**ვაშინგტ. (7)–კლივლენდ (2) 92:98**

22:26, 22:35, 31:16, 17:21

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (38 ქ. 11 მ), ა. დენიელსი (20 ქ. 13 პ), ჯ. ჰეიესი (15 ქ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (30 ქ. 9 პ. 6 მ), ილგაუსკასი (24 ქ. 8 მ), პავლოვიჩი (11 ქ. 5 პ), ჰიუზი (11 ქ. 8 მ), გუდენი (10 ქ. 12 მ. 4 პ).

**სერია 0:3**

**ნ ჯერსი (6)–ტორონტო (3) 102:89**

31:19, 27:20, 21:29, 23:21

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (37 ქ. 5 პ), რ. ჯეფერსონი (18 ქ. 6 მ. 3 პ), კიდი (16 ქ. 19 პ. 16 მ. 6 ჩ).

**ტორონტო:** ტი.ჯეი. ფორდი (27 ქ. 8 პ. 2 ჩ), ე. პარკერი (14 ქ. 5 მ)6 კალდერონი (12 ქ), ბოში (11 ქ. 11 მ. 3 ჩ).

**სერია 2:1**

**მაიამი (4)–ჩიკაგო (5) 96:104**

23:29, 29:16, 24:27, 20:32

**მაიამი:** უეიდი (28 ქ. 9 მ. 5 პ. 3 ჩ), შ. ონილი (23 ქ. 13 მ. 2 დ), ა. უოკერი (12 ქ. 2 ჩ), პოუსი (10 ქ. 2 ჩ).

**ჩიკაგო:** გორდონი (27 ქ. 5 მ), დენგი (24 ქ. 11 მ. 3 პ), ბ. უოლასი (11 ქ. 8 მ. 3 ჩ), ნოჩიონი (10 ქ. 8 მ. 2 დ).

**სერია 0:3**

### დასავლეთი

**გ. სტეიტი (8)–დალასი (1) 109:91**

29:20, 32:28, 28:23, 20:20

**გოლდენ სტეიტი:** ჯ. რიჩარდსონი (30 ქ. 8 მ), ბ. დევისი (24 ქ. 5 პ. 2 ჩ), ს. ჯექსონი (16 ქ. 8 მ. 6 პ. 2 ჩ), მ. ელისი (14 ქ. 3 ჩ), ბიედრინსი (10 ქ. 10 მ).

**დალასი:** ნოვიცკი (20 ქ. 13 მ. 3 ჩ), ჯოშ ჰოვარდი (20 ქ. 9 მ), ტერი (14 ქ. 5 პ), სტექჰაუზი (10 ქ).

**სერია 2:1**

**დენვერი (6)–ს. ანტონიო (3) 91:96**

25:22, 15:21, 27:32, 24:21

**დენვერი:** ენტონი (28 ქ. 12 მ), აივერსონი (20 ქ. 4 პ), ნენე (18 ქ. 7 მ. 3 პ), ჯეი.არ. სმიტი (12 ქ. 2 ჩ), კემბი (6 ქ. 10 მ. 2 დ), ნახერა (უქულოდ, 10 მ).

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (21 ქ. 6 პ), დანკანი (20 ქ. 13 მ. 5 დ. 4 პ), ჯინობილი (19 ქ. 7 მ. 5 პ), ფინლი (16 ქ. 5 მ), ორი (10 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**სერია 1:0**

**იუტა (4)–ჰიუსტონი (5) 98:85**

19:21, 31:24, 33:17, 15:23

**იუტა:** დ. უილიამსი (25 ქ. 7 პ), ჰარპრინგი (17 ქ. 6 მ), ოქური (16 ქ. 6 მ), ბუზერი (15 ქ. 10 მ. 2 ჩ).

**ჰიუსტონი:** მინი (20 ქ. 9 მ), მაკგრეიდი (18 ქ. 4 მ. 4 პ), ალსტონი (12 ქ. 9 მ. 6 პ), ბეტიე (10 ქ. 5 პ).

**სერია 2:2**

## TV სპორტი

### 30 აპრილი. ორშაბათი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 საფრანგეთის ჩემპიონატი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი.
19:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ნიუკასლი (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. Barca-TV. რონალდინიო.
08:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
08:30 სპორტის სამყარო.
09:00 კრივი. რინგ-საიდი.
10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეკრეატივო.
11:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
13:50 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-სპორტინგი.
15:35 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
16:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-ვერდერი.
17:50 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
18:20 ფიტნესი.
18:45 ჰოკეი. სტენლის თასი.
21:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
22:00 სპორტკლუბი.
23:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
00:00 პროფესიული კრივი. ფელიქს კორა-ვადიმ ტოკარევი.
02:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეკრეატივო.
04:20 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
05:55 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
06:20 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

#### EUROSPORT

09:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
09:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. [illegible] ჰოლანდია.
10:45 მინი-ფეხბურთი. [illegible] (რუსეთი)-ბუმერანგი (ესპანეთი). მურსია. ესპანეთი.
12:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
15:00 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
16:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
20:30 მულტისპორტი.
21:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 ჩოგბურთი.
00:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
01:00 მულტისპორტი.
01:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
01:45 ჩოგბურთი.

#### EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
11:00 ხელბურთი. EHF-ის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. მაგდებურგი (გერმანია)-არაგონი (ესპანეთი).
12:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ფინალი. საპასუხო მატჩი. კილი (გერმანია)-ფლენსბურგი (გერმანია).
13:00 ახალი ამბები.
15:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-როჩესტერი.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
17:00 მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. დინამო (რუსეთი)-ბუმერანგი (ესპანეთი). მურსია. ესპანეთი.
18:00 ხელბურთი. EHF-ის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. მაგდებურგი (გერმანია)-არაგონი (ესპანეთი).
19:00 ახალი ამბები.
19:45 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
20:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:30 ახალი ამბები.
21:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ესტუდიანტესი.
22:30 ავსტრალიური ფეხბურთი.
00:00 ახალი ამბები.
00:15 ექსტრემალური სპორტი.
01:15 ახალი ამბები.
03:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია (LIVE).

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| NBA | |
|---|---|
| მაიამი-ჩიკაგო | 79:92 |
| ლეიკერსი-ფინიქსი | 100:113 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| მარუსი-მაკედონიკოსი | 90:69 |
| ეგალეო-პანიონიოსი | 66:76 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპია | 87:58 |
| აპოლონი-არისი | 67:86 |
| პანელინიოსი-აეკ | 78:69 |
| აელ-აეკ | 81:87 |
| პაოკ-ოლიმპიაკოსი | 60:71 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| მენორკა-გრანადა | 84:79 |
| კ. სან ფერნანდო-ბილბაო | 73:96 |
| ფუენლაბრადა-ხუვენტუდი | 67:82 |
| პამესა-ესტუდიანტესი | 91:70 |
| ტაუგრესი-ვალიადოლიდი | 103:89 |
| ბარსელონა-უნიკახა | 68:51 |
| რეალი-ბრუესა | 77:70 |
| მურსია-ალიკანტე | 81:75 |
| გრან კანარია-ხირონა | 79:77 |

| იტალია | |
|---|---|
| ვარეზე-კანტუ | 80:69 |
| მილანი-ნაპოლი | 99:61 |
| ბენეტონი-რეჯო ემილია | 82:63 |
| ვირტუსი-საპუტი | 88:79 |
| ლივორნო-ბიელა | 103:91 |
| მონტეგრანარო-მონტეპასკი | 82:89 |
| სნაიდერო-დ'ორლანდო | 99:78 |
| ტერამო-რომა | 75:78 |
| აველინო-კლიმამიო | 79:69 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ორლეანეზი-სტრასბური | 62:83 |
| ტულონი-კლერმონი | 67:81 |
| პსჟ-შალონი | 72:66 |
| ვილერბანი-გრაველინი | 100:72 |
| რეიმსი-ბურჟი | 76:88 |
| რუანი-პავრი | 96:86 |
| ბეზანსონი-დიჟონი | ო.ტ. 90:98 |
| პო ორტეზი-შოლე | ო.ტ. 75:77 |

### ჰოკეი

| NHL | |
|---|---|
| რეინჯერსი-ბაფალო | 1:1 |

### ჩოგბურთი

| ATP. ბარსელონა | |
|---|---|
| ნადალი-კანიასი | 6:3, 6:4 |

| ATP. კასაბლანკა | |
|---|---|
| მატიო-მონტანიესი | 6:1, 6:1 |

| WTA. ბუდაპეშტი | |
|---|---|
| დულკო-კრისტეა | 6:7, 6:2, 6:2 |

კალათბურთი

### გრანტ ჰილი წასვლას აპირებს

"ყველა ვარსკვლავის მატჩის" შვიდგზის მონაწილე, "ორლანდო მეჯიქის" ფორვარდი **გრანტ ჰილი** კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა.

"დეტროიტ პისტონზთან" ფლეი ოფის სერიაში 0:4 წაგების შემდეგ, ჰილმა განაცხადა, რომ რამდენიმე თვე დააკვირდება - ექნება თუ არა მას ტკივილები ორივე ფეხში და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს კარიერის გარძელების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას.

*"შევხედავ, როგორ ვიგრძნობ თავს ივლისში ან აგვისტოში. რა თქმა უნდა, თამაშის გაგრძელების სურვილი ყოველთვის არსებობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არავის სურს მთელი ცხოვრება ტკივილგამაყუჩებელი წამლებით იარსებოს"*, - აცხადებს ვეტერანი კალათბურთელი.

2000 წელს, ჰილმა 93-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა "ორლანდოსთან", მაგრამ პერმანენტული ტრავმიანობის გამო, 7 წლის განმავლობაში მან რეგულარულში მხოლოდ 200 მატჩის ჩატარება მოასწრო.

ფორმულა 1

### ბატონი ყველაზე მდიდარია

გაზეთ "სანდი თაიმსის" მიერ გამოქვეყნებული სიის მიხედვით, ბრიტანეთის 30-წლამდე სპორტსმენებს შორის, ყველაზე მდიდარი "ფორმულა 1-ის პილოტი **ჯენსონ ბატონია.**

ბატონი ზედიზედ მეორე წელია სათავეში უდგას ამ სიას. მისი შემოსავალი 30 მილიონ ფუნტს უტოლდება. მეორე ადგილზეა მომღერალ **შარლოტ ჩერჩის** შეყვარებული - რაგბისტი **გევინ ჰანსენი** (10 მილიონი).

ათეულში, ძირითადად გოლფისტები და მორაგბეები არიან. აქვე მოხვდა ფორმულა 1-ის კიდევ ერთი პილოტი - "მაკლარენის" სენსაციური დებიუტანტი **ლუის ჰემილტონი** (5 მილიონი). მართალია, 22 წლის წლის ავტომრბოლს მოკრძალებული წლიური ხელფასი აქვს (500 ათასი ფუნტი), მაგრამ დანარჩენ 4 მილიონ 500 ათასს, ის რეკლამებისგან იღებს.

რატომ არ არიან ამ სიაში ფეხბურთელები? მათი ხელფასები საკმაოდ მაღალია და "სანდი თაიმსმა" ცალკე სია შეადგინა. შესაბამის რეიტინგს **მაიკლ ოუენი** (37 მილიონი ფუნტი) და **უეინ რუნი** (30 მილიონი) ლიდერობენ.

## ჰოკეი

### ლეჰტინენი მოსკოვში ჩავიდა

"დალას სტარზის" ვეტერანი ფორვარდი - **იერე ლეჰტინენი** მოსკოვში ჩავიდა. ის მსოფლიო ჩემპიონატზე ფინეთის ნაკრებს შეუერთდა და სავარაუდოდ, პირველი ჯგუფური ეტაპის მესამე ტურიდან ჩაებმება ტურნირში.

"დალასმა" სტენლის თასისთვის ბრძოლა მერვედფინალში დაასრულა, როცა "ვანკუვერთან" წააგო სერია (3:4).

ლეჰტინენი 1999 წლის სტენლის თასის მფლობელია, 1995 წელს, ფინეთის ნაკრებთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ის აგრეთვე, 1998 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსა და 2006 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია.

### უებერი სამი მატჩით დაისაჯა

მსოფლიო ჩემპიონატზე მოასპარეზე კანადის ნაკრებს პირველი დანაკლისი აქვს. "ნეშვილის" 21 წლის მცველი **ში უებერი**, პირველობის სადისციპლინო კომიტეტმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

ასეთი მკაცრი სასჯელი უებერმა გერმანიასთან პირველი ტურის მატჩში უხეშობისთვის მიიღო - მცველმა ყვანჯი ჩაარტყა თავში გერმანელთა ფორვარდ **იანიკ ზაიდენბერგს**.

### უიტნიმ სამთვიანი შვებულება გამოიწერა

"კაროლინას" 34 წლის ფორვარდმა - **რეი უიტნიმ** ტრავმირებულ მარჯვენა მხარზე ოპერაცია გაიკეთა.

yahoo.com-ის ინფორმაციით, აღდგენით პროცესს დაახლოებით 3 თვე დასჭირდება. შეგახსენებთ, რომ კაროლინელმა წელს, NHL-ში თავისი მე-15 სეზონი ჩაატარა და 81 მატჩში 83 ქულა (32 გოლი+51 შედეგიანი პასი) დააგროვა.

უიტნის მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა ეთამაშა, მაგრამ სწორედ მხარის ტრავმამ შეუშალა ხელი.

### კინენი შვედეთის ფედერაციაში იმუშავებს

ლეგენდარულმა კანადელმა მწვრთნელმა **მაიკ კინენმა**, რომელიც ბოლო წლებში ტელეკომპანია TSN-ის ანალიტიკოსად მუშაობდა, შვედეთის ჰოკეის ფედერაციაში მთავარი მრჩევლის პოსტი დაიკავა. კინენის მთავარი ამოცანა, შვედეთის იუნიორთა და ახალგაზრდულ ნაკრებებთა განვითარების პროგრამის შემუშავება იქნება.

*"ბედნიერი ვარ იმით, რომ შემიძლია ისეთ ქვეყანაში ვიმუშაო, რომელიც ბრწყინვალედ თამაშობს მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე (შვედეთის ნაკრები ამ ორი ტურნირის მოქმედი ჩემპიონია). მიუხედავად ასეთი შედეგებისა, ფედერაციის ხელმძღვანელობამ მომმართა თხოვნით, ნაკრებ გუნდებთან მუშაობის სისტემა გამეუმჯობესებინა. ჩემთვის ეს უდიდესი პატივია"*, - განაცხადა მაიკ კინენმა.

მსგავსი წინადადებით, შვედებმა კინენს თებერვალშიც მიმართეს, მაგრამ უარი მიიღეს, რადგან მწვრთნელს NHL-ში დაბრუნების იმედი ჰქონდა. მაგრამ კინენი ლიგაში არ მიიწვიეს და ის შვედეთში გაემგზავრა. სხვათა შორის, ფედერაციასთან კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტი, მწვრთნელის NHL-ში ნებისმიერ მომენტში დაბრუნებას ითვალისწინებს.

მაიკ კინენი ახლა მოსკოვში იმყოფება, სადაც მსოფლიო ჩემპიონატზე "ტრე კრუნურის" თამაშს აკვირდება.

### ოლ სტარი უქმეებზე ჩატარდება

2008 წელს, NHL-ის "ყველა ვარსკვლავის მატჩი" არა სამუშაო დღეებში, როგორც ადრე იყო გამოცხადებული, არამედ უქმეებზე გაიმართება.

თამაში ატლანტაში, ოთხშაბათს, 16 იანვარს უნდა გამართულიყო, მაგრამ ის კვირას, 27 იანვარს გადაიტანეს. ეს ინფორმაცია ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელდა.

ახალგაზრდა ჰოკეისტთა მატჩი და სხვადასხვა კონკურსები ერთი დღით ადრე გაიმართება.

## კალათბურთი

### ჯექსონი მსაჯებთან კამათისთვის დაისაჯა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა 50 ათასი დოლარით დააჯარიმა "გოლდენ სტეიტ უორიორზის" ფორვარდი **სტივენ ჯექსონი**. ამ კალათბურთელმა "დალას მავერიქსთან" სერიის მეორე მატჩში (99:122), მოედნის დატოვება არ ისურვა მას შემდეგ, რაც მსაჯებმა მას მეორე ტექნიკური პერსონალური მისცეს.

### კემბი საუკეთესო დამცველია

"დენვერ ნაგეტსის" ცენტრალური თავდამსხმელი - **მარკუს კემბი** 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო დამცველად დასახელდა.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, კემბიმ დიდი უპირატესობით აჯობა კონკურენტებს. მან 431 ქულა მიიღო და 225 ქულით გაუსწრო "სან ანტონიოს" ფორვარდ **ბრიუს ბოუენს**.

წლევანდელ რეგულარულში, 33 წლის მარკუს კემბიმ 70 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ შეხვედრაში 11.2 ქულას, 11.7 მოხსნას, 3.3 დაფარებას, 3.2 შედეგიანი პასსა და 1.2 ჩაჭრას აგროვებდა.

### ონილმა მკურნალობა გადაწყვიტა

"ინდიანა პეისერსის" ფორვარდმა **ჯერმეინ ო'ნილმა** ტრავმირებულ მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. ამ დაზიანების გამო, 28 წლის კალათბურთელმა წლევანდელ რეგულარულში 13 მატჩი გამოტოვა. სრულად გამოჯანმრთელებისთვის, ო'ნილს დაახლოებით 4-6 კვირა დასჭირდება.

2006-07 წლების სეზონში, "ინდიანას" ლიდერი საშუალოდ მატჩში 19.4 ქულას,;9.6 მოხსნასა და 2.6 დაფარებას აგროვებდა.

### WNBA-ს კალათბურთელმა მეტოქეს ცხვირი გაუტეხა

ქალთა საკალათბურთო ასოციაციის (WNBA) მოთამაშე **დინა ჯექსონი** ისრაელში დააპატიმრეს - ის მატჩის შემდეგ, მეტოქე კალათბურთელს დაესხა თავს.

ჯექსონი "ჩიკაგო სქაის" ღირსებას იცავს. ამ გუნდმა, ისრაელში ერთ-ერთი ადგილობრივ კლუბთან 68:81 წააგო. შეხვედრის შემდეგ, ჯექსონი მეტოქე კალათბურთელ **ინა ნურევიჩს** ეცა და მას ცხვირი გაუტეხა. პოლიციის წარმომადგენელ **მიკი როზენფელდის** განცხადებით, ჯექსონი მაშინვე დააპატიმრეს და პასპორტი ჩამოართვეს.

*"მომხდარით შოკირებული და დარცხვენილი ვარ,* - განაცხადა "ჩიკაგოს" მფლობელმა **მაიკლ ალტერმა**. - *დინასგან ასეთი საქციელი ძალიან მოულოდნელი იყო"*.

გუროვიჩმა ჯექსონს სასამართლოში უჩივლა და ფიზიკური და მორალური ზარალისთვის 14 630 ევრო მოითხოვა.



ტურნირები

# თიხნარის მეფე

მოკლედ, თიხისსაფარიან კორტებზე ესპანელ **რაფაელ ნადალს** ბადალი არ ჰყავს. მსოფლიოს მეორე ჩოგანს ზედიზედ სამჯერ აქვს მოგებული მონაკოს მასტერსი, ზედიზედ ორჯერ კი საფრანგეთის ღია პირველობა. ახლა კი ბარსელონის "სეატ გოდოს" ჩემპიონის ტიტულიც ზედიზედ მესამედ მოიპოვა.

ბარსელონის ტურნირის ფინალში მან იოლად, ორ სეტში აჯობა არგენტინელ **გილერმო კანიასს**, ვინც ცოტა ხნის წინ, მასტერსის სერიის ზედიზედ ორ ტურნირზე შეძლო მსოფლიოს პირველი ჩოგნის, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** დამარცხება. ბარსელონის ტურნირის ზედიზედ მესამედ მოგების გარდა, ნადალმა თიხნარზე ზედიზედ 72-ე თამაშიც მოიგო. უფრო მეტიც, ნადალს თიხნარზე სეტიც არ წაუგია მას შემდეგ, რაც საფრანგეთის შარშანდელი ღიას ფინალში, სადაც მისი მეტოქე ფედერერი იყო, პირველი სეტი წააგო.

საინტერესო ფაქტი - ბარსელონის ტურნირი სამჯერ მხოლოდ ოთხ ჩოგბურთელს აქვს მოგებული. ნადალის გარდა, ესენი არიან შვედი **მატს ვილანდერი**, ავსტრალიელი **როი ემერსონი** და ესპანელი **მანუელ ორანტესი**. ოღონდ, ამათგან ზედიზედ ეს სამი ტიტული აქამდე მხოლოდ ვილანდერს ჰქონდა მოპოვებული.

არადა, ფინალი ისე დაიწყო, ვერ იფიქრებდით, რომ ესპანელი ასე იოლად მიაღწევდა საწადელს. კანიასს პირველივე გეიმში ჰქონდა ბრეიკის შანსი (ორჯერ) მაგრამ ნადალმა ორივე მოიგერია. მეექვსე გეიმამდე ვერცერთმა ვერ შეძლო მეტოქის სერვისზე ქულის აღება, თუმცა შემდეგ ესპანელმა ივარგა, პირველივე შანსი ქულად აქცია და მოპოვებული უპირატესობა სეტის ბოლომდე შეინარჩუნა.

ნადალმა მომდევნო სეტის მეშვიდე გეიმში კიდევ ერთხელ შეძლო კანიასის გატეხვა და ამჯერადაც ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა. მოკლედ, მან თავის კარიერაში თიხნარზე მე-12 ტიტული მოიპოვა, კანიასთან ურთიერთშეხვედრებში კი თავისი უპირატესობა 3:0-მდე გაზარდა.

თავის მხრივ, კანიასმა ზედიზედ მეორე ტურნირის ფინალს მიაღწია, მაგრამ ისევე როგორც მაიამის მასტერსის ფინალში, ამჯერადაც ხელმოცარული დარჩა. შეგახსენებთ, რომ მაიამიში კანიასმა სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** წააგო.

კასაბლანკაში, ჰასან მეორის ტურნირის ფინალში კი ერთმანეთს ფრანგი **პოლ-ანრი მატიო** და ესპანელი **ალბერტ მონტანესი** დაუპირისპირდნენ. ესპანელმა მხოლოდ ორი გეიმის მოგება მოახერხა და ჯეროვანი წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია ფრანგს, ვინც ბოლო ხუთ სეზონში პირველად, კარიერაში კი მესამედ მოიგო ატპ-ს ტურნირი.

ანგარიშის გარდა, მატიოს აშკარა უპირატესობას სხვა სტატისტიკური მონაცემიც მეტყველებს: მან თავისი პირველი მოწოდების 94 პროცენტი მოიგო (მონტანესმა მხოლოდ 59 პროცენტი). მონტანესმა სწორედ მიღებაზე უხეირო თამაშის გამო დათმო შეხვედრა.

ცნობისათვის, მატიოს წინა ორი ტიტული 2002 წელს ლიონსა და მოსკოვში აქვს მოპოვებული, გუშინდლამდე ბოლო ფინალი კი 2003 წელს პალერმოში ითამაშა. მონტანესმა კი სულ მეოთხედ ითამაშა ატპ-ს ტურნირის ფინალში და ყველა თამაში წააგო.

დაბოლოს, ბუდაპეშტის დიდი პრიზის გამარჯვებული არგენტინელი **ხისელა დულკო** გახდა, რომელმაც ფინალში რუმინელ **სორანა კრისტეას** მოუგო. პირველი სეტი რუმინელმა ტაიბრეიკზე მოიგო, მაგრამ მეორე დულკომ ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით დაიწყო და ამის შემდეგ, უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. ზედიზედ ოთხი გეიმი მან გადამწყვეტი სეტის დასაწყისშიც მოიგო, ოღონდ, მანამ მეტოქეს ბრეიკის საშუალება მისცა.

სხვათა შორის, კრისტეა 2000 წლის შემდეგ პირველი რუმინელი მეჩოგნეა, ვინც ვტა-ს ტურნირის ფინალში ითამაშა. მის თანამემამულეთაგან ბოლომ ეს **რუქსანდრა დრაგომირმა** შეძლო. კრისტეამ ტურნირის ძირითად ბადეში მოსახვედრად საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა, თავად ტურნირზე კი ორ სეტში არცერთი შეხვედრა არ დაუსრულებია და ეს ტრადიცია ფინალშიც გააგრძელა. წაგების მიუხედავად კი ისეთივე ბედნიერი იყო, როგორც დულკო, რომელმაც კარიერაში პირველად შეძლო ვტა-ს ტურნირის მოგება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ATP

**OPEN SEAT 2007**

ბარსელონა (ესპანეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 850 500 ევრო

#### 1/4 ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:2, 7:5; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 4) 7:6(5), 6:2; **აგუსტინ კალერი (არგ, 15)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:0, 6:3; **გილერმო კანიასი (არგ, 12)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 2) (დავიდენკომ არ ითამაშა)

#### 1/2 ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-დავიდ ფერერი (ესპ, 5) 7:5, 6:1; **გილერმო კანიასი (არგ, 12)**-აგუსტინ კალერი (არგ, 15) 7:6(1), 6:7(5), 6:2

#### ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-გილერმო კანიასი (არგ, 12) 6:3, 6:4

**GRAND PRIX HASSAN II**

კასაბლანკა (მაროკო). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 353 450 ევრო

#### 1/4 ფინალი

**ალბერტ მონტანესი (ესპ)**-დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ, 1) 7:6(5), 6:3; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 8)**-ხოსე აკასუსო (არგ, 2) 7:6(5), 6:4; **მარკ გიშელი (საფ, 5)**-ჟულიან ბენეტიუ (საფ, 3) 3:6, 6:1, 6:1; **რუბენ რამირეს-იდალგო (ესპ)**-სებასტიან გროსჟანი (საფ) 1:6, 7:5, 7:6(3)

#### 1/2 ფინალი

**პოლ-ანრი მატიო (საფ, 8)**-მარკ გიშელი (საფ, 5) 6:3, 7:5; **ალბერტ მონტანესი (ესპ)**-რუბენ რამირეს-იდალგო (ესპ) 1:6, 7:5, 6:3

#### ფინალი

**პოლ-ანრი მატიო (საფ, 8)**-ალბერტ მონტანესი (ესპ) 6:1, 6:1

### WTA

**ბუდაპეშტის დიდი პრიზი**

ბუდაპეშტი (უნგრეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 175 000 ევრო

#### 1/4 ფინალი

**ხისელა დულკო (არგ, 6)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 6:3, 6:4; **აგნეს ჟავაი (უნგ)**-ემილი ლუა (საფ, 4) (დულკომ არ ითამაშა); **კარინ კნაპი (იტა)**-ანე კრემერი (ლუქს) 6:2, 6:1; **სორანა კრისტეა (რუმ)**-ელენი დანილიდუ (საბ, 5) 2:6, 6:1, 6:4

#### 1/2 ფინალი

**ხისელა დულკო (არგ, 6)**-აგნეს ჟავაი (უნგ) 6:2, 6:1; **სორანა კრისტეა (რუმ)**-კარინ კნაპი (იტა) 3:6, 6:4, 6:3

#### ფინალი

**ხისელა დულკო (არგ, 6)**- სორანა კრისტეა (რუმ) 6:7(2), 6:2, 6:2



რაფაელ ნადალი


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა